www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი 2 ივლისი, 2009 წელი. №147 (2185) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიჭქიანი ნომერი
*2424

მაშველებმა "აარბას ა-310"-ის ერთ-ერთი "შავი ყუთი" იპოვეს
A7



სიღნაღიდან ახალციხემდე
A9



კალენდარი დადგინდა
A11



24 საათი
"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
GRDC group
ჯი პი აი
ვენის სადაზღვევო ჯგუფი

# კონსტრუქციული დავა საპირისპირო პოზიციებიდან

დიმიტრი ავალიანი

*კონსტრუქციული ტონი და მომავალი შეხვედრა გალში - ეს ჟენევის მოლაპარაკებების გუშინდელი, მეექვსე რაუნდის ყველაზე თვალსაჩინო შედეგი გახდა. რუსულ მოთხოვნას მარიონეტულ რეჟიმებთან ძალის გამოუყენებლობის შესახებ შეთანხმების გაფორმებაზე, თბილისმა ამგვარი შეთანხმების საკუთარი ვერსია დაუპირისპირა - დოკუმენტის გაფორმება რუსეთსა და საქართველოს შორის, ქვეყნის დეოკუპაციისა და საერთაშორისო საპოლიციო ძალების ამოქმედების პირობებში. მხარეების წინადადებებს საერთაშორისო შუამავლები განიხილავენ.*

რუსეთის მოთხოვნას ძალის გამოუყენებლობის შესახებ შეთანხმების გაფორმებაზე, გუშინ, ჟენევაში, ქართულმა მხარემ მოულოდნელად დადებითად უპასუხა, თუმცა - საკუთარი პირობებით.

გაგრძელება A3 გვერდზე



AFP' 2009

ჟენევის მოლაპარაკებებზე პოზიტიური ძვრა შეინიშნება

# მემფისის "საბა"

## საპატიო "საბა" ჭაბუა ამირეჯიბს გადასცეს

ია ვეკუა

წლის მთავარმა ლიტერატურულმა ინტრიგამ - პრემია "საბას" დაჯილდოების ცერემონიალმა, რომელიც ტრადიციულად თიბისი ბანკის სათაო ოფისის ეზოში ჩატარდა, ასევე ტრადიციულად სიურპრიზებისა და ადვილად გათვლადი შედეგების ფონზე ჩაიარა. მთავარი სიურპრიზი ცხადია ის იყო, რომ საუკეთესო რომანის ნომინაციაზე წარდგენილი აკა მორჩილაძე ამჯერად ჯილდოს გარეშე დარჩა - ამ ნომინაციაში "საბა" "მემფისის" ავტორ თეონა დოლენჯაშვილს ხვდა წილად.

შეიძლება ითქვას, რომ თეონა დოლენჯაშვილმა სასწაული მოახდინა, როდესაც მის გარდა კიდევ ექვსი მამაკაცი ნომინანტისგან შედგენილ ნომინაციაში ფავორიტის ადგილი მოიპოვა. "საბას" ხუთ კაციანმა ჟიურიმ დავით წერედიანის, ანდრო ბუაჩიძის, ანა კორძაია-სამადაშვილის, მალხაზ ხარბედიასა და რატი ამაღლობელის შემადგენლობით უპირატესობა სწორედ მის სამიოდე თვის წინ გამოშვებულ "მემფისს" მიანიჭა. დოლენჯაშვილს საკმაოდ "მძიმე წონიან" კონკურენტებთან მოუწია ჭიდილი: თამაზ ჭილაძესთან, ლაშა ბუღაძესთან, გურამ ოდიაშარიასთან, დავით ქართველიშვილთან, დათო ჩიხლაძესთან და უკვე ხსენებულ აკა მორჩილაძესთან, თუმცა ნურავინ იფიქრებს, რომ საქმე გენდერულ უპირატესობასთან გვაქვს - დოლენჯაშვილს აშკარად ძალიან კარგი ტექსტი დაუფასდა.

გაგრძელება A8 გვერდზე



ხათია ჯიჯიშვილის ფოტო

## გაერო-მ აფხაზეთში მისიის ლიკვიდაციისთვის 15 მილიონი აშშ დოლარი გამოყო

გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ საქართველოსა და აფხაზეთიდან გაერო-ს მისიის გაყვანისათვის 15 მილიონი აშშ დოლარი გამოყო. რუსული მედიის ინფორმაციით, შესაბამისი რეზოლუცია გაერო-ს გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომაზე კენჭისყრის გარეშე მიიღეს. გაერო-ს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულ რეზოლუციაში "მისიის ლიკვიდაციის დაფინანსების შესახებ" ნათქვამია, რომ სპეციალურ ანგარიშზე გადაირიცხოს 15 მილიონი აშშ დოლარი - პირველი ივლისიდან 2009 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში მისიის ადმინისტრაციული ლიკვიდაციისათვის. გაერო-ს მისიის სამხედრო დამკვირვებლებმა აფხაზეთის დატოვება უკვე დაიწყეს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## გიგი უგულავამ და ზაალ სამადაშვილმა ხელი მოაწერეს დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გეგმას

გუშინ თბილისის მერმა გიგი უგულავამ და საკრებულოს თავმჯდომარემ ზაალ სამადაშვილმა ხელი მოაწერეს დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გეგმას. ახალი გენგეგმის მიხედვით, თბილისში ბევრი ცვლილებაა გათვალისწინებული. აუცილებელ საკითხთა ნუსხაში შევიდა სხვადასხვა გზატკეცილსა და მაგისტრალზე უწყვეტი მოძრაობის უზრუნველყოფა, რაც ახალი სატრასნპორტო კვანძების მოწყობასაც გულისხმობს.

"რეალურად ეს არის, სახელმძღვანელო ამ პროცეში მონაწილე თითოეული ადამიანისთვის, რათა ჩვენ გამოვრიცხოთ კორუფცია და გადაცდომა. ეს დოკუმენტი ძალიან მნიშვნელივანია," - განაცხადა გუშინ ჟურნალისტებთან საუბრისას გიგი უგულავამ. დედაქალაქის განვითარების გენერალური გეგმა 1971 წელს შემუშავდა და მას შემდეგ თბილისს მსგავსი ახალი დოკუმენტი არ მიუღია. არქიტექტურის სამსახური მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაზე ორ წელიწადს მუშაობდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## რუსი დამსვენებლები აფხაზეთს ეტანებიან

რუსული მედიის ინფორმაციით, რუსეთის ტუროპერატორები აღნიშნავენ, რომ აფხაზეთში დასვენების მსურველთა რიცხვმა, გასულ წელთან შედარებით, 10 პროცენტით მოიმატა. მათივე ინფორმაციით, ამის მიზეზი შესაძლოა არის ის, რომ აფხაზეთში დასვენების ფასები გასული წლის ფასების ანალოგიური დარჩა და არ გაზრდილა.

"უფრო აქტიურად რუსეთის მოქალაქეები ივლისის თვეზე ითხოვენ ჯავშანს. აფხაზეთში დასვენება რუსეთის შავიზღვისპირეთში არსებული კურორტებიდან ყველაზე იაფია. კრიზისის გამო ყველა სულ უფრო და უფრო ხშირად აფხაზური მიმართულებით არსებულ იაფ სეგმენტს ირჩევს," - აცხადებენ რუსეთის ტუროპერატორები. მათივე ინფორმაციით, ერთი ნომრის ღირებულება დღე-ღამეში, საშუალოდ, 1300 რუსული რუბლი ღირს, მაშინ როდესაც ანალოგიური ნომრის ღირებულება შავიზღვისპირეთის სხვა კურორტებზე 1500 რუსული რუბლიდან იწყება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ოჩამჩირის რაიონში ახალი სამხედრო ბაზა გაიხსნა

სეპარატისტები ახალ სამხედრო ბაზას ქმნიან. ოჩამჩირის ტერიტორიაზე ახალი სამხედრო ბაზის პრეზენტაცია უკვე შედგა, რომელსაც სეპარატისტული ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. არსებული ინფორმაციით, ახალ ბაზაზე ჯავშანტექნიკა და რუსული სამხედრო მანქანები იქნება დისლოცირებული.

როგორც აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების ლიდერებმა ბაზის პრეზენტაციაზე განაცხადეს, ახალ სამხედრო ბაზაზე გალის რაიონიდან გაწვეული ახალგაზრდები იმსახურებენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

## სეპარატისტებმა ზემო აფხაზეთზე კონტროლი დაკარგეს

სეპარატისტებმა ზემო აფხაზეთზე კონტროლი დაკარგეს. ამის მიზეზი სტიქია გახდა - სოხუმიდან კოდორისკენ მიმავალ საავტომობილო გზაზე მეწყერი ჩამოწვა.

ამ დროისთვის გზა პარალიზებულია. მის აღდგენას, სავარაუდოდ, რამდენიმე დღე დასჭირდება. გზის გასაწმენდად და კაპიტალურად შესაკეთებლად სეპარატისტები ადგილზე შესაბამისი ტექნიკის მობილიზებას აპირებენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

## გაერო-ს თბილისის ოფისი ახალ ფუნქციებს შეითავსებს

გაერო-ს თბილისის ოფისი ახალ ფუნქციებს შეითავსებს, - ეს განცხადება ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა გაავრცელა. ბან კი მუნის თქმით, გაერო მზადა არის, რეგიონში სხვადასხვა მიმართულებით იმუშაოს. ამ მიზნით მან საქართველოში გაერო-ს ოფისის ხელმძღვანელს ახალი სტრუქტურის შექმნა დაავალა. კონკრეტულად, იოჰან ვერბეკეს დაევალება, წარმოადგინოს და დაიცვას საქართველოს უფლებები ჟენევაში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის საკითხებზე. ასევე ვერბეკეს მოვალეობაში დევნილთა დაბრუნების საკითხის მოგვარებაც იქნება. **ჯი-ეიჩ-ენი**

# კიევი - კიდევ ერთი საიდუმლო შეხვედრა

დათო ბამისონია

ჯერ კიდევ აქტიურად საუბრობენ ოპოზიციის ორ ლიდერსა და ექს-პრეზიდენტ შევარდნაძის მთავრობის შინაგან საქმეთა მინისტრს შორის ბერლინში გამართულ შეხვედრის შესახებ. თუმცა გუშინ, უკრაინული საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებული ინფორმაციის შემდეგ, არასაპარლამენტო ოპოზიციის ლიდერებს ამჯერად "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის" ლიდერის შეხვედრის შესახებ უსვამდნენ კითხვებს. კერძოდ, პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე კიევში უკრაინის ექს-პრეზიდენტ ლეონიდ კუჩმას სიძეს, ბიზნესმენ ვიქტორ პინჩუკს შეხვდა. ბერლინური შეხვედრის მსგავსად, ოპოზიციის დანარჩენი ლიდერები ახლაც აცხადებენ, რომ არასაპარლამენტო ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის შეხვედრის შესახებ მედიის საშუალებით შეიტყვეს. გავრცელებული ინფორმაციით, პინჩუკი რუსეთის პრემიერ-მინისტრ ვლადიმირ პუტინთან დაახლოებული პირია. გარდა ამისა, ფინანსური მაქინაციების გამო ვიქტორ პინჩუკის წინააღმდეგ აშშ-ში რამდენიმე სასამართლო პროცესი მიმდინარეობს. გუშინ ნინო ბურჯანაძის პარტიის პრესსამსახურში დაადასტურეს უკრაინული მედიასაშუალებებით გავრცელებული ინფორმაცია. კერძოდ, განმარტეს, რომ ბურჯანაძესა და პინჩუკს შორის შეხვედრა კიევში 29 ივნისს გაიმართა.

მაშინ, როდესაც ქართულმა ტელეკომპანიებმა ბურჯანაძისა და პინჩუკის შეხვედრის შესახებ გაავრცელეს ინფორმაცია, პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით მიმდინარე საპროტესტო აქციების ორგანიზატორი პოლიტიკური პარტიები სწორედ ბურჯანაძის ოფისში მართავდნენ კონსულტაციებს. ოპოზიციონერების თქმით, ისინი ძირითადად მომავალი მოქმედების გეგმებზე საუბრობდნენ. "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის" ოფისიდან გამოსვლის შემდეგ, ოპოზიციის ლიდერებმა განაცხადეს, რომ ბურჯანაძის კიევური შეხვედრის შესახებ ინფორმირებულები არ ყოფილან. თავად ნინო ბურჯანაძემ ამ საკითხზე ორაზროვანი განცხადება გააკეთა. **"როცა საჭიროდ მივიჩნევ, ან უარვყოფ, ან დავადასტურებ პინჩუკთან შეხვედრის გამართვას. მინდა, კიდევ ერთხელ გასაგებად გითხრათ, რომ ჩემი პირადი შეხვედრები არავის საქმე არ არის. დაფინანსების შესახებ არავისთან ყოფილა საუბარი. რაც შეეხება შეხვედრებს, ბევრი ნაცნობი მყავს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ. საინტერესო კონტაქტები მაქვს, რომელსაც ყოველთვის გამოვიყენებ და არავის შევეკითხები, ვის შევხვდე და ვის არა. ხოლო, როცა პოლიტიკური შეხვედრები იქნება, აუცილებლად ჩაგაყენებთ საქმის კურსში,"** - აღნიშნა ნინო ბურჯანაძემ.

გუშინ არასაპარლამენტო ოპოზიციის კონსულტაციებზე იმყოფებოდა "მემარჯვენე" მამუკა კაციტაძე. როგორც მან "24 საათთან" საუბარში განაცხადა, **"მე ამ შეხვედრის შესახებ ინფორმირებული არ ვიყავი, მაგრამ კუჩმას სიძესთან გამართულ შეხვედრაზე კომენტარის გაკეთება თავისთავად ღიმილის მომგვრელია. არავინ არის ვალდებული, სხვები საქმის კურსში ჩააყენოს - ვინ ვის სიძეს ან ახლობელს ხვდება. ასეთი ვალდებულებები პარტიაში პარტიის წევრებსაც კი არ აქვთ, მით უფრო არ არსებობს პარტიათაშორისი ვალდებულება."**

"რესპუბლიკური პარტიის" წევრ დავით ზურაბიშვილის აზრით, არავინ არის ვალდებული, რომ ესა თუ ის შეხვედრა სხვადასხვა ოპოზიციურ პარტიებთან შეათანხმოს.

**"მე არ მესმის, რატომ უნდა ვყოფილიყავით ინფორმირებულები ბურჯანაძის შეხვედრის შესახებ. მას თავისი პარტია აქვს. ამ ტიპის შეხვედრებს პარტიები ერთმანეთს არ უთანხმებენ. აბსოლუტურად მისი პრეროგატივაა, ვისთან გამართავს შეხვედრებს,"** - განუმარტა "24 საათს" ზურაბიშვილმა.

სხვათა შორის, უკრაინული პრესა ქართველი ოპოზიციონერების, კერძოდ კი, ნინო ბურჯანაძისა და მისი მეუღლის კიევში გახშირებულ ვიზიტებზე რამდენიმე თვის წინაც წერდა.

"თითქოს, უკრაინის ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის საკუთარი გარჩევები არაა საკმარისი, რომ ბოლო დროს, კიევში სტუმრობას ქართველმა ოპოზიციონერებმა მოუხშირეს. ეს ბატონები თავის ოპოზიციონერ კოლეგებს რომ ხვდებოდნენ, არავითარი კითხვა არ გაჩნდებოდა, მაგრამ აქ საქმე სხვაგვარადაა - როგორც წესი, ყველა შეხვედრა კულისებს მიღმა მიმდინარეობს. ამ შეხვედრების ფიგურანტები არაოფიციალური პირები, უფრო ხშირად კი, უბრალოდ, კრიმინალები და საერთოდაც, მეზობელი რუსეთიდან ჩამოსულები არიან. ასე მოხდა უკრაინაში საქართველოს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის, ნინო ბურჯანაძის ბოლო ვიზიტისას. ეს განმეორდა რამდენიმე დღის წინაც, მისი მეუღლის, წარსულში საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის შეფის, ბადრი ბიწაძის ამასწინანდელი ვიზიტისას...."

- წერდა უკრაინული ინტერნეტგამოცემა DailyUA 2009 წლის 26 მარტს. პუბლიკაცია, რომლის სათაურია "შეხვედრის ადგილი - უკრაინა" - ნინო ბურჯანაძის მეუღლის, ბადრი ბიწაძის, კრიმინალ თეიმურაზ მამთაჯისა და რუსი ოლიგარქის, შალვა ბრეუსის ფარულ შეხვედრას ეხებოდა.

იმავე პუბლიკაციაში ვკითხულობთ: "...საქართველოს რუსული იმპერიის გავლენის სფეროდან გამოსვლისა და ცივილიზებული ევროპული ქვეყნების რიგში ჩადგომის წინააღმდეგ ძალიან ბევრი სახიფათო ძალა შეიკრა. ასეა უკრაინის შემთხვევაშიც. ბოროტების იმპერიისგან ჩვენი ქვეყნების ნამდვილი დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა ერთმანეთს ძალიან ჰგავს და ლამის პარალელური კურსით მიმდინრეობს. ცხადია, ასეთი შეხვედრები უკრაინელებსაც აქვთ. მაგრამ, საინტერესოა, ამგვარი შეხვედრების ადგილად ქართველი რენეგატები რატომ ირჩევენ სწორედ უკრაინას? იმიტომ ხომ არა, რომ ქართული სპეცსამსახურებისგან განსხვავებით, რომელთაც მსგავსი შეხვედრები თავის ტერიტორიაზე შეუძლებელი გახადეს, ჩვენი სპეცსამსახურები ისე გადაეშვნენ კორუფციაში, წვრილმან დავებსა და გარჩევებში, რომ საკუთარი ცხვირის წინ მდგარ სპილოსაც ვერ ხედავენ?"

# ალასანიასეული პრაგმატიზმი

*აშშ-დან დაბრუნებულ ირაკლი ალასანიას მიმართ ქართულ საზოგადოებას შეკითხვები დაუგროვდა. კერძოდ, საპარლამენტო უმრავლესობის წევრები "ალიანსი საქართველოსთვის" ლიდერს ბერლინში ლევან გაჩეჩილაძეს, დავით გამყრელიძესა და კახა თარგამაძეს შორის გამართული შეხვედრის მიმართ პოზიციის გამოხატვას სთხოვდნენ. გუშინდელ პრესკონფერენციაზე ირაკლი ალასანიამ თავდაპირველად, აშშ-ში პრეზიდენტ ბარაკ ობამას ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გამართული შეხვედრების შესახებ ისაუბრა. გარდა ამისა, მან სამომავლო გეგმებზეც გაამახვილა ყურადღება.*

დათო ბამისონია

"ალიანსი საქართველოსთვის" ლიდერი უახლოეს დღეებში ახალი პოლიტიკური პარტიის შექმნას აპირებს. ალასანიამ აღნიშნა, რომ დავით გამყრელიძე მასთან მხოლოდ ალიანსურ რეჟიმში თანამშრომლობს და ის არ იქნება მისი ახალი პოლიტიკური პარტიის წევრი. თუმცა, ალასანიამ იქვე განმარტა, რომ ეს გადაწყვეტილება ბერლინში გამართულ შეხვედრამდე მიიღეს. მიუხედავად იმისა, რომ, ალასანიას აზრით, ბერლინში გამართული შეხვედრა პოლიტიკურ დატვირთვას არ ატარებდა, მან კატეგორიულად გამორიცხა მისი პოლიტიკური გუნდის რაიმე სახის კავშირი კახა თარგამაძესთან. რაც შეეხება თარგამაძესთან "ალიანსი საქართველოსთვის" თანათავმჯდომარის შეხვედრას, ალასანიამ განმარტა, რომ მას ბერლინში გამართული შეხვედრის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდა. **"ალიანსის ლიდერები ერთმანეთს მხოლოდ პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებულ შეხვედრებს უთანხმებენ,"** - აღნიშნა ირაკლი ალასანიამ. ამავე დროს, "ალიანსი საქართველოსთვის" ლიდერმა შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის შესახებაც გააკეთა კომენტარი. **"ბატონ თარგამაძეს პირადად არ ვიცნობ, მაგრამ, ბუნებრივია, რომ არავის სურს უსაფრთხოების იმ სისტემის დაბრუნება, რომელიც შევარდნაძის დროს იყო. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უსაფრთხოების დღევანდელი სისტემა მას არაფრით სჯობია,"** - განაცხადა ალასანიამ. მისი აზრით, სააკაშვილის ხელისუფლების მიერ წარმოებული პიარკამპანიის მიზანს 15 ივნისს პოლიციის მთავარ სამმართველოსთან მომხდარი დარბევის გადაფარვა წარმოადგენდა. სამი პოლიტიკური ძალის "ალიანსის" ლიდერმა პასუხი გასცა ხელისუფლების ბრალდებას ოპოზიციური ძალების საზღვარგარეთიდან დაფინანსების შესახებ. ალასანიამ მკაფიოდ აღნიშნა, რომ ქართულ პოლიტიკაში უცხოური კაპიტალი არ უნდა მონაწილეობდეს. პრესკონფერენციის გამართვამდე, გუშინ, ირაკლი ალასანია "ალიანსი საქართველოსთვის" თანათავმჯდომარეებს დავით უსუფაშვილსა და დავით გამყრელიძეს შეხვდა. მათ მედიის წარმომადგენლებთან განაცხადეს, რომ ბერლინში გამართული შეხვედრის შემდეგ, ხელისუფლების დიდი სურვილის მიუხედავად, "ალიანსი საქართველოსთვის" არ დაიშლება.

პრესკონფერენციაზე ირაკლი ალასანიამ მოითხოვა, კანონის შესაბამისად დაისაჯონ ის ადამიანები, რომლებმაც 15 ივნისს პოლიციის მთავარ სამმართველოსთან საპროტესტო აქციის მონაწილეების დარბევის ბრძანება გასცეს. მისივე თქმით, ხელისუფლება დღემდე განაგრძობს დანაშაულებრივ ქმედებებს, რასაც ოპოზიციური პარტიების ოფისებში მოსასმენი აპარატურის აღმოჩენა ცხადყოფს. **"ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ ხელისუფლება ოპერატიულ სამსახურებს პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ იყენებს. ეს ძალიან მძიმე დანაშაულია,"** - განაცხადა ალასანიამ. ყოველივე ამის მიუხედავად, ალასანია არ აპირებს არჩეული პოლიტიკური გზიდან გადახვევას: **"ჩვენ გავაგრძელებთ დიალოგს და შეხვედრებს ხელისუფლებასთან, მაგრამ გვექნება კონკრეტული შეთავაზებები, თუ როგორ უნდა მოხდეს დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება საქართველოში,"** - აღნიშნა მან.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე "ალიანსი საქართველოსთვის" ლიდერმა აშშ-ში ვიზიტის შესახებ ისაუბრა. ალასანიას შეხვედრები ჰქონდა პრეზიდენტ ბარაკ ობამას ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, კერძოდ, სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალჩინოსნებთან, აშშ-ს თავდაცვის მდივნის მოადგილეებთან და თეთრი სახლის უშიშროების საბჭოს წარმომადგენლებთან "ალიანსის" ლიდერის თქმით, მან ასევე გამართა დახურული შეხვედრა ატლანტიკურ საბჭოში, სადაც საუბარი იყო რუსეთის მიერ ქართული ტერიტორიების ოკუპირების და კონფლიქტის დარეგულირების საკითხებზე. გაერო-ში საქართველოს ყოფილი ელჩი გენერალურ მდივან ბან კი მუნის მოადგილეებს შეხვდა.

ალასანია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტ ჯო ბაიდენის დაგეგმილ ვიზიტს საქართველოში. მისი თქმით, მიუხედავად ამისა, ბაიდენის ჩამოსვლა, პირველ რიგში, მნიშვნელოვანი სიგნალია რუსეთის ფედერაციისთვის. **"ეს ნიშნავს, რომ აშშ და ევროპა ჩვენს რეგიონს არ მიატოვებენ, გაგრძელდება საქართველოს სუვერენიტეტის მხარდაჭერა და შენარჩუნდება არაღიარების პოლიტიკა,"** - განმარტა ალასანიამ.

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი),
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# კონსტრუქციული დავა საპირისპირო პოზიციებიდან

პირველი გვერდიდან

**"ამ შეთანხმებას მხოლოდ რუსეთის ფედერაციასთან გავაფორმებთ და არა დე ფაქტო სტრუქტურების წარმომადგენლებთან. შეთანხმება უნდა ითვალისწინებდეს საოკუპაციო ჯარების გაყვანას და 12 აგვისტოს შეთანხმების შესრულებას, ასევე დევნილების უსაფრთხო და ღირსეულ გარემოში დაბრუნებას,"** - განაცხადა გუშინ, კონსულტაციების დაწყების წინ, ქართული დელეგაციის წევრმა, შსს-ს ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელმა შოთა უტიაშვილმა.

რუსეთის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის ხელმოწერა შესაძლებელია მხოლოდ რუსეთსა და საქართველოს შორის. დოკუმენტი საქართველოს ორი სეპარატისტული რეგიონის დეოკუპაციასაც უნდა ითვალისწინებდეს, - განაცხდა, თავის მხრივ, საქათველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გიგა ბოკერიამ. მისი თქმით, შეთანხმება ასევე უნდა მოიცავდეს **"საწყის იდეებს"** კონფლიქტურ რეგიონებში საერთაშორისო საპოლიციო ძალების განთავსების შესახებ. ბოკერიას განცხადებით, **"უნდა დადგეს საქართველოდან საოკუპაციო ძალების გაყვანის საკითხი. ასევე უნდა დაიწყოს კონფლიქტის ზონაში საერთაშორისო ძალების განთავსების საკითხის განხილვა."**

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა შეხვედრის დაწყების წინ განაცხადა, რომ **"დროა, მხარეებმა აგრესიისა და ავანტიურების თავიდან აცილებაზე იფიქრონ."** მისი თქმით, **"ძალისმიერი გზით პრობლემების მოგვარების ყველა მცდელობა განწირულია."**

გუშინდელ დისკუსიაზე მსჯელობა, ძირითადად, ორ საკითხზე გაიმართა - ძალის გამოუყენებლობის შესახებ შეთანხმების გაფორმებასა და ქართული მხარის წინადადებაზე აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში საერთაშორისო საპოლიციო ძალების შეყვანის თაობაზე.

შეხვედრის შემდეგ გრიგორი კარასინს აშკარა ოპტიმიზმი ეტყობოდა. მან იმედი გამოთქვა, რომ ეს ზაფხული რეგიონში მშვიდად ჩაივლის. **"მომავალ თვეებს იმედით და ოპტიმიზმით ვუყურებთ,"** - აღნიშნა რუსული დელეგაციის ხელმძღვანელმა.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გუშინდელი შეხვედრა საერთო ჯამში დადებითად შეაფასა. მისი თქმით, დისკუსიების დროს განიხილეს რუსული მხარის წინადადება, რეგიონიდან საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების წასვლის გამო, ჟენევის ფორმატის ცვლილების შესახებ.

**"სიტუაცია რეგიონში სახიფათოა, დღეს ვსაუბრობთ იმაზე, თუ როგორ ვიპოვოთ სტაბილურობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის გზები. ჟენევის დისკუსიის მონაწილეებს აქვთ ასეთი შესაძლებლობები,"** - აღნიშნა კარასინმა და დასძინა, რომ **"დისკუსია პოზიტიურ და კონსტრუქციულ ნოტაზე დავასრულეთ."**

უკმაყოფილო მხოლოდ ცხინვალის რეჟიმის დელეგაცია ჩანდა. ბორის ჩოჩიევმა შეხვედრის შემდეგ აღნიშნა, რომ საქართველო ისევ ემზადება ომისთვის, **"ან მას ამზადებენ"** და შეხვედრაზე ამის დასტურად მოიყვანა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელ მეთიუ ბრაიზას განცხადება იმის შესახებ, რომ აშშ საქართველოს შეიარაღებული ძალების აღჭურვაში ეხმარება.

თავის მხრივ, მეთიუ ბრაიზამ აღნიშნა, რომ ისურვებდა, ოსური მხარის განწყობა **"უფრო კონსტრუქციული ყოფილიყო."** მისი თქმით, ყველა დანარჩენი მხარე გუშინ კონსტრუქციულად იყო განწყობილი. **"ჩვენ ვეძებთ გზებს, რათა ადგილებზე უსაფრთხოების მექანიზმები შეიქმნას,"** - აღნიშნა ბრაიზამ.

ერთადერთი კონკრეტული შეთანხმება, რომელიც გუშინ იქნა მიღწეული, 14 ივლისს გალში ინციდენტების პრევენციის მექანიზმის ფარგლებში მორიგი შეხვედრის ჩატარების გადაწყვეტილება გახდა. ამ ინიციატივით სოხუმის წარმომადგენლები გამოვიდნენ. სოხუმის დელეგაციის ხელმძღვანელ მაქსიმ ღვინჯიას განცხადებით, აფხაზური მხარე ასევე თანახმაა, აფხაზეთში დაბრუნების მსურველ დევნილთა რეგისტრაცია დაიწყოს.

**"ყველაზე თვალსაჩინო შედეგი ის არის, რომ აფხაზური მხარე, რომელიც ინციდენტების პრევენციის მექანიზმის ამოქმედებას ითხოვდა, მომდევნო შეხვედრას დათანხმდა,"** - აღნიშნა მოლაპარაკებების შემდეგ გამართულ ბრიფინგზე გაერო-ს სპეციალურმა წარმომადგენელმა იოჰან ვერბეკემ.

**"აფხაზეთის მიმართულებით პროგრესის"** შესახებ გიგა ბოკერიამაც ისაუბრა. თუმცა, მისი თქმით, სამწუხაროდ, ცხინვალის მიმართულებით ამგვარი პროგრესი კიდევ არ არის მიღწეული - ოსური მხარე შეხვედრას არ თანხმდება.

რაც შეეხება ქართული მხარის წინადადებას ოკუპირებულ რეგიონებში ევროკავშირის დამკვირვებელთა და საერთაშორისო საპოლიციო ძალების შეყვანის შესახებ, მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, რომ **"ამ ეტაპზე რუსეთი ამ მიმართულებით მუშაობისთვის მზადყოფნისგან შორს არის. მაგრამ, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ იდეის განხილვას დიდი დრო დაეთმო."**

რაც შეეხება შეთანხმებას ძალის გამოუყენებლობის შესახებ, ამ დოკუმენტის საკუთარი ვარიანტები რუსულმა და ქართულმა მხარეებმა საერთაშორისო შუამავლებს წარუდგინეს.

**"საქართველოსთვის 12 აგვისტოს შეთანხმება, მათ შორის პუნქტი ძალის გამოუყენებლობის შესახებ, ძალაში რჩება,"** - აღნიშნა გიგა ბოკერიამ.

მისი თქმით, მთავარია ძალის გამოუყენებლობის პრინციპების განხორციელება და ამისთვის საჭიროა არა მარტო ნდობის აღდგენა, არამედ **"ახალი კომპონენტის შემოტანა, რაც არა მარტო სადამკვირვებლო მისიების აღდგენას, არამედ ამ რეგიონებში საერთაშორისო საპოლიციო ძალების შემოყვანას გულისხმობს."**

ამ საკითხის განხილვას მხარეები შემდეგ შეხვედრაზე დაუბრუნდებიან, რომლიც 17 სექტემბრისთვის არის დაგეგმილი.

გუშინვე ცნობილი გახდა, რომ საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის გაფართოების წინადადებით ლიტვის პრეზიდენტი ვალდას ადამკუსი გამოვიდა. მან აღნიშნა, რომ მზად არის, ამ საკითხის მოსაგვარებლად შუამავლის მისია იკისროს და საქართველოსა და ევროკავშირს მოლაპარაკების რაც შეიძლება სწრაფად დაწყებისკენ მოუწოდა.

როგორც ლიტვის პრეზიდენტმა ეუთო-ს მოქმედ თავმჯომარესთან, საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრ დორა ბაკოიანისთან შეხვედრისას განაცხადა, **"რუსეთის მიერ ეუთო-სა და გაერო-ს მისიების ბლოკირების შემდეგ, რეგიონში მხოლოდ ევროკავშირის მისია რჩება და მისი ფუნქციების გაძლიერება აუცილებელია."**

როგორც, თავის მხრივ, დორა ბაკოიანისმა აღნიშნა, იგი მზად არის, საქართველოში ეუთო-ს მისიის აღსადგენად **"ბოლომდე იბრძოლოს."**

დღის შეკითხვა

## რა უნდა გააკეთოს ქართულმა მხარემ იმისათვის, რომ რუსეთმა ვერ შეძლოს მისი ხელმეორედ ჩათრევა სამხედრო კონფლიქტში?

***კახა გოგოლაშვილი,*** *საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ცენტრის ექსპერტი, ევროპული კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი:*

პირველ რიგში, საჭიროა განსაკუთრებული ყურადღების გამოჩენა საზღვარზე - ნებისმიერი პროვოკაციის შემთხვევაში, აუცილებელია საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირება, ევროკავშირის მონიტორების ჩართვა. მათ გაუფრთხილებლად საქართველოს ხელისუფლებამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიიღოს საპასუხო ზომები.

მეორე, რაც უფრო მჭიდრო კონტაქტი გვექნება საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რაც უფრო ხშირად ისაუბრებს საქართველო თავის პოზიციებზე, ეს ხელს შეუშლის რუსეთის მხრიდან დეზინფორმაციის გავრცელებას. რუსული პრესა ხშირად წერს, რომ საქართველო ისევ ემზადება ომისთვის, რომ ქართულმა მხარემ მანევრები ჩაატარა, შეიძინა შეირაღება და ა.შ. ჩვენ უნდა შევძლოთ ამგვარი გამოსვლების მაქსიმალურად განეიტრალება საერთაშორისო არენაზე.

მესამე, საქართველოში უნდა არსებობდეს პოლიტიკური სტაბილურობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, რუსეთში გაძლიერდება იმის ილუზია, რომ იგი ჩვენს ქვეყანაში დასაყრდენს ჰპოვებს. რუსეთს არ უნდა მივცეთ საშუალება, ჩვენი შიდაუთანხმოებით ისარგებლოს.

ასევე მნიშვნელოვანია აქტიური მუშაობა მოსახლეობასთან, განსაკუთრებით, რეგიონებში. საჭიროა მათი მხარდაჭერის მოპოვება. მოგეხსენებათ, რუსეთი მოსაზღვრე რაიონებში ცდილობს, ხალხს თავი პოზიტიურ ძალად მოაჩვენოს. მაგალითად, რუსეთი მონდომებულია, რომ ახალგორში ხალხის მიმართ მაქსიმალურად გულთბილი იყოს, გაითვალისწინოს მათი მოთხოვნები და პრობლემები.

მოკლედ, რუსეთი როგორც უკუპირებულ ტერიტორიებზე, ასევე მის გარეთაც ცდილობს, პოზიტიური ძალის იმიჯი დაიმკვიდროს. თუ საქართველოში სირთულეები მოიმატებს ეკონომიკური კრიზისის ან სხვა ფაქტორების გამო, შეიძლება მოსახლეობის ნაწილში რუსეთისადმი სენტიმენტები გაჩნდეს. მათ შეიძლება იფიქრონ, რომ რუსეთი პრობლემების მოგვარებაში დაეხმარებათ. ბევრ ადამიანს დღეს კარგად არ ესმის, რომ ეს დახმარება დამოუკიდებლობის დაკარგვას ნიშნავს.

ძალიან ხშირად მოსახლეობა კარგად არ არის გარკვეული, ასე რატომ გამწვავდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, რატომ არის ჩაკეტილი საზღვრები, რატომ ვერ მყარდება ადამიანური ურთიერთობები თუნდაც კონფლიქტურ ზონაში დარჩენილ ხალხთან. არცთუ იშვიათად ჩნდება შეგრძნება, რომ ყველაფერი ეს საქართველოს ხელისუფლების მიზეზით ხდება. ამ მიმართულებითაც მნიშვნელოვანი მუშაობაა საჭირო. აუცილებლია ეროვნული კონსოლიდაცია. იმ შემთხვევაში, როცა საზოგადოებრივი აზრი კონსოლიდირებულია, აგრესიის განხორციელება რთულია.

როცა ქვეყანაში მრავალნაირი ეჭვი არსებობს და მათი განეიტრალება არ ხდება, ასეთი ვითარებით აგრესორი ადვილად სარგებლობს.

ასევე მნიშვნელოვანია ქვეყანაში ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნება, ინფლაციის არდაშვება, ეროვნული ვალუტის "დაჭერა". მოსახლეობა შეიძლება სიძნელეებისთვის მზად იყოს, მაგრამ მას არ უნდა გაუჩნდეს მომავლის შიში და პანიკაში არ უნდა ჩავარდეს.

ჩემი აზრით, ქართულმა მხარემ ყველა ეს ფაქტორი მაქსიმალურად უნდა გაითვალისწინოს.

***ანდრო ბარნოვი,*** *პოლიტოლოგი:*

რუსეთის აგრესიის პირდაპირი შეკავება დღევანდელ კონტექსტში, დღევანდელ ვითარებაში არც ჩვენ შეგვიძლია და არც საერთაშორისო საზოგადოებას.

მოკლევადიან პერიოდში საქართველოს არ უნდა ჰქონდეს იმის მოლოდინი, რომ საერთაშორისო თანამეგობრობიდან ვინმე რუსეთს თითს დაუქნევს. მოკლედ, სიტუაცია ასეთია - რუსეთს გლობალურად ვერ ვაჩერებთ. ასეთ ვითარებაში ჩვენ მას არავითარ შემთხვევაში არ უნდა მივცეთ საბაბი, რომელიც შეიძლება თითზე დაიხვიოს და ამით თავისი აგრესია გაამართლოს.

ჩემი აზრით, მთავარი გამოსავალი ქვეყანაში სტაბილური ვითარების შექმნაა. ჩვენ ახლა აუცილებლად გვჭირდება სრულიად განახლებული რიტორიკა უმცირესობების, კონფლიქტური და სეპარატისტული რეგიონების მიმართ.

უნდა შეიცვალოს დამოკიდებულება პოლიტიკური ოპონენტებისადმი. სხვათა შორის, ეს ორივე მხარეს ეხება - როგორც ხელისუფლებას, ასევე ოპოზიციას. ცხადია, ხელისუფლების პასუხისმგებლობა გაცილებით მაღალია და ცვლილებების გასატარებლად მას უამრავი ბერკეტი აქვს. აქედან გამოდინარე, უპირველესად ხელისუფლებამ უნდა შესთავაზოს თამაშის ახალი წესები პოლიტიკურ პარტნიორებს, ოპონენტებს, საზოგადოებას

ქვეყანაში უნდა გადაიდგას ისეთი ნაბიჯები, რომლებიც მოხსნის ეჭვებს და კითხვებს - მივდივართ თუ არ მივდივართ დემოკრატიისკენ. ეს არის გამოსავალი.

ძალზე რთულია დღეს კონტროლის მექანიზმებზე დაყრდნობა. რუსეთის პირისპირ ამის იმედად ყოფნა ძნელია. რაც მთავარია, თუ დემოკრატიისა და სამშვიდობო პროცესისთვის მყარი ნიადაგი არ შეიქმნა, ეს კონტროლი მყიფე აღმოჩნდება.

აქედან გამომდინარე, დემოკრატიულობის კომპონენტი სასიცოცხლოა. თუ ქვეყანაში ეკონომიკა არ ამუშავდა, თუ მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებმა არ იგრძნეს, რომ მათ აქვთ კონკრეტული ადგილი ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მაშინ რთული იქნება სტაბილურობის ხანგრძლივი დროით შენარჩუნება. ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ რუსეთისთვის არც ის სცენარი იქნება უარესი, როდესაც საქართველოს ხელისუფლებაში რუსეთის "ფანი" ლიდერი არ იჯდება, მაგრამ ქვეყანაში ტოტალური ქაოსი იარსებებს.

***ზურაბ დავითაშვილი,*** *ექსპერტი საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში:*

რუსეთი კონფლიქტის ხელახალ გამწვავებას შეეცდება. ამაში დარწმუნებული ვარ უბრალო მიზეზის გამო - 2008 წლის აგვისტო რუსეთისთვის პირველი შეთხვევა იყო, როდესაც იგი დასაპყრობი ქვეყნის ტერიტორიაზე ჯარით შეიჭრა და იქ მისთვის საძულველი ხელისუფლება ვერ შეცვალა. აქედან გამომდინარე, გაღიზიანებული რუსეთი მოწადინებულია, პროვოკაციაზე წამოაგოს საქართველო, რათა შემდეგ მსოფლიო საზოგადოების წინაშე თავი იმართლოს.

ერთი რამ მინდა ვთქვა მკაფიოდ: როგორი მძიმეც არ უნდა იყოს ესა თუ ის პროვოკაცია, საქართველოს უნდა ეყოს მოთმინება და თავშეკავება. ჩვენ უნდა გავთავისუფლდეთ ილუზიებისგან და არ უნდა ვიმოქმედოთ საერთაშორისო თანამეგობრობის იმედად - დღევანდელ დღეს, ამ ეტაპზე ჩვენდამი მსოფლიო საზოგადოების თანადგომა სიტყვიერ მხარდაჭერას ვერ გასცდება.

*ესაუბრა ვერიკო თევზაძე*

### საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ხუთკაციანმა დელეგაციამ მოსკოვში შეხვედრები დაიწყო

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ხუთკაციან დელეგაციას რუსეთის პატრიარქი კირილი მიიღებს, მოგვიანებით კი ისინი საგარეო უწყებაშიც გამართავენ შეხვედრებს. წინასწარი ინფორმაციით, შეხვედრებზე ქართული ეკლესიის დელეგაციის წევრები ჰუმანიტარული საკითხების გარდა, ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის საკითხების დაყენებას გეგმავს. "ვიზიტის მსვლელობისას, რომელიც 5 ივლისამდე გაგრძელდება, საქართველოსა და რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ურთიერთობების საკითხები განიხილება. ასევე შედგება საუბარი სხვა საკითხებზე," - განაცხადა დელეგაციის ხელმძღვანელმა, საქართველოს საპატრიარქოს საგარეო ურთიერთობათა განყოფილების ხელმძღვანელმა, ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტმა გერასიმემ (შარაშენიძე). საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ხუთკაციანი დელეგაცია მოსკოვს 30 ივნისს ეწვია.

### დავით უსუფაშვილი "ქრისტიან-დემოკრატების" ინიციატივას იწუნებს

"ალიანსი საქართველოსთვის" თანათავმჯდომარე დავით უსუფაშვილი საზოგადოებრივი მონიტორინგის საბჭოს შექმნის ინიციატივის გამო "ქრისტიან-დემოკრატებს" აკრიტიკებს. "პარლამენტში უკვე არსებობს აღმასრულებელ ორგანოებზე მონიტორინგის განმახორციელებელი სტრუქტურა და საინტერესოა, ის რატომ არ ფუნქციონირებს? კარგი იქნებოდა, "ქრისტიან-დემოკრატებმა" პარლამენტში შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი დაიბარონ და პირადად ჰკითხონ, რატომ გახდა ამ სტრუქტურის ამოქმედება პრობლემა? ჯერ მერაბიშვილისგან მოისმინონ შესაბამისი განმარტება და მხოლოდ შემდეგ იქნება შესაძლებელი ახალი მონიტორინგის საბჭოს შექმნაზე საუბარი," - განუცხადა უსუფაშვილმა ჟურნალისტებს. მისი განმარტებით, მონიტორინგის ახალი საბჭოს შექმნის ინიციატივით გამოსვლა მაშინ, როცა მსგავსი სტრუქტურა საკანონმდებლო ორგანოში უკვე არსებობს, ნიშნავს, რომ პარლამენტი არ ფუნქციონირებს. საზოგადოებრივი მონიტორინგის საბჭოს შექმნის ინიციატივით "ქრისტიან-დემოკრატები" გამოდიან. **ჯი-ეიჩ-ენი**

### რუსულ არმიაში ტანკების რაოდენობა 2 000-მდე შემცირდება

რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულ ძალებში ტანკების ორი ათას ერთეულამდე შემცირება იგეგმება. ეს ინფორმაცია რუსულ მედიას რუსეთის თავდაცვის სამინისტროში არსებულმა წყარომ აცნობა. მათი ინფორმაციით, არმიის რეფორმირების ფარგლებში, რუსეთის გენშტაბმა სატანკო სტრუქტურების ახალი გეგმა დაამტკიცა. "სხვადასხვა მოდიფიკაციის (ტ-90, ტ-80, ტ-72) ტანკების პარკის საერთო რაოდენობა ორი ათას ერთეულამდე შემცირდება. ასე რომ, ტანკების რაოდენობა, 2005 წელთან შედარებით, თითქმის 10-ჯერ შემცირდება," - იუწყება რუსული მედია. **ჯი-ეიჩ-ენი**

### "რკინიგზის რუსეთისთვის გადაცემის საკითხს ბოლომდე მივიყვან"

აფხაზ სეპარატისტთა ლიდერი სერგეი ბაგაფში აცხადებს, რომ აფხაზური რკინიგზის რუსეთის რკინიგზისათვის გადაცემის საქმეს ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანს. "მიუხედავად ოპოზიციის მკაცრი კრიტიკისა, ამ საქმეს ლოგიკურ დასასრულამდე მივიყვან. ჯერჯერობით არავის არაფერზე არ მოუწერია ხელი. ჯერ ამ საკითხის განხილვა მიმდინარეობს," - აცხადებს ბაგაფში და დასძენს, რომ აფხაზეთისა და მისი ხალხის ინტერესების საწინააღმდეგოდ არავითარი ნაბიჯი არ იქნება გადადგმული. ეს განცხადება სერგეი ბაგაფშმა ახალგაზრდული მოძრაობა "მოლოდაია აბხაზიას" წევრებთან შეხვედრისას გააკეთა. აფხაზ სეპარატისტთა ლიდერმა ასევე აღნიშნა, რომ აფხაზეთის ოპოზიციური პარტიები რკინიგზისა და აეროპორტის საკითხებზე არჩევნების წინ პოლიტიკურ სპეკულაციას ეწევიან. ახალგაზრდული მოძრაობის წევრები ასევე დაინტერესდნენ აფხაზური საზღვარგარეთის პასპორტების საკითხით, რაზეც აფხაზ სეპარატისტთა ლიდერმა განაცხადა, რომ მან მთავრობას ამ საკითხების შესახებ შესაბამისი განკარგულებები უკვე მისცა. "პასპორტები იქნება," - განაცხადა ბაგაფშმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ფიქრია ჩიხრაძემ სალომე ზურაბიშვილის პარტიაში საეჭვო პირი აღმოაჩინა

"ახალი მემარჯვენეები" არ გამორიცხავენ, რომ პარტია "საქართველოს გზის" ოფისში აღმოჩენილი მოსასმენი აპარატურა თავად სალომე ზურაბიშვილის პარტიის წევრის მიერ იყოს დამონტაჟებული. როგორც "ახლების" ერთ-ერთმა ლიდერმა ფიქრია ჩიხრაძემ განაცხადა, მან გარკვეული პერიოდის წინ ზურაბიშვილის პარტიაში "საეჭვო პირი" შეამჩნია, რის შესახებაც ზურაბიშვილსაც შეატყობინა. ამასთან, მისთვის უცნობია, რა გადაწყვეტილება მიიღო ამ ინფორმაცის მიღების შემდეგ ზურაბიშვილმა. "არ გამოვრიცხავ, რომ ზურაბიშვილის პარტიაში აღმოჩენილი მოსასმენი აპარატურა სწორედ მის მიერ იყოს დამონტაჟებული. ხელისუფლება რომ ყველანაირად ეცდება პარტიებში საკუთარი წარმომადგენლების შეგზავნას, ამაში ეჭვი არავის ეპარება, აქედან გამომდინარე, ძნელია იმის გამორიცხვა, რომ ამა თუ იმ პარტიაში ხელისუფლების მიერ შეგზავნილი პირები მოქმედებდნენ," - განაცხადა ჩიხრაძემ. ამ დროისთვის მოსასმენი აპარატურა "კონსერვატიული პარტიის", პარტია "საქართველოს გზისა" და "ალიანსი საქართველოსთვის" ოფისებშია აღმოჩენილი. **პირველი**

2 ივლისი, ხუთშაბათი, 2009 წელი. №147 24 საათი

# იაფი დაზღვევის მეორე წრე

## 1,5 მილიონი ადამიანი ჯანდაცვის პროგრამის და დაზღვევის გარეშე დარჩა

ნინო ნატროშვილი

იაფი დაზღვევის პროგრამის ვადის გაგრძელების შესახებ საქართველოს ჯანდაცვის მინისტრმა სანდრო კვიტაშვილმა ოფიციალური განაცხადი გააკეთა. ეგრეთ წოდებული რევოლუციური პროგრამა, რომლის მთავარი მიზანიც, ექსპერტების შეფასებით, საზოგადოებაში დაზღვევის კულტურის დანერგვა იყო, 21 ივლისამდე გაგრძელდება. პროგრამის ვადა მიმდინარე თვის ბოლოს იწურებოდა. პროგრამამ სტარტი 2009 წლის პირველი მარტს აიღო. საქართველოს პრეზიდენტი იაფი დაზღვევის ფარგლებში 500 ათასი ადამიანის დაინტერესებას ელოდა. თუმცა, არსებული სტატისტიკით, ამ დროისათვის 500 ათასის ნაცვლად, მხოლოდ 40 ათასი ადამიანია დაზღვეული. არადა, ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების წილი სწორედ ამ პროგრამის შედეგების მოლოდინის ფონზე შემცირდა.

ამ ფონზე ჯანდაცვის მინისტრი აცხადებს, რომ იაფი დაზღვევა წარმატებით ხორციელდება და 500 ათასი მოქალაქის დაზღვევაზე გაწერილი არასოდეს ყოფილა. მისივე თქმით, ბოლო პერიოდში დაზღვევის მსურველთა რაოდენობის ზრდის შესამჩნევი დინამიკა შეინიშნება. "გარკვეულწილად, პროგრამის განხორციელებას ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურმა მოვლენებმა შეუშალა ხელი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იაფი დაზღვევა ახალი პროგრამაა და ხალხს მეტი ინფორმაცია სჭირდება, რათა როგორც სახელმწიფო პროგრამების, ასევე სადაზღვევო სექტორის მიმართ მეტი ნდობა ჰქონდეთ," - განაცხადა სანდრო კვიტაშვილმა.

"იაფი დაზღვევის" პროგრამის ფარგლებში ადგილობრივ ბაზარზე მოქმედი 10 სადაზღვევო კომპანია მონაწილეობს. თითოეული კომპანია პროგრამის დაწყებისას დაახლოებით 10 ათასი ადამიანის დაზღვევას იმედოვნებდა, თუმცა 10 კომპანიამ ჯამში მხოლოდ 40 ათასი მოქალაქის დაზღვევა შეძლო.

დაზღვევის შეღავათიანი სისტემით 60 წლამდე ასაკის 500 000-მდე ადამიანს უნდა ესარგებლა. ამ პროგრამის განხორციელების მიზნით წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 15 მილიონი ლარი გამოიყო.

2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების და პირველადი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების დაფინანსება შემცირდა. შესაბამისად, იმ ადამიანებისთვის, რომლებიც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთათვის განკუთვნილ პროგრამაში ვერ მოხვდნენ, გაძვირებული სამედიცინო მომსახურება მიუწვდომელი გახდა. მთავრობის ახალი ინიციატივით ამ ადამიანების ნაწილისთვის სამედიცინო მომსახურება ხელმისაწვდომი უნდა გამხდარიყო.

იაფი დაზღვევის აღნიშნული პაკეტი სამ მიმართულებას მოიცავს: უბედური შემთხვევის დროს მიღებული ტრავმების მკურნალობას, გადაუდებელ სტაციონარულ და პირველად სამედიცინო დახმარებას. ახალი პროგრამის ფარგლებში დაზღვეული თითოეული ადამიანი ჯამში მთელი წლის განმავლობაში 8 000 ლარის სამედიცინო მომსახურებას მიიღებს. მთავრობასთან გაფორმებული მემორანდუმის ხელმომწერი კომპანიები არიან: "ალდაგი ბი-სი-აი", "იმედი L", "ჯი-პი-აი ჰოლდინგი", "ირაო", "სახალხო დაზღვევა", "აისი ჯგუფი", "ვესტი", "ტაო", "პარტნიორი" და "ალქიმედე გლობალ ჯორჯია". დაზღვევის თანხებს 70 პროცენტით ბიუჯეტიდან სახელმწიფო აანაზღაურებს. მოქალაქეები კი ერთი წლის თანხას - 19 ლარსა და 80 თეთრს წინასწარ გადაიხდიან.

საქართველოს სადაზღვევო ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე დევი ხეჩინაშვილი:

- ჩემი პროგნოზით, იაფი დაზღვევის ფარგლებში დაზღვეულთა რაოდენობა დაახლოებით 60 ათას ადამიანს მიაღწევს. სამწუხაროდ, შედეგი ისეთი არ არის, როგორიც მოლოდინი იყო. რა თქმა უნდა, ამის მიზეზებიც არსებობს, კერძოდ, არასტაბილური მდგომარეობა ქვეყანაში, რაც აფერხებს გრძელვადიან დაგეგმარებას. ასევე სახელმწიფოს როლი არ იყო მაინცდამაინც აქტიური. საჭირო იყო საზოგადოებასთან უფრო მეტი საუბარი, მეტი ახსნა. ეს საკმაოდ რთული პროცესია.

**- იყო პროგნოზი, რომ იაფი დაზღვევით ქვეყნის 500 ათასი მოქალაქე ისარგებლებდა. რაზე დაყრდნობით მომზადდა ეს ინფორმაცია?**

- სახელმწიფოც და ჩვენც მივიჩნევდით, რომ ამ პროგრამას ხალხი დიდი ენთუზიაზმით გამოეხმაურებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა.

**- ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამები შემცირდა, იაფი დაზღვევის პროგრამამ ის ეფექტი ვერ მოიტანა. როგორ ფიქრობთ, რაშია გამოსავალი?**

- რასაკვირველია, არიან ადამიანები, რომლებიც ადრე იყვნენ პროგრამების ბენეფიციარები. მაგრამ ეს რიცხვი საგანგაშო არ არის. რეფორმების განხორციელება სწრაფად არ ხდება. ამ პროცესს ნამდვილად აკლდა საზოგადოებრივი განათლების კომპონენტი. მცდელობები არ უნდა დავაკლოთ, საზოგადოებრივი და კერძო სექტორის თანამონაწილეობა უნდა გაიზარდოს.

**- დღეს არსებული გათვლებით, დაახლოებით რამდენი ადამიანი დარჩა ყველა პროგრამის მიღმა?**

- საქართველოში დაახლოებით მილიონ-ნახევარი ადამიანია დაზღვეული. სავარაუდოდ, 100 ათასი იქნება იაფი დაზღვევით. სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამით დაახლოებით 600 ათასი ადამიანი სარგებლობს - ასაკით 60 წლის ზევით, და 300 ათასამდე - სამი წლის ქვემოთ. დაახლოებით 2,5 მილიონი ადამიანი არის რაღაც დონეზე უზრუნველყოფილი. და 1,5 მილიონი ადამიანი პროგრამების გარეთ დარჩა. ამ ადამიანებს ჰქონდათ ურგენტული პროგრამა, სადაც შემთხვევების ერთი მეოთხედი ფინანსდებოდა და იყო 80-პროცენტიანი დეფიციტი.

**- პროგრამაში 10 სადაზღვევო კომპანია მონაწილეობს, თითოეული მათგანი 10 ათასი ადამიანის დაზღვევას პროგნოზირებდა. ვინ იმუშავა იაფი დაზღვევის პროდუქტის გაყიდვაზე ყველაზე უკეთ?**

- 4-5 კომპანიას ათი ათასის პრობლემა არ ექნება, მაგრამ რიგმა კომპანიებმა ნაკლები ენთუზიაზმი გამოიჩინეს. მაგალითად, "პარტნიორმა" სერიოზულად იმუშავა და მხოლოდ თბილისში 6 500 ადამიანი დააზღვია.

# სიკვდილის ფასი

## მაიკლ ჯექსონმა 400 მილიონიანი ვალი "თან წაიღო"

*ლეგენდარული პოპ-ვარსკვლავის, მაიკლ ჯექსონის უეცარმა სიკვდილმა კომპანია ARG Live-ს, რომელიც მის ბოლო საკონცერტო ტურნეს ატარებდა, უამრავი ფინანსური პრობლემა გაუჩინა. მსოფლიოში დაგეგმილი კონცერტების საერთო ღირებულება 500 მილიონ დოლარად არის შეფასებული, თუმცა აღმოჩნდა, რომ 50 კონცერტიდან მხოლოდ 10 გამოსვლა იყი დაზღვეული. თუ ვინ დაფარავს მაიკლ ჯექსონის დარჩენილ 400 მილიონიან ვალს, ეს უცნობია.*

*დაუსრულებელმა სასამართლო პროცესებმა ლეგენდარული პოპ-ვარსკვლავი იმდენად გააკოტრა, რომ საკუთარი ტალანტით და შრომით დაგროვილი 500 მილიონიანი ქონებიდან, სიცოცხლის ბოლო წლებში მას სულ რაღაც 83 ათასი დოლარი შერჩა ხელთ. მაშინ, როცა პოპ-ვარსკვლავის ვალები სიცოცხლეში თუ გარდაცვალების შემდეგ, ასეულობით მილიონ დოლარს შეადგენდა.*



ლიკა ჭობაძე

უმსხვილესი ამერიკული პრომოუტერული კომპანია AEG Live პოპ ვარსკვალვის გარდაცვალებამ უამრავი პრობლემის წინაშე დააყენა.

პრომოუტერულ კომპანიას 50 კონცერტი ჰქონდა დაგეგმილი, რომელთა საერთო ღირებულებაც 500 მილიონ დოლარს შეადგენდა. ჯექსონის უკანასკნელი კონცერტები სტარტს დიდი ბრიტანეთის დედაქალაქიდან, კერძოდ ლონდონის ცნობილი "სცენა O2"-იდან იღებდა. თავიდან, პოპ-მუსიკის ვარსკვლავი 10 კონცერტის გამართვას აპირებდა, თუმცა ის იძულებული გახდა თაყვანისმცემელთა მრავალრიცხოვანი არმიის სურვილს დამორჩილებოდა, რის შედეგადაც კონცერტების რაოდენობა 50-მდე გაიზარდა.

კონცერტზე დასასწრები თითქმის ყველა ბილეთი (800 ათასი) გაყიდულია. ახლა პრომოუტერულ კომპანიას ჯექსონის თაყვანისმცემლებისთვის 85 მილიონი დოლარის დაბრუნება მოუწევს.

კომპანია AEG Live-ის მესვეურები იმდენად დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ტურნე შედგებოდა, შესაძლო დანაკარგები თავადვე დაფარეს,- აღნიშნავს Evening Standart.

საქმე იმაშია, რომ ჯერ კიდევ მარტში გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სადაზღვევო კომპანიები მაიკლ ჯექსონის კონცერტების დაზღვევაზე უარს ამბობდნენ. მაშინ, ამის მიზეზად პოპ-ვარსკვლავის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები დასახელდა. საბოლოოდ კი აღმოჩნდა, რომ დაზღვეული იყო მხოლოდ 10 კონცერტი.

**"VIP-კლიენტებისთვის ანგარიშსწორება ყოველთვის ინდივიდუალურია. თუკი თქვენ საუბრობთ ავტომობილებისა თუ სახლების დაზღვევის შემთხვევებზე, სადაზღვევო კომპანია მის ხელთ არსებული სტატისტიკური მონაცემებით ხელმძღვანელობს."** - განმარტავენ პრომოუტერულ კომპანიაში.

მაგალითად, რამდენიმე წლის წინ, სანქტ-პეტერბურგში მადონას კონცერტები 6 მილიონ ევროდ იყო დაზღვეული, The Rolling Stones-ის კი 7,3 მილიონად. მაშინ კონცერტები ჩაიშალა, რადგან ჯგუფის გიტარისტი კეიტ რიჩარდსი, რომელიც ფიჯიზე ისვენებდა, პალმის ხიდან ჩამოვარდა.

წინასწარი გათვლებით, პოპ-ვარსკვლავის გამოსამშვიდობებელი კონცერტი - "This is It" (ეს ყველაფერია) ძალიან მოგებიანი უნდა ყოფილიყო როგორც ჯექსონისთვის, ასევე პრომოუტერული კომპანიისთვის. კონცერტებიდან შემოსული თანხით მაიკლი ყველა ვალს გაისტუმრებდა და ერთ დროს Neverland-ის კუთვნილ მამულსაც გამოისყიდიდა. რამდენიმე წლის წინ მან ეს მამული იმ კომპანიას გადაუფორმა, რომლის მფლობელიც თვითონ და კიდევ ერთი კომპანია - Colony Capital-ი იყო. სწორედ კომპანია Colony Capital-მა გასული წლის მაისში ჯექსონის მამული 24,5 მილიონ დოლარად ერთ-ერთ კრედიტორს მიჰყიდა.

Neverland-ის რანჩო მაიკლ ჯექსონმა 1988 წელს 30 მილიონ დოლარად იყიდა. მომღერალმა საკუთარ ეზოში ატრაქციონები ააშენა, პატარა ზოოპარკიც გახსნა. ერთი სიტყვით, მაიკლმა Neverland-ში თავისი რეზიდენცია დაარსა, სადაც მისი საყვარელი წიგნის პერსონაჟი პიტერ პენი ცხოვრობდა.

ჯექსონს Neverland-ის მამულის შენახვა ყოველთვიურად 120 ათასი დოლარი უჯდებოდა. სწორედ ამ მამულთან არის დაკავშირებული ერთ-ერთი სკანდალიც. მომღერალი მის პარკში მომუშავე პერსონალის ხელფასების მითვისებაში დაადანაშაულეს.

უკანასკნელი შეფასებით, მაიკლ ჯექსონის ქონებამ, კარიერის პიკზე 500 მილიონ დოლარს გადააჭარბა. თუმცა, ვარსკვლავმა ბოლო 10 წელი ვალებით იცხოვრა. ჯექსონი სერიოზულ ფინანსურ პრობლემებს განიცდიდა. მისი ახლობლები შიშობდნენ, რომ მას შესაძლოა თვითმკვლელობით დაესრულებინა სიცოცხლე.

სიტუაცია, რომელშიც ლეგენდარული პოპ-ვარსკვლავი აღმოჩნდა, ძირითადად არასრულწლოვნების გარყვნას ეხებოდა. სასამართლო ექსპერტების განმარტებით, 2000 წლიდან მოყოლებული, ჯექსონის ყოველწლიურმა დანაკარგმა მოგებას 20-30 მილიონი დოლარით გადააჭარბა. 2002 წლის ფინანსური მონაცემებით, მომღერლის აქტივების მოცულობა სულ რაღაც 130 მილიონამდე დაეცა. ამ დროისთვის, ჯექსონს ვალების გადახდა აღარ შეეძლო.

2003 წელს, ლეგენდარულ ვარსკვლავს ხელთ მხოლოდ 38 ათასი დოლარი ჰქონდა, დასაფარი ვალის მოცულობა კი 10,5 მილიონ დოლარს შეადგენდა.

როგორც ჩანს, მავანმა არასრულწლოვნების გარყვნა არ იკმარა და მას კიდევ ერთი ბრალდება წაუყენეს. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჯექსონის ფულს ორგანიზაცია "ისლამის ნაციის" ერთ-ერთი ორგანიზატორი ლეონარდ მუჰამადი აკონტროლებდა, რის შედეგადაც, მას ბანკები კრედიტებს აღარ აძლევდნენ. კაპიტალდაბანდებებისგან თავი შეიკავეს ინვესტორებმაც.

ვალები რომ გაესტუმრებინა, ჯექსონი იძულებული გახდა მუსიკალურ კატალოგში - Sony/aTV კუთვნილი აქციები 50% გაეყიდა. აღნიშნული კომპანია ერთადერთია, რომელსაც The Beatles-ის, ელვის პრესლისა და ბობ დილანის სიმღერებზე საავტორო უფლება აქვს.

უზარმაზარი ვალების გამო, პოპ-ვარსკვლავმა აუქციონზე საკუთარი ნივთებიც კი გაყიდა. აუქციონის ჩაქუჩის ქვეშ გაიყიდა მისი სასცენო კოსტიუმები, სანოტო ჩანაწერები, მუსიკალური ჯილდოები და მხატვრული ნამუშევრები.

Associated Pres-ის ინფორმაციით, მაილ ჯექსონს სიკვდილის შემდეგ 400 მილიონი დოლარის მოცულობის ვალი დარჩა. თუ ვინ დაფარავს ამ თანხას, ჯერაც უცნობია.

ერთ-ერთი გამოსავალი ისაა, რომ ჯექსონის პირადი ნივთები აუქციონზე გაიყიდება. ასევე, მოსალოდნელია ისიც, რომ მომღერლის უეცარი გარდაცვალება მისი ქონების ფასს აწევს. თუმცა, რამდენად ეყოფა ეს თანხა მისი ვალების გასტუმრებას, არც ეს არის ცნობილი.

# ახალი კანონპროექტები

*პარლამენტის კომიტეტებში იმ კანონპროექტების განხილვა იწყება, რომლებიც, შესაძლოა, საშემოდგომო სესიამდე დამტკიცდეს. საუბარია "პოლიციის შესახებ კანონში," "ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" და "შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონში" შესატან ცვლილებებზე. მომზადებული კანონპროექტები აქციების დროს ქუჩის გადაკეტვის შესაძლებლობებს და წესებს ადგენს, შეკრებებისა და მანიფესტაციის ორგანიზატორებს, წესების დარღვევის შემთხვევაში, ჯარიმას უწესებს, პოლიციელებს სამსახურებრივი მოვალეობის დროს სიცოცხლისთვის არასაშიში იარაღის გამოყენების უფლებას აძლევს და ადმინისტრაციული პატიმრობის ვადას ზრდის.*

ნუცა ვარდოსანიძე

"შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონში" შესატანი ცვლილების თანახმად, მანიფესტაციის დროს, ქუჩის გადაკეტვა მხოლოდ გარკვეული რაოდენობის ხალხის შეკრებისას იქნება დასაშვები. ცვლილების მიხედვით, ხალხის სამოძრაო ნაწილის სრული, აგრეთვე ტრანსპორტის სავალი ნაწილის ნაწილობრივ ან სრულად გადაკეტვა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ შეკრებაში ან მანიფესტაციაში მონაწილე პირთა რაოდენობის გათვალისწინებით, სხვაგვარად შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება შეუძლებელია.

კანონპროექტი ფეხით მოსიარულეთა ან ტრანსპორტის სავალი ნაწილის ხელოვნურად გადაკეტვას კრძალავს, თუ ამის საჭიროებას შეკრებაში ან მანიფესტაციაში მონაწილეთა რაოდენობა არ მოითხოვს. აგრეთვე, იკრძალება ფეხით მოსიარულეთა ან ტრანსპორტის სავალი ნაწილების ავტომანქანებით და სხვადასხვა სახის კონსტრუქციებით ან საგნებით გადაკეტვა.

"შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონში" შესატანი ცვლილებები

გარკვეულ ვალდებულებებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსაც უწესებს: შეკრებაში ან მანიფესტაციაში მონაწილეთა რაოდენობიდან გამომდინარე, ფეხით მოსიარულეთა ან ტრანსპორტის სავალი ნაწილის გადაკეტვის აუცილებლობის შემთხვევაში, თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოები ვალდებული იქნებიან, უზრუნველყონ შესაბამისი ტერიტორიის შემოსაზღვრა მონაწილეთა უსაფრთხოების მიზნით. ასევე ვალდებული იქნებიან, ტრანსპორტის სავალი ალტერნატიული გზა განსაზღვრონ.

კანონპროექტის მიხედვით, თვითმმართველობის ორგანოები და შესაბამისი სამართალდამცველი ორგანოები ვალდებული იქნებიან, ტრანსპორტის მოძრაობის რეჟიმი აღადგინონ შეკრების ან მანიფესტაციის გამართვის ტერიტორიაზე, მასში მონაწილე პირთა რაოდენობიდან გამომდინარე.

"ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდესში" შესატანი ცვლილების მიხედვით, თუ შეკრებისა და მანიფესტაციის ჩატარების წესი მისმა ორგანიზატორმა დაარღვია, მას 5000 ლარის ჯარიმის გადახდა მოუწევს. .

ადმინისტრაციული ორგანოების შენობების ფასადებზე და მიმდებარე ტერიტორიაზე სხვადასხვა სახის წარწერების, ნახატების გაკეთება კი 500 ლარით დაჯარიმდება.

ახალი კანონპროექტი ადმინისტრაციული ორგანოების შენობების ფასადებზე, ამ შენობების მიმდებარე ტერიტორიებზე და ასევე ფეხით მოსიარულეთა და სატრანსპორტო საშუალებების სავალ ნაწილზე სხვადასხვა სახის წარწერების და ნახატების გამკეთებლისთვის 500-ლარიან ჯარიმას ითვალისწინებს. იგივე ქმედების განმეორებით ჩადენისას კი ჯარიმა გაორმაგდება, ხოლო თუ საქმის გარემოებათა და დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით, ამ ზომის გამოყენება არასაკმარისად ჩაითვლება, მას 30-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდება.

"ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" შესატანი ერთ-ერთი ცვლილება ადმინისტრაციული პატიმრობის ვადის 3 თვემდე გაზრდასაც ითვალისწინებს. ამ ცვლილების თანახმად, წვრილმანი ხულიგნობისთვის ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა იზრდება და 30-დღიანი პატიმრობის ნაცვლად, 90 დღით განისაზღვრება.

რაც შეეხება კანონპროექტს, რომელიც "პოლიციის შესახებ კანონში" შესატან ცვლილებებს გულისხმობს. ახალი კანონპროექტით, პოლიციელებს სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას სიცოცხლისთვის არასაშიში იარაღის გამოყენების უფლება ეძლევათ. კანონპროექტის ავტორების განმარტებით, ასეთ იარაღში იგულისხმება ნებისმიერი ნივთი, რომელიც ადამიანის სიცოცხლისთვის უსაფრთხოა და ევროპის ქვეყნებშია აპრობირებული.

კანონპროექტის თანახმად, ასეთი იარაღის გამოყენება პოლიციელის მხრიდან დასაშვები იქნება დაცულ ობიექტებზე თავდასხმის მოსაგერიებლად, ასევე, საზოგადოებრივი წესრიგის მასობრივი და ჯგუფური დარღვევის აღსაკვეთად. დანაშაულის, საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩამდენი პირის დაკავებისას ან მისი იძულების მიზნით, რათა მან დაკავებული სატრანსპორტო საშუალება ან შენობა-ნაგებობა დატოვოს.

# სამოქალაქო რეესტრის ცხინვალის ოფისი გაიხსნა

ელენე მათითაშვილი

*გუშინ, გორში იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ცხინვალის თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ოფისი გაიხსნა.*

ღონისძიებას სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი ვაშაძე, გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (გლუკ) პროგრამის განყოფილების უფროსი რიტა რიხტერი და სხვა მოწვეული სტუმრები დაესწრნენ.

გორში არსებულ ცხინვალის ოფისში სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ცხინვალის, ქურთის, ერედვის და თიღვის თემის სამსახურები განთავსდა, რომლებიც გასული წლის აგვისტოში რუსეთის აგრესიის შედეგად განვითარებული მოვლენების შემდგომ დროებით თბილისში მდებარეობდა.

როგორც გიორგი ვაშაძემ განაცხადა, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ცხინვალის ახალ ოფისში მოქალაქეებს საშუალება ექნებათ ერთი ფანჯრის პრინციპით დაბადების და პირადობის მოწმობები, პასპორტები და სხვა დოკუმენტები ერთსა და იმავე ადგილზე მიიღონ.

მისი თქმით, აღნიშნული ოფისი დონორი ორგანიზაციის მხარდაჭერით გარემონტდა და სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 120 000 ლარზე მეტი დაიხარჯა.

**"მოქალაქეებს საშუალება ექნებათ, სრულყოფილი მომსახურება მიიღონ, დოკუმენტის არქონის შემთხვევაში, დაბადებისა და გარდაცვალების იურიდიული მნიშვნელობის ფაქტები უფასოდ დაუდგინდეთ. აქვე ყველა იმ დოკუმენტის აღდგენა მოხდება, რომელიც იძულებით გადაადგილებულ პირებს სხვადასხვა დროს გაუნადგურდათ,"** - განაცხადა ვაშაძემ.

მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ტერიტორიული ოფისის გარდა, კონფლიქტის ზონიდან დევნილებს დოკუმენტების მისაღებად საბუთების ჩაბარება, დროებითი საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად, იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სამსახურში შეეძლებათ. ასეთ შემთხვევაში, სააგენტო იმავე სამსახურში დევნილებისთვის დოკუმენტების მიწოდებას თავად უზრუნველყოფს.

სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს 83 ტერიტორიული სამსახური აქვს, აქედან 48 უკვე გარემონტებულია. ტერიტორიული ოფისების მოდერნიზაცია დონორი ორგანიზაციების, მათ შორის: აშშ-ს განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის, აშშ-ს, დიდი ბრიტანეთისა და საბერძნეთის მთავრობების მხარდაჭერით მიმდინარეობს.

გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მზრუნველობის ქვეშ 290 000 იძულებით გადაადგილებული პირი, 1 000 ჩეჩენი ლტოლვილი და 1 500 მოქალაქეობის არმქონე პირია. ორგანიზაციის პროექტების მიზანია მათი უფლებების დაცვა, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება და ინტეგრაციის ხელშეწყობა.

# მოქალაქეები ტექბიუროს მონაცემებს ინტერნეტით მიიღებენ

დღეიდან მოქალაქეები ტექბიუროს არქივში დაცულ ინფორმაციას საქართველოს 64 რაიონიდან ინტერნეტის მეშვეობით მიიღებენ.

როგორც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ სოსო წიქარიშვილმა განაცხადა, იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ საქართველოს მასშტაბით ტექბიუროს ვებპროგრამის დანერგვა და ერთიან ქსელში ჩართვის პროცესი დაასრულა. ამიერიდან ქვეყნის ყველა ქალაქის და რაიონის სარეგისტრაციო სამსახურიდან შესაძლებელია ტექბიუროს არქივში დაცული ნებისმიერი დოკუმენტის ელექტრონულად მიღება, რაც მოქალაქეებისთვის უძრავი ქონების სარეგისტრაციო პროცედურებს მნიშვნელოვნად დააჩქარებს და გაამარტივებს.

როგორც ცნობილი გახდა, ვებპროგრამის საშუალებით მოქალაქეებს შეუძლიათ საჯარო რეესტრში მისვლის გარეშე საქართველოს 69 ქალაქსა და რაიონში ჩაუსვლელად სააგენტოს ვებვერდზე განთავსებული განცხადება ელექტრონულად შეავსონ, მომსახურებისათვის კანონის დადგენილი საფასური საბანკო პლასტიკური ბარათით გადაიხადონ და შემდეგ ის საჯარო რეესტრის მონაცემთა ბაზაში გაგზავნონ. მოქალაქეები მათ მიერ მოთხოვნილ დოკუმენტს, ცნობა-დახასიათებას, საინვენტარიზაციო გეგმას და ტექნიკური აღრიცხვის არქივში დაცული დოკუმენტის ასლს საქართველოს ნებისმიერ წერტილში ინტერნეტის საშუალებით ელექტრონულ ვერსიას მიიღებენ.

სოსო წიქარიშვილის განმარტებით, უძრავი ქონების დასარეგისტრირებლად ტექნიკური აღრიცხვით არქივიდან მიღებული ცნობა ერთ-ერთ აუცილებელ დოკუმენტს წარმოადგენს. აღნიშნული ვებპროგრამა სწორედ ამ პროცედურის გასამარტივებლად შეიქმნა. ვებპროგრამის დანერგვა ხელს შეუწყობს საჯარო რეესტრის ერთიანი საინფორმაციო ბაზის ჩამოყალიბებას და ცენტრალიზებული სარეგისტრაციო სისტემის შექმნას. 2004 წლიდან ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს არქივი საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს გადაეცა და სარეგისტრაციო სამსახურებში განთავსდა.

"არქივში არსებული დოკუმენტაცია საფრთხილოა და სწორედ ამიტომ ხდება მისი დასკანერება. ამის შემდეგ კი ამ დოკუმენტების მიღება ნებისმიერი მოქალაქისთვის გამარტივდება, რომლებსაც ნებისმიერი ინფორმაცია სახლიდან გაუსვლელად შეუძლიათ მიიღონ," - განმარტავს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე.

*საკუთარი ინფორმაცია*

### მტკვარში ორი გოგონა დაიხრჩო

გუშინწინ მტკვარში ორი გოგონა დაიხრჩო. უბედური შემთხვევა ფონიჭალის დასახლებასთან მოხდა. თვითმხილველების განცხადებით, დები თამარ და ხათუნა ჯეგიძეები მდინარის სწრაფმა დინებამ მას შემდეგ გაიტაცა, რაც ისინი წყალში მცირეწლოვანი ბიძაშვილის გადასარჩენად შევიდნენ. თუმცა, წყლიდან ამოსვლა მტკვრის სწრაფი დინების გამო ვეღარ მოახერხეს. მათმა ბიძაშვილმა მდინარიდან გამოსვლა დამოუკიდებლად შეძლო. როგორც თბილისის მერიის საგანგებო სიტუაციათა საქალაქო სამსახურში აცხადებენ, მაშველებმა გოგონების ძებნა მომხდარისთანავე დაიწყეს. თუმცა, ჯერჯერობით ვერც ერთ გოგონას პოვნას ვერ ახერხებენ. **მედიანიუსი**

### კობა ოთანაძეს წინასწარი პატიმრობა, შესაძლოა, გაუგრძელონ

მუხროვანის ამბოხის ორგანიზებაში ბრალდებულ კობა ოთანაძეს წინასწარი ორთვიანი პატიმრობა, შესაძლოა, კიდევ გაუგრძელონ. "კობა ოთანაძის წინასწარი ორთვიანი პატიმრობის ვადა 20 ივლისს იწურება და ვფიქრობ, მას კიდევ ერთი თვით გააგრძელებენ, რადგანაც გამოძიება ჯერ დასრულებული არ არის," - აცხადებს ბრალდებულის ინტერესების დამცველი ონისე მებონია.

მისივე განმარტებით, კობა ოთანაძე ჯერ ისევ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სამედიცინო დაწესებულებაში იმყოფება. **პირველი**

### ჯოზეფ ქეის ადვოკატი შეიწყალეს

ბელარუსის პრეზიდენტ ალექსანდრე ლუკაშენკოს მიერ შეწყალებულმა ამერიკელმა ადვოკატმა ემანუელ ზელცერმა მინსკი უკვე დატოვა. ზელცერის ადვოკატის დიმიტრი გორიაჩკოს განცხადებით, ზელცერი გუშინ დილით მინსკიდან აშშ-ში გაფრინდა.

ალექსანდრე ლუკაშენკომ ბიზნესმენ ჯოზეფ ქეის ადვოკატი, აშშ-ს მოქლაქე ემანუელ ზელცერის შეწყალების გადაწყვეტილება 30 ივნისს აშშ-ს კონგრესის დელეგაციასთან შეხვედრის შემდეგ მიიღო. როგორც ცნობილია, ემანუელ ზელცერი ბიზნესმენ ჯოზეფ ქეის ადვოკატი იყო. იგი მინსკში 2008 წლის 12 მარტს დააკავეს. ზოგიერთი ინფორმაციის თანახმად, ზელცერის ბელარუსში ვიზიტი ქართველი ბიზნესმენის ბადრი პატარკაციშვილის მემკვიდრეობის საქმეს უკავშირდებოდა.

ზელცერი და მისი მდივანი, რუსეთის მოქალაქე ვლადლენა ფუნკი კომერციული შპიონაჟის ბრალდებით გაასამართლეს. ზელცერს თავისუფლების 11 წლით აღკვეთა ჰქონდა მისჯილი, ფუნკს კი - ერთი წლით. მან უკვე სასჯელი მოიხადა და ბელარუსიც დატოვა.

პატიმრობის პერიოდში ზელცერის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა, რის გამოც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მისი გათავისუფლების თხოვნით ბელორუსის ხელისუფლებას არაერთხელ მიმართა. თუმცა, ოფიციალური მინსკი ამერიკელი იურისტის გათავისუფლებაზე აქამდე უარს აცხადებდა. **პირველი**

### სამკერვალო საწარმო ქალთა და არასრულწლოვანთა კოლონიაში

ქალთა და არასრულწლოვანთა N5 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში სამკერვალო საწარმო გაიხსნა. საწარმო სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა გახსნა. ღონისძიებაზე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები იყვნენ მიწვეული.

"ახალი საწარმო სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროსა და კომპანია "მეგაფუდს" შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე გაიხსნა. სპეციალურად ამ პროექტისთვის ბრენდი "ათინათი" შეიქმნა. ქალი მსჯავრდებულების მიერ დამზადებული პროდუქცია სწორედ ამ სავაჭრო ნიშნით იქნება გამოშვებული. პირველ ეტაპზე საწარმოში 24 მსჯავრდებული ქალი დასაქმდება. მათ ხელფასი საბაზრო სტანდარტების შესაბამისად დაენიშნებათ. დამზადებული პროდუქცია გაიყიდება როგორც საცალო ბაზარზე, ასევე კორპორატიულ სეგმენტზე, კომპანიების დაკვეთით,"- განმარტავენ სამინისტროში. სამკერვალო საამქროს რამდენიმე დამკვეთი უკვე ჰყავს, მათ შორის პირველია ხორცპროდუქტების ქარხანა "ვაკე," რომლისთვისაც ბრენდირებული მაისურები და კეპები მზადდება. "ათინათის" წარმომადგენელთა განცხადებით, საამქროში დამზადებული პროდუქცია ბაზარზე არსებულ სტანდარტებს დააკმაყოფილებს როგორც ფასით, ისე ხარისხით და კონკურენტუნარიანი იქნება. **პირველი**



თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული არტისტი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ქუთაისის ოპერის თეატრის ერთ-ერთი დამაარსებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი (1969-1976 წლებში), მომღერალთა მრავალი თაობის აღმზრდელი, ღვაწლმოსილი რეჟისორი, თბილისის კონსერვატორიის პროფესორი

**გივი გაჩეჩილაძე**

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

# თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერია 2009 წლის 31 ივლისს ატარებს აუქციონს

აუქციონზე გამოტანილი იქნება ქ.რუსთავის ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები კომერციული საქმიანობისათვის

| № | მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობა | ფართობი | ზონა | სექტორი | კვარტალი | ნაკვეთი | ფასი | “ბე” | ბიჯი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ქ.რუსთავი, კიკვიძის ქუჩის მ/ტ | 450 | 02 | 04 | 05 | 098 | 4536 | 1817 | 500 |
| 2 | ქ. რუსთავი თოდრიას I ჩიხი ბინა №1 მ/ტ | 599 | 02 | 04 | 02 | 317 | 6038 | 2415 | 500 |
| 3 | ქ. რუსთავი, სს “აზოტის” მ/ტ | 2948 | 02 | 07 | 01 | 327 | 19068 | 7627 | 1000 |

**აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და სანქციები:**

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ან ამ პირთა გაერთიანებებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს, ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში გამარჯვებული მყიდველი ვალდებულია მის მიერ აუქციონზე შეძენილი ქონების საბოლოო თანხა გადაიხადოს აუქციონის ჩატარებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა, წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და “ბე”-ს შენატანი არ დაუბრუნდება.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება წარმოებს განცხადების გამოქვეყნების დღიდან 30 კალენდარული დღის ვადაში 9 საათიდან 18 საათამდე, (თვითმმართველი ქალაქი რუსთავი კოსტავას გამზირი №20) ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 9 საათიდან 15 საათამდე, აუქციონი გაიმართება 16 საათზე.

**აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:**

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;
ბ) “ბე”-ს შენატანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი, რომელიც შეტანილი უნდა იქნეს:
ს.ს. “საქართველოს ბანკი” რუსთავის ფილიალი
ბ.კ. 220101502
საიდენტიფიკაციო კოდი 216433287
ა.ნ №266897601 (მიეთითოს გადასახადის დანიშნულება).
გ) მონაწილის ბილეთის ფასის - 50 ლარის შეტანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი, რომელიც შეტანილი უნდა იქნეს:
220101222 სახელმწიფო ხაზინა, 200122900 ერთიანი ანგარიში,
სხვა შემოსულობები (რუსთავი) სახაზინო კოდი 300063282
(სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავალი)
დ) პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში);
ე) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;
ვ) სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში)

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყის ფასზე “ბიჯი”-ს დანამატით მიღებული თანხის) გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ:
ქ. რუსთავი, კოსტავას გამზირი №20
ტელ: (824) 12 12 66

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ აცხადებს ტენდერს საარქივო ოქროს ფონდის აღსადგენად საჭირო ვიდეომაგნიტოფონების ბლოკების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
შესყიდვის ობიექტია:

| № | დასახელება | რაოდენობა (ცალი) |
|---|---|---|
| 1 | ვიდეომაგნიტოფონი КАДР-3ПМ-ის ვიდეობლოკის კომპლექტი, აწყობილი და ტესტირებული სტანდარტული სიმაღლის თაროებზე | 4 |

**შენიშვნა:** დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ სატენდერო დოკუმენტაციაში.
2. საქონლის მიწოდების სავალდებულო ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უგვიანეს 1 (ერთი) თვე.
3. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდისა და სატენდერო კომისიის აპარატში გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, 2009 წლის 2 ივლისიდან - 2009 წლის 21 ივლისის 12:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქუჩა №68, მესამე სართული, ოთახი №341, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ შესყიდვების ჯგუფი. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ პირს ზემოაღნიშნულ მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.
4. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე: ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური. რეკვიზიტები: მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ანგ. №200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი №220101222, სახაზინო კოდი №302008000;
**გადახდის დანიშნულება:** სატენდერო მოსაკრებელი, საარქივო ოქროს ფონდის აღსადგენად საჭირო ვიდეომაგნიტოფონების ბლოკების შესყიდვის ტენდერი. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ (2585). (გადახდის დანიშნულება მითითებული უნდა იყოს სრულად).
5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 21 ივლისს 13:00 საათიდან 15:00 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქუჩა №68, მესამე სართული, ოთახი №341, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ შესყიდვების ჯგუფი. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება.
6. პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:
6.1 იურიდიული პირებისათვის:
ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
გ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.
6.2 ფიზიკური პირებისათვის:
ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
ბ) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.
6.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:
ა) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;
ბ) ცნობა მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ;
პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასთან ერთად (ერთ დალუქულ კონვერტში) ასევე უნდა წარმოადგინონ სუბკონტრაქტორების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად.
**შენიშვნა:** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.
7. პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.
8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ნათია ზამთარაძე, ტელ: (995-32) 40-91-45, ან მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქუჩა №68, მესამე სართული, ოთახი №341, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ შესყიდვების ჯგუფი.

# ევროკავშირის ახალი თავმჯდომარე ქვეყანა

## შვედეთმა ესტაფეტა ოფიციალურად ჩაიბარა

ოთხშაბათს, ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის პოსტზე, შვედეთმა, როტაციის პრინციპით, ჩეხეთი ოფიციალურად შეცვალა. შვედეთის პარლამენტის სპიკერ პერ ვესტერბერგის განცხადებით, ევროკავშირის თავმჯდომარეობის პერიოდში შვედეთი ევროკავშირის გაფართოების ხაზის გამტარებელი იქნება.

ახალ თავმჯდომარეს გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის შედეგებსა და კლიმატურ ცვლილებებთან მოუხდება ბრძოლა. გარდა ამისა, მან უნდა შეაფასოს, რა მდგომარეობაშია ორგანიზაციის გაფართოების შესახებ მოლაპარაკებები. შვედეთის თავმჯდომარეობის პერიოდში, ირლანდიაში ჩატარდება განმეორებითი რეფერენდუმი ლისაბონის შეთანხმების შესახებ.

გარდა ამისა, ევროკავშირის ხელმძღვანელობას წინ სერიოზული საკადრო ცვლილებებიც ელოდება - შემოდგომის შუა პერიოდამდე უნდა გადანაწილდეს ყველა მნიშვნელოვანი პოსტი ევროპარლამენტში, ევროკომისიაში, ევროკავშირის საბჭოში და ეს ცვლილებები 2009-დან 2014 წლამდე დარჩება ძალაში.

ევროპული საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობას შვედეთის პრემიერ-მინისტრი ფრედრიკ რეინფელდი შეასრულებს. იგი კოალიციური პარტიის თავმჯდომარეა.

ივნისის მეორე ნახევარში, პარლამენტში გამოსვლის დროს, რეინფელდმა თავმჯდომარის პრიორიტეტულ ამოცანებზე ისაუბრა. მან განაცხადა, რომ ფინანსურ ბაზარს მკაცრი კონტროლი და სერიოზული რეგულირება სჭირდება.

შვედეთი გეგმავს ევროკავშირის პარტნიორების დარწმუნებას, ხელი მოაწერონ შეთანხმებას კლიმატის შესახებ, რომელიც კიოტოს პროტოკოლის შემცვლელი იქნება. კიოტოს პროტოკოლს მოქმედების ვადა 2012 წელს გასდის. შეთანხმებას დეკემბერში, კოპენჰაგენში, გაერო-ს კონფერენციაზე განიხილავენ და სტოკჰოლმს იმედი აქვს, რომ მანამდე საერთო ევროპული პოზიციის შემუშავებას შეძლებს.

ამ დროისთვის, ორმხრივ მოლაპარაკებებში, უთანხმოების მიზეზით, ევროკავშირის წევრებმა რამდენიმე ქვეყნის მიღება დაბლოკეს: თურქეთის - კვიპროსის პოზიციის გამო, ხორვატიის - სლოვენიის პოზიციის გამო და მაკედონიის - საბერძნეთის პოზიციის გამო. გერმანიისა და საფრანგეთისაგან განსხვავებით, შვედეთი ევროკავშირში თურქეთის მიღების მომხრეა.

ეს პოზიცია ევროპისთვის საწვავის მიწოდების რეგულირების შესაძლებლობით აიხსნება, რაც უკრაინის გავლით რუსეთის გაზის მიწოდების ალტერნატივა იქნება. სტოკჰოლმი გაზსადენ "ჩრდილოეთის ნაკადის" მშენებლობის წინააღმდეგია, რომელიც გერმანიასა და რუსეთს ბალტიის ზღვის ფსკერით დააკავშირებს.

რაც შეეხება ლისაბონის შეთანხმებაზე ირლანდიაში განმეორებითი რეფერენდუმის ჩატარებას, ის შესაძლოა სტოკჰოლმისთვის როგორც ტრიუმფად, ისე კრახადაც იქცეს. თუ ირლანდიელები საერთო ევროპულ კონტიტუციას მხარს დაუჭერენ, 2010 წლიდან ნახევარი წლით თავმჯდომარეობის წესს ევროკავშირის პრეზიდენტის ორწლინახევრით არჩევა შეცვლის. ამ პოსტზე მთავარ კანდიდატად დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი მიიჩნევა; ხოლო, თუ ირლანდია ლისაბონის შეთანხმებას კიდევ ერთხელ უარყოფს, ევროპა მორიგ პოლიტიკურ კრიზისში აღმოჩნდება. განმეორებითი რეფერენდუმი ოქტომბრისთვის არის დაგეგმილი.

ევროკავშირის თავმჯდომარეობის დროს, ჩეხეთს არაერთი პრობლემა შეექმნა. სწორედ ამ პერიოდს დაემთხვა გაზის კონფლიქტი მოსკოვსა და კიევს შორის და ომი ღაზას სექტორში. ვითარება განსაკუთრებით მაშინ გართულდა, როდესაც მარტის ბოლოს ჩეხეთში მთავრობა გადადგა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ევროპა სტოკჰოლმზე დიდ იმედებს ამყარებს.

შვედეთი 1995 წლიდან არის ევროკავშირის წევრი. ორგანიზაციის თავმჯდომარის როლი ქვეყანამ ერთხელ უკვე შეასრულა - 2001 წელს.

# მაშველებმა "ეარბას -310"-ის ერთ-ერთი "შავი ყუთი" იპოვეს

მარიკა იაშვილი

იემენის ავიახაზების სამგზავრო თვითმფრინავის, კომორის კუნძულებთან ჩამოვარდნილ "ეარბას - 310"-ის ერთ-ერთი "შავი ყუთი" - ე.წ. საბორტო რეგისტრატორი ნაპოვნია, - ამის შესახებ ინფორმაციას საფრანგეთის მთავრობის სახელმწიფო მდივანი თანამშრომლობის საკითხებში ალენ ჟუაიანდე ავრცელებს. მისი განცხადებით, ამჟამად ყუთის წყლიდან ამოღების სამუშაოები მიმდინარეობს.

-310-ის კატასტროფის დროს ერთადერთი მგზავრი გადარჩა - 14 წლის გოგონა. ამის შესახებ კომორის კუნძულების მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ქამელედდინ აფრეტანმა განაცხადა. თავდაპირველად ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ გადარჩენილი იყო 5 წლის გოგონა და ეკიპაჟის მეთაური, თუმცა, ეს ინფორმაცია არ დადასტურდა.

გადარჩენილის სახელია ბაკარი ბაია. მისი თქმით, ის დედასთან ერთად მარსელიდან კომორის კუნძულებზე მიფრინავდა. გოგონა წარმოშობით სოფელ ნიუმაძახადან არის, თუმცა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მშობლებთან ერთად მარსელში ცხოვრობდა, სადაც საფრანგეთში კომორელთა ყველაზე დიდი სათვისტომოა.

აფრეტანის განცხადებით, მაშველებმა ბავშვი თვითმფრინავის ნამსხვრევებსა და სხვა მგზავრების გვამებს შორის იპოვეს. მას სამაშველო რგოლი გადაუგდეს, თუმცა მოჭიდება ვერ შეძლო. ამის შემდეგ მაშველები მასთან უფრო ახლოს მიცურდნენ და გოგონა წყლიდან ამოიყვანეს. ის მორონის ადგილობრივ საავადმყოფოში გადაიყვანეს. კატასტროფის შედეგად, გოგონას ფიზიკური ტრავმები არ მიუღია, თუმცა წყალში დიდი ხნის განმავლობაში ყოფნის გამო სხეულის ზედმეტად გადაციება შეენიშნება.

ამ დროისათვის გოგონა რეანიმაციაშია. ექიმები მიიჩნევენ, რომ "მისი მდგომარეობა შეშფოთებას არ იწვევს."

ამავდროულად ფსიქოლოგები მოზარდის სულიერი მდგომარეობის გამო ღელავენ. გოგონამ ჯერ კიდევ არ იცის, რომ დედამისი გარდაიცვალა. კომორის ხელისუფლების ცნობით, უახლოეს დღეებში მას მარსელში გადაიყვანენ.



AFP ' 2009

კატასტროფის ადგილზე სამძებრო სამუშაოები ამ დრომდე გრძელდება. მაშველები სხვა გადარჩენილების პოვნის შესაძლებლობას არ გამორიცხავენ. გუშინ ღამით სამუშაოები ცუდი ამინდის გამო დროებით შეწყდა, თუმცა დილიდან განახლდა.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ კატასტროფის მიზეზად უამინდობა იქცა, თუმცა, თვითმხილველები ამტკიცებენ, რომ ლაინერი იწვოდა. გარდა ამისა, სპეციალისტთა აზრით, ტრაგედიის მიზეზი შესაძლოა ბორტზე ელექტროსისტემის გათიშვაც ყოფილიყო, რასაც ცუდი კლიმატური პირობები გამოიწვევდა.

თვითმფრინავი მორონას აეროპორტში 3:15 წუთზე უნდა დამჯდარიყო, მაგრამ დაჯდომამდე ერთი საათით ადრე რადარებიდან გაქრა. იმ დროისათვის ის ინდოეთის ოკეანის თავზე, კომორის კუნძულების მახლობლად მიფრინავდა. მაშველებმა თვითმფრინავის ფრაგმენტებისა და გარდაცვლილთა სხეულების აღმოჩენა ლაინერის გაქრობიდან რამდენიმე საათშივე შეძლეს.

ავიაკატასტროფის ფაქტზე გამოძიება მიმდინარეობს. ამავე დროს საფრანგეთის პრესაში ჩნდება სტატიები, სადაც ნათქვამია, რომ სანიდან მორონიში გადაფრენა ყოველთვის სახიფათო იყო, რადგან თვითმფრინავების პარკი ძალიან დაბალი დონისაა, პილოტები ისე იქცევიან, როგორც "კოვბოები, რომლებსაც საქონელი გადაყავთ," რეისები კი განრიგის დარღვევით სრულდება. იემენის ავიაახაზების ხელძღვანელობა ამ ბრალდებებს უარყოფს და ამტკიცებს, რომ ჩამოვარდნილ "ეარბას -310"-ს სრული ტექნიკური შემოწმება ჰქონდა გავლილი.

# ევკუროვი მამაკაცმა ააფეთქა

ივა შილაკაძე

ინგუშეთის პრეზიდენტ იუნუს-ბეკ ევკუროვზე ტერორისტული თავდასხმის საქმის გამოძიება ადგილიდან დაიძრა. უკვე გამოჩნდა პირველი ოფიციალური ცნობები, რომელთა გავრცელებაც გამოძიებამ შესაძლებლად მიიჩნია.

დონის როსტოვში, ლაბორატორიული შემოწმების შედეგად, დადგინდა, რომ ასაფეთქებლით სავსე "ტოიოტა კამრის" საჭესთან მამაკაცი ტერორისტი იჯდა, რომელსაც ორი-სამი სანტიმეტრის სიგრძის მუქი ფერის თმა ჰქონდა. სავარაუდოდ, ის არც ისე მაღალი და ოდნავ მსხვილი აგებულების კაცი იყო. მის შესახებ უფრო მეტი ინფორმაცია ჯერჯერობით ლაბორატორიას არ აქვს. ქალი ტერორისტის ვერსია საბოლოოდ გამოირიცხა. გაზეთ "კომერსანტს" მოჰყავს ტერაქტის მოწმის, სატვირთო მანქანის მძღოლის მონათხრობიც. შავი "ტოიოტა კამრი" რამდენიმე მანქანისგან სტიქიურად შექმნილი ავტოკოლონის თავში მოძრაობდა. პოლიციის პოსტთან სიჩქარეს მოუკლო და მერე ისევ მოუმატა. ეტყობა, სწორედ ამ დროს დააფიქსირეს ვიდეოკამერებმა. პოსტიდან რამდენიმე ასეულ მეტრში გზის სწორი მონაკვეთი იწყებოდა და პრეზიდენტის კორტეჟი, რომელსაც პოლიციის მოციმციმე მანქანები ახლდა, შორიდან გამოჩნდა. კორტეჟამდე ერთი კოლომეტრი რჩებოდა, როცა "ტოიოტამ" მარჯვენა მოხვევის მაჩვენებელი ჩართო, სიჩქარეს მოუკლო და გზიდან გადავიდა. მან ორიოდე მანქანა გაატარა და დასახელებულმა მოწმემ სარკეში დაინახა, რომ შავმა "ტოიოტამ" მოუხვია და შემხვედრი მანქანების რიგში ჩადგა. შემდეგ შავმა "ტოიოტამ" ხელახლა ჩაუარა პოლიციის პოსტს და უკიდურეს მარჯვენა ზოლში ნელა გააგრძელა სვლა, რათა პრეზიდენტის კორტეჟს მისთვის მალე გაესწრო. უკვე სხვა მოწმეების სიტყვებით, ტერორისტმა გამოუცდელი მძღოლის მანევრით უხერხულად დაიწყო მარჯვნივ გადასვლა, როცა პოლიციის პირველმა მანქანამ გზის გათავისუფლება მოსთხოვა. მოხვევის მაჩვენებელიც წინასწარ ჩართო. როგორც ირკვევა, ამით მან პოლიციის სიფხიზლეც მოადუნა (იაროსლავში გატაცებულ მანქანას მოსკოვში გატაცებული სხვა მანქანის ნომრები ეკეთა). შემდეგ გზის გათავისუფლების ბრძანება მეორე მანქანიდან გაისმა. "ტოიოტა კამრი" გზიდან გადავიდა, მაგრამ არ გაჩერებულა. როცა მას ევკუროვის მანქანა თითქმის გაუსწორდა, სწრაფად უმატა სვლას, მოუხვია მარცხნივ, შეჯავშნულ მერსედესს გზა გადაუჭრა და ასაფეთქებელ ღილაკსაც თითი დააჭირა.

გამომძიებლები მიიჩნევენ, რომ ტერორისტი არ უნდა ყოფილიყო ნარკოტიკებზე დამოკიდებული ან სულიერად ავადმყოფი. პირიქით, ის ძალზე ცივი გონებით და გააზრებულად მოქმედებდა. შესაბამისად, მას ამზადებდა მაღალი კვალიფიკაციის, გამოცდილი ფსიქოლოგი. გამოძიება სხვა ინფორმაციას არ აქვეყნებს. ევკუროვის საქმეზე არავინ დაუკავებიათ.

ინგუშეთში ხაკერებმა ერთ-ერთ საიტზე განათავსეს ინფორმაცია, რომ ტერაქტი "მოჯაჰედების ოპერატიულმა ჯგუფმა" მოაწყო. სამი დღის წინ თავდასხმა თავის თავზე აიღეს დოკუ უმაროვის "კავკასიის იმარატის" მებრძოლებმა. თუმცა, რუსეთის პროკურატურის საგამოძიებო კომიტეტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ისინი ჭორების კომენტირებას არ აპირებენ. ინგუშეთის შინაგან საქმეთა მინისტრის თქმით, ნაწილობრივ მისი ბრალიცაა ეს ტერაქტი, რადგან მას უნდა უზრუნველეყო პრეზიდენტის უსაფრთხოება, მაგრამ თვითონ იუნუს-ბეკ ევკუროვი დაცვის გაზრდის კატეგორიული წინააღმდეგი იყო. მას მიაჩნდა, რომ გაძლიერებული დაცვა უბრალო ხალხს მასთან ურთიერთობისას დამატებით ბარიერებს შეუქმნიდა.

რაც შეეხება თვითონ პრეზიდენტ ევკუროვის მდგომარეობას, რომელსაც მოსკოვში ვიშნევსკის სახელობის ქირურგიის ინსტიტუტში მკურნალობენ, ისევ სტაბილურად მძიმეა. იგი ჯერ ვერ მოდის გონს. მისი ძმის უვაის ევკუროვის მდგომარეობა გაუმჯობესდა. უვაის ევკუროვი ძმის დაცვის უფროსი იყო და იმავე მანქანაში იჯდა. ორი დღის წინ ნაზრანის საავადმყოფოში გარდაიცვალა პრეზიდენტის კიდევ ერთი ნათესავი რამზან ევკუროვი, რომელიც მანქანას მართავდა. მანქანაში მყოფი მეოთხე ადამიანი, ევკუროვის პირადი მცველი ტერაქტის დღეს, 22 ივნისს, საავადმყოფოში მიყვანისთანავე დაიღუპა.

ჩრდილოეთ კავკასიაში კი ისევ გრძელდება შეტაკებები. გუშინ ინგუშეთის ერთ-ერთ რაიონში პოლიციელებს ისევ დაესხნენ თავს, არის მსხვერპლიც. სამართალდამცავებმა ნაზრანის რამდენიმე საცხოვრებელ რაიონში ჯავშანტექნიკის გამოყენებით ჩაატარეს სპეცოპერაცია, ეძებდნენ ბოევიკებს და ჩხრეკდნენ სახლებს. ეს ოპერაცია გართულებების გარეშე დასრულდა. პოლიციელებზე ზედიზედ ორი თავდასხმა დაფიქსირდა დაღესტანშიც, ერთი ადამიანი დაიღუპა, ათზე მეტი დაჭრილია. კონტრტერორისტული ოპერაციის რეჟიმია შემოღებული ყაბარდო-ბალყარეთის იალბუზის რაიონშიც.

ინგუშეთში ხელისუფლება ცდილობს, არ მისცეს ოპოზიციას სახალხო კრების მოწვევის საშუალება. პროკურატურამაც გააკეთა გაფრთხილება, რომ ასეთი ყრილობის მოწვევა მხოლოდ პრეზიდენტს ან მისი მოვალეობის შემსრულებელს შეუძლია. თუმცა, ოპოზიცია უკანდახევას არ აპირებს. საინტერესოა, რომ ხელისუფლების პოზიციას იზიარებს რუსლან აუშევიც, რომელსაც ოპოზიცია უჭერს მხარს. აუშევიც მიიჩნევს, რომ ყველაფერი კონსტიტუციის მიხედვით უნდა გაკეთდეს და მას ყრილობის მოწვევა არ მოუთხოვია.

# დაბრუნება წარსულში



ნანა კობაიძე

საღამოს, რომლის შესახებაც ქვემოთ მოგითხრობთ, ცოტა სევდიანი წინაისტორია აქვს: რამდენიმე თვის წინ მომღერალ ლელა თათარაიძეს სახლი გაუტეხეს და უსაყვარლესი გარმონი მოჰპარეს. კარგა ხნის ძებნის შემდეგ ინსტრუმენტს მიაკვლიეს, თუმცა პატრონს მისი "გამოხსნა" ძვირი დაუჯდა. ისეთ დროში ვცხოვრობთ, ბევრს არ ულხინს, თუმცა, ღვთის მადლით, ქართველებს ერთმანეთისთვის დახმარების ხელის გაწოდება ჯერ კიდევ შეგვიძლია. ჰოდა, შეიკრიბნენ ღვთისნიერი ადამიანები და გადაწყვიტეს, ლელას გვერდში ამოდგომოდნენ. გადაწყდა, მისი სიმღერის საღამო მოეწყოთ. ლოტბარმა და მომღერალმა, პაატა მელაძემ ამ იდეით ლელას დას, ეთეროს მიმართა, რომელმაც, თავის მხრივ, ლექსი შემოაშველა და საბოლოოდ, რამდენიმე დღის წინ ხელოვნების ცენტრ "მუზაში" შეკრებილი მაყურებელი თათარაიძეების შემოქმედებითი დუეტით დატკბა.

"მუზას" საკონცერტო სივრცე ზუსტად მოერგო საღამოს სტილსა და განწყობას. ატმოსფერო ისეთივე სადა, უშუალო და გულშიჩამწვდომი იყო, როგორც ლელას ხმა და ეთეროს სიტყვა. უსმენ ამ საოცარ ადამიანებს და სიამაყესთან ერთად ტკივილის გრძნობაც გიჩნდება, საკუთარი უსუსურობის განცდით გამოწვეული. უსმენ და გიხარია, რომ იმ ქვეყნის შვილი ხარ, რომელმაც ასეთი ხალასი ხელოვნება შექმნა. თუმცა, არც ის გავიწყდება, რომ ამ ყველაფერს მოვლა სჭირდება, რასაც ხშირად ვერ ვახერხებთ.

უცნაური ხალხი ვართ ქართველები. განძი შინ გვეგულება და გარეთ ვეძებთ. ათასი უცხო ჯურის მომღერალი ჩამოგვყავს და საკუთარი უპატრონოდ გვრჩება. უპატრონობაა, აბა, რა, როცა ლელა თათარაიძე კიბის ქვეშ, ნაქირავებ ოთახში ცხოვრობს და იმდენი ვერ მოგიხერხებია, ელემენტარული საარსებო პირობები შეუქმნა, რომ არაფერი ვთქვათ შემოქმედებით ხელშეწყობაზე. სანამ ვახუშტი კოტეტიშვილი იყო, იმართებოდა ხალხური შემოქმედების საღამოები, დღეს კი ამისთვის ნაკლებად სცალია ვინმეს. არადა, საჭიროა. მით უმეტეს, როცა გლობალიზაციის პროცესში, მნიშვნელოვანი და წარმოსაჩენია ეროვნული თავისთავადობა. კარგი იქნება, თუ წამოწყების ორგანიზატორები ერთი კონკრეტული კონცერტით არ შემოიფარგლებიან და ამ ტიპის საღამოებს კიდევ შემოგვთავაზებენ.

თათარაიძეების შემოქმედებითი საღამო ორ საათს გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში სცენაზე ერთმანეთს ცვლიდა ეთეროს ლექსი და ლელას სიმღერა, ისეთივე ლაღი და თავისუფალი, როგორც თავად თუშეთი. ლელა თათარაიძემ თავისი ცნობილი სიმღერები შეასრულა, რომლებიც ისეა გამჯდარი მსმენელში, ბევრმა ავტორის ვინაობა არ იცის და ხალხური ჰგონია. მაგალითისთვის საკმარისია უცნობილესი "ვერცხლის თასადამც მაქცია" - სიმღერა ხვარამზე სამუკაშვილის ტექსტზე, რომელიც საღამოს წამყვანის თქმის არ იყოს, იმდენადაა "გაჯაზებული", ორიგინალის სახით ბევრს არც კი მოუსმენია. ტექსტი ვაჟიკა ნაკვეთაურისა და ხვარამზე სამუკაშვილის ტრაგიკული სიყვარულის რეალურ ისტორიაზეა აგებული და არაჩვეულებრივი მუსიკისა და შესრულების წყალობით დიდი ხანია დაიმკვიდრა ადგილი ქართულ ფოლკლორში. ასეთივეა "გშორდები, ფიქრი მატულობს" - მიხა ხელაშვილის ლექსზე და ნამდვილი შედევრი "ვერკვლის ციხე" ტარიელ ხალხელაურის ლექსზე. სიმღერები თემატურად იყო დალაგებული და მათ საღამოს წამყვანი და ეთერ თათარაიძე უკეთებდნენ კომენტარებს. უნდა ითქვას, რომ ეს ყველაფერი განსაკუთრებით საინტერესო დარბაზში შეკრებილი ახალგაზრდებისთვის აღმოჩნდა, რომელთაც იმ დღეს ბევრი ახალი შეიტყვეს არა მხოლოდ თუშური სიმღერის, არამედ ამ კუთხის ყოფისა და ტრადიციების შესახებაც.

რაც შეეხება ეთერ თათარაიძეს, არც მას დასჭირდა პუბლიკის წინაშე განსაკუთრებული წარდგენა. პოეზიის მოყვარულებმა კარგა ხანია გაითავისეს თუშურ დიალექტზე დაწერილი მისი საოცარი ლექსები. პოეზია რომ სიტყვაში გამოსახული მუსიკაა, ამაზე არავინ დაობს, თუმცა, ეთეროს ლექსს კიდევ სხვა, განსაკუთრებული მუსიკალობა ახლავს. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი სიტყვა არ გესმის, იხიბლები ამ უხეში კილოს კეთილხმოვანებით. არ მახსოვს, სად წავიკითხე ეთეროს პოეზიის შესახებ: შალის სამოსივითაა - უხეში, მაგრამ ნატურალური და პირველყოფილიო.

იმ დღეს ეთერ და ლელა თათარაიძეებმა თუშეთის სოფლები მოგვატარეს, თუშურად გვატირეს და გვალხინეს, ჭრელა-ჭრულა ფარდაგები გაგვიშალეს და იმ ფარდაგებზე, როგორც ჯადოსნურ ხალიჩაზე შემომსხდარნი პოეზიისა და სიმღერის საუფლოში გვამოგზაურეს. საუფლოში, სადაც "ღრუბლები დალაწლაწებენ", სადაც "ქარს წაქვ დანანებით მიმინოსად ძალით წართმეულ ფრთაი," სადაც "ბალღების შმაკა-შმიკ დგას ჩამჩუმ ჩამდგარ ოთახში", სადაც ნამდვილი ლექსი და ნამდვილი სიმღერაა, გულიდან ამომსკდარი და ამოხეთქილი. ეს იყო დაბრუნება წარსულში, რომელიც ასე მოენატრათ თანამედროვეებს.

# მემფისის "საბა"

პირველი გვერდიდან

"ვუძღვნი დედას", - თავის რომანზე საუბარს თეონა ყოველთვის ასე იწყებს. რომანი მართლაც დედაზეა - ქალზე, რომელიც საკუთარი შვილის გარდა სხვისი შვილის გადასარჩენადაც ყველაფრისთვის მზადაა. მზადაა იყოს მსხვერპლი, სამიზნეში ამოღებული, განწირული, სასოწარკვეთილი, შეურაცხყოფილი, მაგრამ ბოლომდე მაინც დედად რჩება. "მემფისი" ჩვენი ქვეყნისთვის ალბათ ერთ-ერთი ყველაზე რთული პერიოდიდან, 90-იანი წლების დასაწყისიდან იწყებს ათვლას, მკითხველი კი მთავარი გმირის პარალელურად, მასთან ერთად გაივლის არა მხოლოდ ამ წლების, არამედ მის მიღმა, ბევრის თვალისთვის დაფარული და შეუმჩნეველი მოვლენების კვალდაკვალ. თუმცა ისტორია რომანის ღირსების მხოლოდ ერთი ნაწილია - მთავარი აქ ის ენა, ის ტექსტია, რომლითაც ავტორი სიტყვიდან სიტყვამდე, ფრაზიდან ფრაზამდე თავის გმირთან ერთად ამოგზაურებს მკითხველს.

"საბას" შვიდწლიანი ისტორიის განმავლობაში პირველად მოხდა, როდესაც ერთ ნომინაციაში ერთდროულად ორი გამარჯვებული გამოვლინდა. საუკეთესო დებიუტანტებად წელს დიანა ანფიმიადი და გიორგი კეკელიძე დაასახელეს. ორივე ავტორი პოეტური კრებულისთვის იყო წარდგენილი - შესაბამისად "შოკოლადისთვის" და "ოდებისთვის". შეიძლება ითქვას, რომ ამ ნომინაციაში მართლაც სერიოზული ჯახი იყო, რადგან ასევე შეიძლებოდა Homo Totus-ის ავტორის ხათუნა თავდგირიძის გამარჯვება.

რაც შეეხება საუკეთესო პოეზიის ნომინაციას, აქ პირველობა არავის დაუთმო ბათუ დანელიამ და მისმა კრებულმა Mirabilis Vita, რომელმაც ასევე ნომინაციის ფავორიტი ნიკა ჯორჯანელი, დალილა ბედიანიძე და მაკა მიქელაძე ჩამოიტოვა უკან. წელს პოეზიის ნომინაცია წინა წლებთან შედარებით ხალხმრავალი იყო - სულ შვიდი ნომინანტი, რამაც ჟიურის ალბათ ერთი ორად გაურთულა არჩევანის გაკეთება.



ხათია ჭიჭინაშვილის ფოტო

თეონა დოლენჯაშვილი, გიორგი ეკიზაშვილი, ბათუ დანელია და გიგი სულაკაური.



ხათია ჭიჭინაშვილის ფოტო

დიანა ანფიმიადი და გიორგი კეკელიძე.

პოეტური კრებულისგან განსხვავებით დიდი ჯაფა არ იქნებოდა საჭირო საუკეთესო პიესის ავტორის გამოსავლენად. როგორც ხდება ხოლმე, ყველაზე მეჩხერი სწორედ ეს ნომინაცია აღმოჩნდა: ლაშა ბუღაძე "ნაფტალინისთვის", ირაკლი სამსონაძე "ყოფილების სარეცელისთვის" და ბასა ჯანიკაშვილი "სულიკოსთვის". სამივე პიესა უკვე დიდი ხანია მხოლოდ ფურცელზე დაწერილი ტექსტი აღარაა და სცენაზეა გაცოცხლებული. "ნუნუ მასწავლებელი" - ასე ჰქვია ბათუმის თოჯინების თეატრში დადმულ ბუღაძის "ნაფტალინს", რომელიც წლევანდელი "საბას" გამარჯვებულიც აღმოჩნდა. ეს ლაშას მესამე "საბაა" - პიესის ნომინაციაში კი მეორე.

გურამ მეგრელიშვილი, მაკა მიქელაძე, არჩილ ქიქოძე, გელა ჩქვანავა და გიგი სულაკაური - ასეთი იყო პროზაული კრებულების ავტორთა ნომინაციის ჩამონათვალი, ჟიურის კეთილგანწყობა კი ამჯერად ამ უკანასკნელმა მოიპოვა და გიგი სულაკაურის "თამაში რევოლვერით" წლის საუკეთესო მოთხრობებისგან აკინძული წიგნი აღმოჩნდა. მოთხრობები, თუმცა ამჯერად ლიტერატურაზე ანუ "მოთხრობები ლიტერატურაზე", რომლის ავტორიც ლევან ბრეგაძე გახლავთ წლის საუკეთესო კრიტიკის, ესსეისტიკისა და დოკუმენტური პროზის ნომინაციის ფავორიტი გახდა. გიორგი ეკიზაშვილის მიერ თარგმნილი დანიელ პენაკის "ძაღლი ძაღლი" კი შესაბამისი ნომინაციის გამარჯვებულად დაასახელეს.

"საბას" მთავარი საპატიო პრიზი - ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის წელს ჭაბუა ამირეჯიბს გადასცეს.

საზაფხულო 25%-იანი ფასდაკლება



CMYK - 9



# სიღნაღიდან ახალციხემდე

## ეროვნული მუზეუმი - ახალციხის განახლებული მუზეუმითა და ექსპოზიციით

თამარ კიკნაველიძე

დღეს, 14 საათზე, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმში გამოფენა, სახელწოდებით "მილსადენის მშენებლობა და არქეოლოგიური აღმოჩენები", გაიხსნება.

ახალციხეში ექსპოზიციის დასათვალიერებლად არაერთი სტუმარი ჩავა. მათ შორის ბევრი აღმოჩნდება ისეთი, რომელსაც ამ მუზეუმის წარმოჩენასა და გამოფენის ორგანიზებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის. ასეთები, ძირითადად, ეროვნული მუზეუმის, BP-სა და მათი პარტნიორი კომპანიების წარმომადგენლები არიან. დამთვალიერებელთა საყურადღებოდ კი შეიძლება ითქვას, რომ დღეიდან სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმში პალეოლითის ხანიდან დათარიღებული 800-მდე ექსპონატი პირველად გამოიფინება.

გამოფენის მოწყობისა და ძეგლთსაცავის მომზადების პროექტი 2008-2009 წლებში განხორციელდა. ინიციატივა ეროვნულ მუზეუმს ეკუთვნის, ფინანსური მხარდაჭერა კი - BP-სა და მის პარტნიორებს. ამ პროექტის ფარგლებში, სარემონტო-სარებილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა მუზეუმის საცავსა და საგამოფენო დარბაზებს, სადაც 2003-2007 წლებში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენისა და სამხრეთ კავკასიის გაზსადენის მშენებლობისას აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა გამოიფინება. აქ ნახავთ ოქროს, ვერცხლის, გიშრის, მინის, კერამიკის, ბრინჯაოს, რკინის, ქვის, ძვლის სამკაულებს, სხვადასხვა სახის ჭურჭელს, რომისა და საბრძოლო იარაღებს, საკულტო დანიშნულების ნივთებს, არქიტექტურულ დეტალებსა და ა.შ

საქართველოს სამხრეთით მდებარე ახალციხეს მდინარე ფოცხოვი ორ ნაწილად ყოფს. ძველი ნაწილი - რაბათი მის მარცხენა ნაწილზეა განთავსებული, ხოლო ახალი ქალაქი - მარჯვენაზე. ახალციხე საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქია, წერილობით წყაროებში ის XII საუკუნიდან იხსენიება. აქ აღსანიშნავია რაბათში მდგარი ძველი ციხე, რომელიც სამცხეში ოსმალთა ბატონობის პერიოდშია აღდგენილი. სწორედ ახალციხის მიდამოებსი მდებარეობს აწყურის კათედრალური ტაძარი და ციხე, საფარის, ზარზმის, ჭულეს, აგარის მონასტრები, ვარძიისა და ვანის ქვაბების კლდეში ნაკვეთი მონასტრები, ვალეს ეკლესია, ხერთვისისა და თმოგვის ციხეები. ასეთი კულტურული მონაპოვარის გვერდით, ივ. ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ის რაბათის ძველი ციხის ტერიტორიაზეა განლაგებული და რეგიონის მდიდარ კულტურას, მის ეთნიკურსა და რელიგიურ მრავალფეროვნებას წარმოაჩენს. მუზეუმში დაცულია ძველი ხელნაწერები, ეპიგრაფიკული, არქეოლოგიური, ისტორიული, ეთნორაფიული, ნუმიზმატიკური მასალები და ფოტოდოკუმენტები. სამცხე-ჯავახეთის არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალის შეგროვება პირველად მკვლევარმა და პუბლიცისტმა, ივანე გვარამაძემ დაიწყო. 1880-იან წლებში მან თავისივე შეგროვებული ექსპონატებით კერძო მუზეუმი მოაწყო.

სწორედ ივანე გვარამაძის კოლექცია და გაუქმებული ეკლესია-მონასტრებიდან წამოღებული ნივთები დაედო საფუძვლად 1921 წელს, ახალციხეში სამაზრო მუზეუმის დაარსებას (დირექტორი - გ. ღვინიაშვილი). ის სამ წელიწადში დაიხურა და 1937 წელს ივანე გვარამაძის ვაჟის - კონსტანტინეს ზრუნვითა და ძალისხმევით კვლავ გაიხსნა, მას მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სტატუსი მიენიჭა (პირველი დირექტორი - დავით ლობჟანიძე). ივანე ჯავახიშვილის სახელს ის 1972 წლიდან ატარებს. ამავე წელს მას რაბათის ციხეზე მდებარე შენობებიც გადაეცა. ოთხი წლის შემდეგ ის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაქვემდებარებაში გადავიდა და სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფილიალი გახდა. 1990-იანი წლებისგან მისი კოლექცია მუზეუმის დირექტორმა, ციური ლაფაჩმა და თანამშრომლებმა მოახერხეს. ის ეროვნული მუზეუმის შემადგენლობაში მისი დაარსებისთანავე შევიდა.

მუზეუმში 25 ათასზე მეტი ექსპონატი ინახება. **ხელნაწერთა და ძველნაბეჭდი წიგნების ფონდში** დაცულია XI საუკუნის ოთხთავის, XII საუკუნის პარაკლიტონის და "ვეფხისტყაოსნის" XVI საუკუნის ხელნაწერის ფრაგმენტები, 1477 წელს იტალიაში დასტამბული "საქრისტიანო მოძღვრება", 1629 წელს გამოცემული ქართულ-იტალიური ლექსიკონი, 1709 წელს ვახტანგ VI-ის სტამბაში ნაბეჭდი ფსალმუნები და სხვა. ასევე, პეტრე ხარისჭირაშვილის, ივანე გვარამაძის, მიხეილ თამარაშვილის, ზაქარია ჭიჭინაძის, ზაქარია დიდიმამიშვილის, დიმიტრი ანტონოვის, ნიკოლოზ ასათიანის, გიორგი გამრეკელის, ილია მაისურაძის, ბესარიონ ტაბიძის, გიორგი გოგოლაძის, კონსტანტინე გვარამაძის, სერგო ხოსიტაშვილისა და სხვათა პირადი არქივები. *არქეოლოგიის ფონდში* ინახება სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი პალეოლითისა და ნეოლითის ხანის იარაღები, ენეოლითის, ადრე, შუა და გვიანი ბრინჯაოს, ადრერკინისა და ანტიკური ხანის მნიშვნელოვანი ძეგლები, მიწათმოქმედების, მესაქონლეობის, მეტალურგიის ჩასახვისა და განვითარების ამსახველი მასალები.


ახალციხის მუზეუმი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არქეოლოგიური მონაპოვარი ახალციხის ამირანის გორის ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარიდან და სოფელ ზველის შუაბრინჯაოს ხანის ყორღანებიდან. **ეპიგრაფიკის** ფონდი მდიდარია მხარის ეპიგრაფიული ძეგლებით, რომელთა შორისაა X-XI საუკუნეების წარწერიანი ქვები ახალციხის წმ. მარინეს, წყისეს, ზედა ღაღვის, იჯარეთის, ზარზმის, საფარის ეკლესიებიდან, ამხეს და ნაღვარევის წარწერიანი ქვაჯვარები, 1103 წლის წარწერა ციხისუბნიდან, 1467 წლის წარწერა სმადიდან და სხვა. აქვე დაცულია აგრეთვე ქვები სომხური, არაბული, სპარსული და თურქული წარწერებით. 2003 წელს მას მნიშვნელოვანი ექსპონატები შეემატა სოფელ ბოგიდან (ახალციხის რაიონი), სადაც როგორც ლაპიდარული, ისე თიხაზე (კერამიკაზე) შესრულებული IX-X საუკუნეების წარწერები აღმოჩნდა. გამუდმებით ივსება **ნუმიზმატიკის ფონდი**. აღსანიშნავია ნიკოლოზ ბეგიშვილის კოლექცია. ასევე, კეისარ ავგუსტუსის დინარი, I-IV საუკუნეების რომაული სპილენძისა და ვერცხლის მონეტები. XI საუკუნის ბიზანტიური და სელჯუკური ოქროსა და ვერცხლის მონეტები, ყაზან-ყაენის მოჭრილი დირჰემები (XIII-XIV საუკუნეთა მიჯნა), ყვარყვარე ათაბაგის მონეტები და სხვა. **ეთნოგრაფიის ფონდში** თავმოყრილია ამ რეგიონის მოსახლეობის ყოფის ამსახველი ექსპონატები: სასოფლო-სამეურნეო და საბრძოლო იარაღები, ეროვნული ტანსაცმელი, საოჯახო ნივთები, ხის ჩუქურთმების ნიმუშები, სპილენძის, ვერცხლის ნაკეთობანი და სახელოსნო იარაღები, ამქრის დროშები, ხალიჩები, ფარდაგები, ნაქარგობანი და სხვა ნივთები.

გამოფენებს რაც შეეხება, მუზეუმში 11 საგამოფენო დარბაზია, სადაც მოწყობილია არქეოლოგიური, ისტორიულ-ეთნოგრაფიული და ეპიგრაფიკული, ქართული ხალიჩებისა და ფარდაგების გამოფენები. ცალკე ექსპოზიციები ეძღვნება ტაო-კლარჯეთსა და სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ ძეგლებს, სტამბოლის ქართველთა სავანეს). მილსადენების კორიდორში არქეოლოგიურ ექსპედიციებს ხელმძღვანელობდნენ ირინე ღამბაშიძე (კლდე, საკირე, აკვედუკი სოფ. ივლიტასთან, თოფიოლი, მოლითი, კოდიანი, თავკვეთილი, ქციის მინდვრის ნამოსახლარი), გიორგი გოგოჭური (ტაძრისი-თისელის სერი), დავით მინდორაშვილი (თისელის ნასოფლარი), მალხაზ ბარამიძე (ჭორატი, ორჭოსანი), ვახტანგ ლიჩელი (აწყური).

**დავით ლორთქიფანიძე, ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი**: თვითონ გამოფენა ძალიან საინტერესოა, მაგრამ ვიტყოდი, რომ ეს პროექტი და დღევანდელი დღე სცდება ერთი ექსპოზიციის ინაუგურაციას. ჩვენ და BP ვართ სტრატეგიული პარტნიორები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ კერძო სექტორის და სახელმწიფო სექტორის თანამშრომლობა არის ერთდადერთი გზა არამომგებიანი ინსტიტუციებისთვის. შესაბამისად, ასეთ სერიოზულ კომპანიასთან მრავალწლიანი თანამშრომლობა ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია. თქვენ უკვე იცით გარკვეული შედეგებიც: ეროვნული მუზეუმის აუდიტორია, დმანისის პროექტი და ა.შ. ამის გარდა, ძალიან მჭიდრო ვთანამშრომლობდით მილსადენის დროს, რაც გრძელდება და გრძელდება არამარტო თბილისში ან დმანისში, არამედ ახალციხეშიც. ბოლო ხანებში ამ მუზეუმს განსაკუთრებული ყურადღება არ ექცეოდა. ჩვენ შევძელით, რომ მოგვეხდინა მუზეუმის დიდი ნაწილის რეაბილიტაცია, მოხდა საცავების მომზადება და საგამოფენო დარბაზის, ანუ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალციხეში არის ისეთი გამოფენა, რომელიც მიიპყრობს ყურადღებას ბევრი ადამიანის, უპირველესად ადგილობრივი მოსახლეობის, ბავშვების და ჩვენ ყველანაირად დავეხმარებით, რომ საგანმანათლებლო პროგრამები განვითარდეს. ახალციხე და მუზეუმიც ბუნებრივად სტრატეგიულ ადგილას მდებარეობს. გარდა ლოკალური კულტურული და საგანმანათლებლო ცენტრისა, მას ყველანაირი პირობა აქვს იმისათვის, რომ ტურისტული განმანაწილებელი ცენტრი გახდეს. ამ გამოფენამ საშუალება მოგვცა, რომ მუზეუმისთვის ხელი შეგვევლო და ამის პარალელურად, ის ხელს შეუწყობს იმას, რომ ამ რეგიონისადმი ინტერესი გაძლიერდეს. ექსპოზიციაზე მისული დამთვალიერებელი მრავალმხრივ საინტერესო მასალას გაეცნობა. აქ არის შედევრებიც, განსაკუთრებით ოქროს ნივთები. ჩვენთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია რეგიონალური მუზეუმების განვითარება. სიღნაღის მუზეუმი უკვე წარმატებულად მუშაობს და ის ფაქტიც, რომ პიკასოს გამოფენას 17 000-ზე მეტი დამთვალიერებელი ჰყავდა, აჩვენებს, რომ ინტერესი არსებობს. იმედი მაქვს, რომ სულ მალე იგივეს ახალციხის მუზეუმზეც ვიტყვით.

Bazaleti HOTELS GROUP

ბაზალეთის სასტუმროთა ჯგუფი
ბაზალეთის სასტუმრო კომპლექსი

დაისვენეთ, გაერთეთ, შეიგრძენით ბაზალეთის სასტუმრო კომპლექსი!





ტელ: +995 32 75 53 66 +995 32 75 53 67, E-mail info@bazaletilake.ge reservation@bazaletilake.ge, www. Bazaletilake.ge

CMYK - 9

## რაში ხედავს ბლატერი საფრთხეს

ფიფას პრეზიდენტს ზეპ ბლატერს არ მიაჩნია, რომ ფლორენტინო პერესის მიერ სატრანსფერო ბაზარზე ატეხილი საგიჟეთი რამეთი მაინც ემუქრება ფეხბურთს. მსოფლიო ფეხბურთის მთავარი ჩინოსანი თვლის, რომ ეს თითოეული გუნდის კერძო საქმეა და თუ ვინმეს ულირს ფეხბურთელში 100 მილიონის გადახდა, კი ბატონო, გადაიხადოს, რა პრობლემაა. ერთ-ერთ უმთავრეს საფრთხედ ბლატერი მიიჩნევს იმ ტენდენციას, რომელიც ბრიტანეთში ჩამოყალიბდა - კერძოდ, კლუბების უცხოელ მეპატრონეებზე გაყიდვას. ბლატერის აზრით, ადგილობრივ კლუბებს ადგილობრივი მფლობელები უნდა ჰყავდეს.

"საფრანგეთში, გერმანიასა და ესპანეთში ძალაშია ადგილობრივ ხელისუფლებათა დადგენილებები, რომელთა თანახმად, ადგილობრივი კლუბების მფლობელები მხოლოდ ამ ქვეყნების მცხოვრებლები შეიძლება იყვნენ. ასეთი კანონი ინგლისის პრემიერლიგაში არ მოქმედებს. ეს პრობლემაა, რაზეც უნდა დავფიქრდეთ. თუმცა, არავითარი უფლება არ გვაქვს, მსგავს ეკონომიკურ პროცესებში ჩავერიოთ", - აცხადებს ბლატერი.

როგორც ცნობილია, ინგლისურ პრემიერლიგაში მოასპარეზე 9 კლუბი უცხოელი მფლობელის ხელშია.

## "ლოკო" ჩეხებს დაუზავდა

ავსტრიაში შეკრებაზე მყოფმა მოსკოვის "ლოკომოტივმა" ჩეხურ "ბოლესლავთან" საკონტროლო მატჩი გამართა და ფრედ - 2:2 ითამაშა. მოსკოვური კლუბის ღირსებას ორი ქართველი იცავს - მალხაზ ასათიანი და დავით მუჯირი. რუსულმა კლუბმა პირველი ტაიმი 2:0 მოიგო, თუმცა, უპირატესობის შენარჩუნება ველარ მოახერხა.

ქართველ ფეხბურთელებს რკინიგზელთა სასტარტო შემადგენლობაში არ უთამაშიათ. ასათიანი მინდორზე 62-ე წუთზე გამოჩნდა და ერთ-ერთი საყრდენი ნახევარმცველის პოზიცია დაიკავა, მუჯირი კი 66-ე წუთზე ჩაერთო თამაშში. "ლოკომოტივი" 4 ივლისს ჰაიფას "მაკაბის" ეთამაშება, 5-ში - კიევის "დინამოს, 6 ივლისს კი მოსკოვში დაბრუნდება.

## მალდინი დაისვენებს

"მილანის" ლეგენდამ პაოლო მალდინიმ საფეხბურთო კარიერა სულ ცოტა ხნის წინ დაასრულა და მას ახლავე შეეძლო სამწვრთნელო კარიერის დაწყება. "მილანიდან" "ჩელსიში" გადასულმა კარლო ანჩელოტიმ დაადასტურა, რომ ის მალდინის ლონდონური კლუბის სამწვრთნელო შტაბში იწვევდა.

"მას წინადადებით მივმართე, მაგრამ მალდინიმ პაუზის აღება გადაწყვიტა. ასეთი ხანგრძლივი სათამაშო კარიერის შემდეგ მისი გადაწყვეტილება სრულიად გასაგებია. მაგრამ თუ არის ვინმე, ვის მიწვევასაც ვისურვებდი "ჩელსიში", ეს მალდინია", - ამბობს ანჩელოტი.

ამრიგად, პაოლო მალდინიმ პაუზა აიღო და, სულ მცირე, ერთ წელიწადს მაინც დაისვენებს ფეხბურთისგან. მერე კი ალბათ სამწვრთნელო საქმეს მოკიდებს ხელს.

## ვან დერ სარი კიდევ ერთ წელიწადს ითამაშებს

"მანჩესტერ იუნაიტედის" ჰოლანდიელი მეკარე ედვინ ვან დერ სარი კიდევ ერთ სეზონს ითამაშებს და შემდეგ დაასრულებს საფეხბურთო კარიერას.

ამ გადაწყვეტილების შესახებ 38 წლის მეკარე "მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცს ალექს ფერგიუსონს სეზონისწინა შეკრებაზე აცნობებს.

გავრცელებული ცნობის თანახმად, გადაწყვეტილება ვან დერ სარს ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან მოთათბირების შემდეგ მიუღია.

## "ჰოფენჰაიმი" ალექსით გაძლიერდა

გერმანულმა "ჰოფენჰაიმმა" "კიოლნიდან" 18 წლის ნიგერიელი ცენტრალური მცველი ალბერტ ალექსი გადაიყვანა. ალექსი კლუბის მეხუთე შენაძენია.

ითამაშებს თუ არა ის თავიდანვე პირველ გუნდში, თუ, ისევე როგორც "კიოლნში", "ჰოფენჰაიმშიც" 19 წლამდელებში გამოვა, მოსამზადებელ პერიოში გაირკვევა.

## კაკა წარადგინეს

მადრიდის "რეალმა" გულშემატკივრებს კაკა წარუდგინა. "სანტიაგო ბერნაბეუზე" ბრაზილიელი პირველად გამოჩნდა მადრიდის "რეალის" ფეხბურთელის რანგში. სტადიონზე ფეხბურთელის შესახვედრად 40 ათასამდე ქომაგი შეიკრიბა და სამხრეთამერიკელს ხანგრძლივი ოვაცია მოუწყო.

"ჩემთვის განსაკუთრებული დღეა. ბედნიერი ვარ, რომ ჩემი კარიერის ახალი ეტაპი "რეალში" გაივლის", - თქვა კაკამ, რომელიც "რეალში" 8-ნომრიანი მაისურით იასპარეზებს. უახლოეს დღეებში "სანტიაგო ბერნაბეუზე" კიდევ ორ ფეხბურთელს წარადგენენ. 2 ივლისს გულშემატკივრები რაულ ალბიოლს შეხვდებიან, ხოლო 6-ში - კრიშტიანუ რონალდუს.

## "შევას" მშობლიური "დინამო" უხმობს

კიევის "დინამოს" პრეზიდენტი იგორ სურკისი მზადაა გუნდში დააბრუნოს უკრაინის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების ფორვარდი ანდრეი შევჩენკო, რომლის სატრანსფერო უფლებები ლონდონის "ჩელსის" ეკუთვნის, გასულ სეზონში კი იჯარით "მილანში" თამაშობდა.

"შევჩენკო ჩვენი ინტერესების სფეროშია. მას წინადადებით მივმართეთ და პასუხს ველით. ის ან მიიღებს ჩვენს წინადადებას, ან - არა. ანდრეის დაბრუნებას სულით და გულით მივესალმები. არც გუნდის მთავარი მწვრთნელი ვალერი გაზაევია ამის წინააღმდეგი," - განაცხადა სურკისმა უკრაინულ მასმედიასთან საუბარში.

# "ზესტაფონი" და "ოლიმპი" ევროსტარტის მიჯნაზე



*მერებაშვილმა "ზელბიცს" გაუტანა*

მიხეილ აბაიშვილი

დღეს ორი ქართული კლუბი ევროპის ლიგად სახელგადაკეთებულ უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო რაუნდში ჩაებმება. რუსთავში ადგილობრივი "ოლიმპი" ფარერის კუნძულების წარმომადგენელ სამოყვარულო კლუბს "ბ36"-ს დაუპირისპირდება, რომლის რიგებში მეტწილად მებადურები და მეცხვარეები ასპარეზობენ.

სიძლიერით და ტრადიციებით ვერც მეორე ქართული კლუბის "ზესტაფონის" მეტოქე - ჩრდილოირლანდიური "ლისბორნი" დაიკვეხნის. თუმცა, ფარერელებისაგან განსხვავებით, ამ გუნდს ორი ღირსება აქვს. პირველი: რაც არ უნდა იყოს, "ლისბორნი" ფეხბურთის სამშობლოს, ბრიტანეთის წარმომადგენელია, და მეორე: ეს გუნდი მასპინძლის რანგში დაუხვდება "ზესტაფონს". სხვა მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ "ლისბორნი", რომელიც მე-20 საუკუნის დასაწყისში შეიქმნა, ჩრდილოეთ ირლანდიის უძველესი კლუბია და ადგილობრივ დონეზე არც ტიტულების ნაკლებობას უჩივის - ექვსჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი და თორმეტჯერ ეროვნული თასი დაისაკუთრა. გასულ სეზონში ამ გუნდმა ჩრდილოირლანდიის ეროვნულ ჩემპიონატში მეოთხე ადგილი დაიკავა და ჩემპიონს - ბელფასტის "გლენტორანს" 25 ქულით ჩამორჩა. "ლისბორნი" ევროსარბიელზე წარუმატებლად ასპარეზობს და პირველი ეტაპის გადალახვა მისთვის მიუწვდომელი ოცნებაა. გასულ სეზონში ამ გუნდმა "ინტერტოტოს თასზე" ითამაშა და პირველივე ეტაპზე ორი მატჩის ჯამში საერთო ანგარიშით 3:6 ფინურ "ტურკუსთან" დამარცხდა.

ევროთასებზე ვერც "ზესტაფონი" ბრწყინავს, თუმცა ეს გუნდი არსებობის მხოლოდ ხუთწლიან ისტორიას ითვლის, თუმცა, "ლისბორნზე" უკეთესი შედეგები აქვს.

"ზესტაფონმა" სერიოზული მოსამზადებელი ეტაპი გაიარა სლოვენიაში, სადაც ძლიერ გუნდებთან ჩაატარა სპარინგები (ამის შესახებ უკვე ვწერდით). განსაკუთრებით გამოვარჩევ მატჩს სლოვენიის ჩემპიონ "მარიბორთან", რომელიც, მართალია, ფრედ - 1:1 დასრულდა, მაგრამ "ზესტაფონს" ნამდვილად მართებდა გამარჯვება - შეხვედრის მიწურულს ჯაბა დვალმა მისივე წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ვერ გამოიყენა.

"ზესტაფონი" ხუთი ახალწვეულით გაძლიერდა. გია გეგუჩაძის მიერ გუნდში მიწვეულ ფეხბურთელთაგან გამოვარჩევდი ჯაბა დვალს, ზაალ ელიავას და თორნიკე აფციაურს, რომელთა შემატება გუნდს საკმაოდ გააძლიერებს. გუნდი გუშინ თბილისი - კიევი - ბელფასტის მიმართულებით ჩარტერული რეისით გაემგზავრა და გუშინვე "ნიუ გროსვენორ სტეიდიუმზე" (ამ არენაზე გაიმართება დღეს მატჩი) ვარჯიში ჩაატარა. მატჩისწინა პრესკონფერენციაზე გია გეგუჩაძე სიტყვაძუნწი იყო, თუმცა, ოპტიმიზმი არ დაუმალავს.

"ჩრდილოეთ ირლანდიაში "ზესტაფონი" მხოლოდ გამარჯვებისთვის ჩამოვიდა, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მეტოქეს არ ვაფასებთ. "ლისბორნი" სპეციფიკური პატარა კლუბია, მაგრამ ის ფაქტი, რომ ბრიტანეთს წარმოადგენს, პატივისცემას იწვევს. სანამ პირველ მატჩს ჩავატარებთ, შანსებს თანაბრად, 50-50-ზე შევაფასებდი", - აღნიშნა "ზესტაფონის" თავკაცმა.

თუ "ზესტაფონმა" პირველი ეტაპის ბარიერი დაძლია (და ამის დიდი იმედი გვაქვს), მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე სომხურ "მიკასა" და შვედურ "ჰელსინგბორგს" შორის გამარჯვებული, ანუ, სავარაუდოდ, "ჰელსინგბორგი" ელის. ამ გუნდის ძალასა და შესაძლებლობებზე ისიც მეტყველებს, რომ ორი წლის წინ "ჰელსინგბორგმა", რომლის რიგებში ჰენრიკ ლარსონი ირიცხებოდა, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო რაუნდიდან თვით მილანის "ინტერი" გამოაგდო. "ლისბორნსა" და "ზესტაფონს" შორის მატჩი თბილისის დროით 22 საათსა და 45 წუთზე დაიწყება. საპასუხო მატჩს ზესტაფონის სტადიონი 9 ივლისს უმასპინძლებს.

"ბ36"-თან დაპირისპირებისთვის თბილისში მოემზადა "ოლიმპი", რაც დიდად გასაკვირი არც უნდა იყოს, რადგან პირველივე ეტაპის შემდეგ გუნდში საკადრო ცვლილებებია დაგეგმილი. "ოლიმპმა" კონტრაქტი გააფორმა ბრაზილიის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბთან, კურიტიბას "ატლეტიკო პარანაენსესთან". ეს ხელშეკრულება მრავალმხრივ თანამშრომლობას, მათ შორის, "ოლიმპში" "პარანაენსეს" ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელების იჯარის წესით განათხოვრებას ითვალისწინებს. ეს ამ კლუბის პრეზიდენტის თანაშემწემ მანუელ ანდრადემ დაადასტურა ორი დღის წინ სასტუმრო "შერატონში" გამართულ პრესკონფერენციაზე. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის შემდეგ სატრანსფერო ფანჯარა იხსნება და მეორე ეტაპის წინ, რომელშიც "ოლიმპს" პოლონეთის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი - ვარშავის "ლეგია" გაუწევს მეტოქეობას (თუ, რა თქმა უნდა, "ბ36"-ის ბარიერს დაძლევს), რუსთავური კლუბი, სავარაუდოდ, ხუთამდე ბრაზილიელი ფეხბურთელით გაძლიერდება.

დღევანდელი მატჩი რუსთავში თბილისის დროით 17 საათსა და 30 წუთზე დაიწყება, განმეორებითს კი ფარერების დედაქალაქი ტორსჰავნი 9 ივლისს უმასპინძლებს.

უსაქმოდ არც ის ორი ქართული კლუბია, რომლებიც ევროტურნირებში საწყის კვალიფიკაციას გამოტოვებენ და პირდაპირ მეორე ეტაპიდან ჩაებმებიან. თბლისის "ვიტ ჯორჯია" ყირიმში ემზადება ჩემპიონთა ლიგის პირველი მატჩებისთვის, რომელშიც ვეტერინართა მეტოქე "ზესტაფონის" ნაცნობი სლოვენიის "მარიბორი" იქნება. ყირიმის "კრიმტეპლიცას" ბაზაზე "ვიტ ჯორჯიამ" პირველი სპარინგი გამართა უკრაინის უმაღლესი ლიგის წარმომადგენელ კრივოი როგის "კრივბასთან". შეხვედრა, რომლის პირველ ნახევარში ქართველები საგრძნობ უპირატესობას ფლობდნენ, 0:0 დასრულდა.

თბილისის "დინამოც" უცხოურ, კერძოდ, გერმანულ საწვრთნელ შეკრებას გადის. ორი დღის წინ კახა კაჭარავას შეგირდებმა პირველი ტესტ-მატჩი გამართეს. "დინამოს" მეტოქე იყო გერმანიის რეგიონალლიგის წარმომადგენელი "ზელბიცი". მატჩი სტუმრების სრული უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით - 3:1 დასრულდა. დინამოელთაგან გოლები გაიტანეს მერებაშვილმა, ვაწაძემ და შოთა კაშიამ. მორიგ მატჩს "დინამო" 3 ივლისს ჩაატარებს. ამჯერად მისი მეტოქე იქნება რეგიონალლიგის კიდევ ერთი ბინადარი "გერა".

# კალენდარი დადგინდა



პორტუგალიაში თებერვალში ჩავდივართ

2010 წელი ქართველი მორაგბეებისთვის მნიშვნელოვანი იქნება. "ერთა თასის" მორიგ გათამაშებაში "ბორჯღალოსნები" ფავორიტებად ითვლებიან და ჩვენმა ბიჭებმა სპეციალისტთა პროგნოზი უნდა გაამართლონ. მომავალ ერთა თასს ის მნიშვნელობაც აქვს, რომ ამ თამაშების შემდეგ გაირკვევა იმ გუნდების ვინაობა, რომლებიც 2011 წელს რაგბის მსოფლიო თასზე ითამაშებენ.

"ერთა თასის" მეორე წრის კალენდარმა საბოლოო სახე მიიღო. ტურნირი 2010 წლის 6 თებერვალს განახლდება, ბოლო ტური კი 20 მარტს გაიმართება.

"ბორჯღალოსნები" სტუმრად მხოლოდ ორ მატჩს გამართავენ - პორტუგალიასთან და რუმინეთთან. გერმანია და ესპანეთი თბილისში გვეწვევიან, საქართველოსა და რუსეთის ნაკრებთა მატჩი კი, ცნობილ მიზეზთა გამო, თურქეთის ქალაქ ტრაბზონში გაიმართება.

ქართულ-რუსული დაპირისპირების პირველ მატჩს უკრაინის ქალაქმა მარიუპოლმა უმასპინძლა, მეორე კი, თავდაპირველი ვერსიით, საფრანგეთში უნდა გამართულიყო, თუმცა, საბოლოოდ არჩევანი ტრაბზონზე გაჩერდა.

ევროპულის რაგბის ფედერაციის (FIRA-AER) გადაწყვეტილებით, "ერთა თასის" მატჩები რაგბის საერთაშორისო საბჭოს (IRB) მიერ ოფიციალურად გამოყოფილ თარიღებს ემთხვევა. ასე რომ, კლუბებს ნაკრებში გამოძახებულ მორაგბეთა დაყოვნების უფლება არ ექნებათ.

ცნობილი გახდა ისიც, რომ 20 მარტს დასკვნითი ტურის მატჩები ერთსა და იმავე დროს დაიწყება, რათა გუნდებს ვარირების საშუალება არ ჰქონდეთ. ტურნირში პირველ-მეორე ადგილზე გასული გუნდები 2011 წლის მსოფლიო თასზე ავტომატურად მოხვდებიან, მესამე საფეხურზე გასული გუნდი კი რეპეშაჟში ითამაშებს

**"ერთა თასის" 2010 წლის კალენდარი ასე გამოიყურება**

**6-7 თებერვალი**

რუსეთი - პორტუგალია
რუმინეთი - ესპანეთი
საქართველო - გერმანია

**13-14 თებერვალი**

პორტუგალია - საქართველო
ესპანეთი - რუსეთი
რუმინეთი - გერმანია

**27-28 თებერვალი**

საქართველო - ესპანეთი
რუსეთი - რუმინეთი
გერმანია - პორტუგალია

**12-13 მარტი**

რუმინეთი - საქართველო
ესპანეთი - პორტუგალია
რუსეთი - გერმანია

**20 მარტი**

საქართველო - რუსეთი (ტრაბზონში)
პორტუგალია - რუმინეთი
გერმანია - ესპანეთი

**მეორე წრის განახლებმდე სატურნირო მდგომარეობა ასეთია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საქართველო | 5 | 4 | 1 | 0 | 170:80 | 14 |
| 2.რუსეთი ........ | 5 | 4 | 0 | 1 | 162:77 | 13 |
| 3.პორტუგალია | 5 | 3 | 1 | 1 | 124:84 | 12 |
| 4.რუმინეთი..... | 5 | 2 | 0 | 3 | 104:88 | 9 |
| 5.ესპანეთი ...... | 5 | 1 | 0 | 4 | 77:151 | 7 |
| 6.გერმანია ...... | 5 | 0 | 0 | 5 | 22:179 | 5 |

# კობეშავიძის გუნდმა ისრაელთან წააგო

კალათბურთის მოყვარულს კარგად მოეხსენება, რომ საქართველოს ნაკრები 18 წლამდე ასაკის კალათბურთელთა შორის ისრაელში საწვრთნელ შეკრებაზეა და ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება. კობეშავიძის შეგირდებმა ებრაელ თანატოლებთან უკვე სამი მატჩი გამართეს. მესამე გუშინ, გვიან ღამით გაიმართა, ამიტომ პირველ ორზე მოგითხრობთ. პირველი თამაში ჩვენმა გუნდმა თითქმის უბრძოლველად დათმო - 48:69. მეორე შეხვედრაში კი კობეშავიძის გუნდმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწია ისრაელის ნაკრებს, რომელიც ევროპულ საკალათბურთო გრანდებში მოიხსენიება.

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით,

საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებს სულ ცოტა დააკლდა, რომ წინა დღით განცდილი წაგებისთვის შური ეძია. მიხეილ კობეშავიძის გუნდმა ჩინებულად ითამაშა, ბოლო მეოთხედში 9-ქულიანი ჩამორჩენაც გაათანაბრა, მაგრამ დამატებით დროში ველარ ივარგა და 80:90 დამარცხდა.

საქართველოს ნაკრებმა წინა შეხვედრისგან განსხვავებული სტილით ითამაშა. თუ პირველ მატჩში კობეშავიძის გუნდი თავიდანვე ტოლ-სწორად ეპაექრა ებრაელებს, დღევანდელ თამაშში დებიუტშივე ჩამორჩა. ქართველებმა პირველი მეოთხედი 11 ქულით წააგეს და ბოლო წუთებამდე მოუნდნენ ამ ჩამორჩენის გაბათილებას.



ბექა ჩიკვილაძემ 29 ქულა მითვალა

გადამწყვეტი ათწუთეულის დაწყებამდე ისრაელი 56:47 იგებდა. კობეშავიძის შეგირდებმა ანგარიშის გათანაბრება მოახერხეს და ბოლო წამებზე მოგებაც შეეძლოთ, მაგრამ ბექა ჩიკვილაძის მიერ ბოლო წუთზე ნასროლმა 72:72 გახადა ანგარიში და მომდევნო შეტევაში ებრაელებმა ბურთი დაკარგეს. ძირითადი დროის დასრულებამდე 26 წამი რჩებოდა. ქართველებმა ბურთი ბოლომდე გაათამაშეს, გადამწყვეტი სროლა კი გააცუდეს და თამაში დამატებით დროში გადაიზარდა.

ოვერტაიმში მასპინძლები მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდნენ. ქართველებს დაღლა დაეტყოთ და შეცდომებმაც იმატა. ისრაელის ნაკრებმა სტუმართა მოდუნებით ისარგებლა და საბოლოოდ 90:80 გაიმარჯვა.

**ამხანაგური მატჩი. აშქელონი. 30 ივნისი**

**ისრაელი (U-18) 90:80 საქართველო (U-18)**

**ძირითადი დრო: 72:72**

**26:15 15:16 15:16 16:25**

**საქართველო:** თავართქილაძე, ჩიკვილაძე (29), ბაქრაძე (4), დვალიშვილი (8), თენეიშვილი (3), იოსელიანი (11), ბოქოლიშვილი (15), ლომოური (6), სულაბერიძე (1), ჯავახიშვილი (3)

## ფერგიუსონმა ვალენსია შეიძინა

ორი მეგავარსკვლავის გაშვების შემდეგ ფეხბურთელის ყიდვა "მანჩესტერ იუნაიტედმაც" შეძლო. მანკუნიანელებმა "უიგანის" 23 წლის ეკვადორელ ფეხბურთელთან ანტონიო ვალენსიასთან 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმეს.

"ანტონიო ის მოთამაშეა, რომლის ასპარეზობითაც ბოლო ორი წლის განმავლობაში აღფრთოვანებული ვიყავი. დარწმუნებული ვარ, ის დიდ სარგებლობას მოგვიტანს", - განაცხადა მანჩესტერელთა მთავარმა მწვრთნელმა სერ ალექს ფერგიუსონმა.

## მესი და ტორესი ახალ ვირტუალურ მოედანზე

კომპიუტერული თამაშების მწარმოებელმა კომპანია conami-მ ანონსი გაუკეთა pro evolucion soccer 2010-ის ახალ ვერსიას, რომლის სახეებად ინგლისური "ლივერპულის" ფორვარდი ფერნანდო ტორესი და ესპანური "ბარსელონას" ნახევარმცველი ლეო მესი იქცნენ.

ახალ თამაშში, რომელიც მომავალი წლიდან გამოვა, დრიბლინგისა და დარტყმების სისტემა იქნება დახვეწილი. შემქმნელებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს ოპციის მოდერნიზებაზე, რომელიც ფეხბურთის ტაქტიკურ მხარეს ეხება. ფეხბურთელთა ძლიერი მხარეების გამოყენების ეფექტურობა მოედანზე მათთვის პოზიციის შერჩევაზე იქნება დამოკიდებული.

კომპიუტერულ თამაშში დამატებულია ისეთ ტურნირებზე ასპარეზობის შესაძლებლობა, როგორიცაა ჩემპიონთა და ევროპული ლიგები. ვირტუალურ მატჩებს გაახმოვანებენ კომენტატორები ჯონ ჩემპიონი და მარკ ლოურენსონი.

## მაქინაციებში ეჭვმიტანილი

მაქინაციები და გარიგებები უცხო არ არის სპორტული სამყაროსთვის. ერთ-ერთი სკანდალი მადრიდის "რეალის" ყოფილი პრეზიდენტის რამონ კალდერონის სახელს უკავშირდება. გამოცემა Marca-ს ინფორმაციით, მადრიდის "რეალის" ყოფილმა პრეზიდენტმა რამონ კალდერონმა კლუბის მმართველობის პერიოდში ფეხბურთელების ტრანსფერების განხორციელების დროს 24 მილიონი ევრო მიითვისა. ის ეჭვმიტანილი იყო, რომ ლასანა დიარას ტრანსფერიდან 4 მილიონი ევრო "გამოიმუშავა", მაგრამ ამჯერად სხვა გარიგებების დეტალებიც გახდა ცნობილი. კალდერონის პრეზიდენტობის დროს შემდგარი თერთმეტი ტრანსფერის გამოძიების დროს დადგინდა, რომ თითოეული მათგანიდან "სამეფო კლუბის" ყოფილ პრეზიდენტს ერთი მილიონი ევრო ერგო. Marca-ს ცნობით, კალდერონმა ფაბიო კანავაროს "იუვენტუსიდან" "რეალში" განხორციელებული ტრანსფერისას იტალიელ ფეხბურთელში კლუბის მიერ გადახდილი თანხის 16,7 პროცენტი (3,34 მილიონი ევრო) მიითვისა.

## "მილანი" ადებაიორს ყიდულობს

იტალიური "მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ დაადასტურა გავრცელებული ინფორმაცია, რომ "როსონერის" ლონდონის "არსენალის" ფორვარდის ემანუელ ადებაიორის შეძენა სურს. "ადებაიორი ედინ ჯეკოს ალტერნატივაა. "არსენალის" წარმომადგენლებს ვუთხარი, რომ მათი ფორვარდით ვართ დაინტერესებული. არსენ ვენგერსაც ვესაუბრე და ადებაიორის სავარაუდო ტრანსფერზე წამოვჭერით საკითხი", - განაცხადა გალიანიმ.

## გატუზოს ერთგულება

იტალიურ პრესაში გავრცელებული ცნობები, თითქოს გატუზოს, თავისი ყოფილი თავკაცის კარლო ანჩელოტის მსგავსად, "ჩელსიში" გადასვლა სურდა, არ გამართლდა. "ჩელსისა" და ანჩელოტის მართლაც სურთ ჩემი კლიენტის ლონდონში გადაყვანა, მაგრამ ჯენარო ასე ადვილად ვერ მიატოვებს იმ კლუბს, რომელმაც ის საქვეყნოდ ცნობილ ფეხბურთელად აქცია. მისთვის მთავარია ადამიანური ღირსებები და მხოლოდ ამის შემდეგ მოდის ფეხბურთი და კარიერა", - განაცხადა გატუზოს აგენტმა პასტორელომ. პასტორელომ ასევე გააკეთა კომენტარი ფეხბურთელის იმ გადაწყვეტილებაზე, რაც ჯენაროს "მილანში" დარჩენას გულისხმობს. "მილანის" 31 წლის ნახევარმცველი მზადაა კლუბთან ახალი, გრძელვადიანი ხელშეკრულების გაფორმების სანაცვლოდ, ანაზღაურების შემცირებას დათანხმდეს. "ამ დღეებში ვესაუბრე ჯენაროს. მან მითხრა, რომ ხელფასის დაკლების ხარჯზე გრძელვადიანი კონტრაქტის გაფორმება სურს. მან გარკვევით ამიხსნა, რომ მისთვის მთავარი "მილანში" თამაშია და ანაზღაურებას მეორეხარისხოვან როლს ანიჭებს. ცხოვრებაში ბევრ ადამიანთან მქონია ურთიერთობა, მაგრამ გატუზოს მსგავსს არსად შევხვედრივარ. ის მართლაც სამაგალითო და უერთგულესი ადამიანია", - აღნიშნა იტალიელი ნახევარმცველის აგენტმა გაეტანო პასტორელომ.

## რიბერი "ბაიერნში" იწყებს ვარჯიშს

მიუნხენის "ბაიერნმა" მომავალი სეზონისთვის დაიწყო მზადება. გუნდთან ერთად ემზადება ფრანკ რიბერი, რომლის შეძენის მსურველი ახლა ბევრია.

"პირველ ივლისს ფრანკი გუნდთან ერთად საწვრთნელ ბაზაზე იქნება. ამ ხნის მანძილზე ვინმემ ერთხელ მაინც თუ იგრძნო, რომ ვნებდებოდით, ერთხელ მაინც თუ დაინახა ჩვენი სისუსტე?" - აღნიშნა "რეკორდმაისტერთა" გენერალურმა მენეჯერმა ული ჰიონესმა.

რიბერის შეძენის სურვილი გამოთქვეს ლონდონის "ჩელსიმ", "მანჩესტერ იუნაიტედმა", "ბარსელონამ" და "რეალმა".

მიუხედავად ამისა, მიუნხენური გრანდი არ აპირებს ფრანგის გაშვებას. კლუბის მესვეურები ყველა ღონეს ხმარობენ, რათა რიბერი შეინარჩუნონ.

# საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აცხადებს საერთაშორისო ტენდერს სხვადასხვა ტიპის ავტომანქანების ტექნიკური მომსახურების შესყიდვაზე **და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.**

**შესყიდვის ობიექტი-** სხვადასხვა ტიპის ავტომანქანების ტექნიკური მომსახურება
**დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი**
შესყიდვის ობიექტი დაყოფილია ოცდაორ ლოტად
- ლოტი N1 კვადროციკლები
- ლოტი N2 აუდის მარკის ავტომანქანები.
- ლოტი N3 ბე-ემ-ვე-ს მარკის ავტომანქანები
- ლოტი N4 ფოლკსვაგენის მარკის ავტომანქანები
- ლოტი N5 ფორდის მარკის ავტომანქანები
- ლოტი N6 გაზისა და უაზის მარკის ავტომანქანები
- ლოტი N7 ჯიპი "ვილის" მარკის ავომანქანა
- ლოტი N8 მერსედესის მარკის ავტომანქანები
- ლოტი N9 მიცუბიშის მარკის ავტომანქანები
- ლოტი N10 ნისანის მარკის ავტომანქანები
- ლოტი N11 ოპელის მარკის ავტომანქანები
- ლოტი N12 რენოს მარკის ავტომანქანები
- ლოტი N13 რენჯროვერის მარკის ავტომანქანა
- ლოტი N14 შკოდას მარკის ავტომანქანები
- ლოტი N15 ტოიოტას მარკის ავტომანქანები
- ლოტი N16 ვაზის მარკის ავტომანქანები
- ლოტი N17 მაზდას მარკის ავტომანქანა
- ლოტი N18 ჰიუნდაის მარკის ავტომანქანები
- ლოტი N19 ფიატის მარკის ავტომანქანები
- ლოტი N20 ლენდროვერის მარკის ავტომანქანები
- ლოტი N21 პოსტ-საბჭოთა ქვეყნების წარმოების სატვირთო-სამგზავრო ავტომანქანები
- ლოტი N22 სხვა იმპორტული წარმოების სატვირთო-სამგზავრო ავტომანქანები

ავტომანქანების **ჩამონათვალის გაცნობა შესაძლებელია სატენდერო დოკუმენტაციაში მის გატანამდე, ქვემოთ მითითებულ მისამართზე.**

ავტომანქანების **ტექნიკური მომსახურება ტენდერში გამარჯვებულ(ებ)მა უნდა განახორციელოს საკუთარი სათადარიგო ნაწილებით.**

ტენდერში გამარჯვებულების მიერ აღნიშნული მომსახურება უნდა განხორციელდეს 2009 წლის 15 აგვისტოდან 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად. მომსახურების ღირებულებაში გათვალისწინებული უნდა იყოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი.

სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2009 წლის 2 ივლისიდან 23 ივლისის 12.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის ქუჩა N20, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი, ოთახი N322. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:

ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში, არასაგადასახადო სახელმწიფო ხაზინა
ანგ. N 200122900
ბანკის კოდი: 220101222
სახაზინო კოდი: 302006500

გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ სხვადასხვა ტიპის ავტომანქანების ტექნიკური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე გამოცხადებული ტენდერი.

პრეტენდენტებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ერთ დალუქულ კონვერტში 2009 წლის 23 ივლისის 12 საათიდან 27 ივლისის 12:00 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის ქუჩა N20, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი, ოთახი N322. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით, ზემოთაღნიშნულ მისამართზე, 2009 წლის 27 ივლისის 12:00 საათზე.

- საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

**იურიდიულ პირთათვის:**

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
3. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
4. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრადებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;
5. ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

**ფიზიკურ პირთათვის:**

1. ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან მისი ქმედუნარიანობის შესახებ;
2. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრადებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;
3. ცნობა სასამართლოდან, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:**

1. ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);
2. ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან (წერილობითი დადასტურება), რომ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი ბოლო ორი წლის განმავლობაში არ არის არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტების და მიმწოდებლების რეესტრში.

პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასთან ერთად (ერთ დალუქულ კონვერტში) ასევე უნდა წარმოადგინონ სუბკონტრაქტორების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების (ზემოთჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემები) შესაბამისად.

განცხადებაში ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული სატენდერო განცხადების გამოქვეყნებიდან არაუმეტეს სატენდერო წინადადების მიღების თარიღამდე.

პრეტენდენტების მიერ განცხადების შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, საკვალიფიკაციო შერჩევის დროს, შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

თუ პრეტენდენტი არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ ყველა დოკუმენტს, ან პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

შენიშვნა: პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული, თარგმანის სახით.

**სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, იურიდიულ და საფოსტო მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს, საიდენტიფიკაციო კოდი.**

დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

ტენდერში თითოეულ ლოტზე გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

ტენდერში სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებული იქნება შემდეგი სახით: საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების ჯამური ღირებულების 1%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა უნდა იყოს პრეტენდენტის სატენდერო წინადადების მოქმედების ვადაზე მინიმუმ 30 კალენდარული დღით მეტი.

ტენდერში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებულ იქნება შემდეგი სახით: საბანკო გარანტია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა უნდა **30 დღით უნდა აჭარბებდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.**

**სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე** პრეტენდენტს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო აპარატის წევრს: გაიოზ მენთეშაშვილი, ტელ: 91-03-54. ქ. თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის ქუჩა, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი, ოთახი N322.

*სატენდერო კომისია*

## ჩვენი საქმიანობის პრიორიტეტი ქალის ჯანმრთელობაა ! თავი დაიცავით სარძევე ჯირკვლის და საშვილოსნოს ავთვისებიანი სიმსივნეებისგან ! ! !

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრში და მობილურ სკრინინგ-ცენტრში სარძევე ჯირკვლის და საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციის პროგრამით ყოველდღიურად წარმოებს პაციენტთა მიღება.

სარძევე ჯირკვლის მამოგრაფიული კვლევა ჩაუტარდებათ 40-დან 70 წლამდე ასაკის ქალბატონებს. გინეკოლოგიური გასინჯვა და პაპ-ტესტი ჩაუტარდებათ 25-დან 60 წლამდე ასაკის ქალბატონებს.

პროგრამა დაფინანსებულია თბილისის მერიის, „გაეროს“ მოსახლეობის ფონდის მიერ და გათვალისწინებულია დედაქალაქის ქალთა მოსახლეობაზე.

პროგრამა მიმდინარეობს პირველი ლედის მხარდაჭერით.

გამოკვლევები ტარდება წინასწარი ჩაწერით. აუცილებელია მოქალაქემ თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

პაციენტების მიღების საათებია: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 9 სთ-დან 18 სთ-მდე, შაბათს - 9 სთ-დან 15 სთ-მდე.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი თბილისი, თ. აბულაძის 20
(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)

**ტელ.: 91 31 19; 91 32 42; ტელ./ფაქსი 25 39 38;**

სატენდერო განცხადება

**European Union** **United Nations Development Programme**

გაეროს განვითარების პროგრამას *"ადრეული რეაბილიტაციისა და მდგრად განვითარებაზე გადასვლის ხელშეწყობის"* პროექტის ფარგლებში პატივი აქვს

**გამოაცხადოს ტენდერი**

**ქალაქ გორის წყალსადენის სათავე ნაგებობების შემოღობვის სამუშაოების შესრულებაზე**

წინადადებები წარმოადგინეთ დაბეჭდილი სახით დალუქულ კონვერტებში (დედანი და ასლი), არაუგვიანეს 2009 წლის 30 ივლისის 17:00 სთ-მდე მისამართზე:
თბილისი, გაეროს სახლი, ერისთავის ქ. №9.

წინა სატენდერო საინფორმაციო შეხვედრა დანიშნულია 2009 წლის 10 ივლისს 14:00 საათზე. საჭირო ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შემდეგ მისამართზე:
გაეროს განვითარების პროგრამა
ქ. გორი, სტალინის გამზირი №4; საკონტაქტო ტელეფონი 8(270) 7 95 70

სრული ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: **www.undp.org.ge**

## განცხადება

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა საკუთრების უფლებით გადაცემის მიზნით აცხადებს აუქციონს, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დამატებითი ქონების სახით არსებულ შემდეგ ქონებაზე:

ლოტი N1. ქ. დუშეთში მდებარე დუშეთის სასტუმროს შენობა-ნაგებობა, შემდეგი სარეგისტრაციო მონაცემებით: სარეგისტაციო ზონა-დუშეთი, კოდი 71, სექტორი ქ. დუშეთი, კოდი 51, კვარტალი N01, ნაკვეთი N393, მიწის ფართობი 1100 მ2.

შენობა-ნაგებობის განაშენიანების ფართობი შეადგენს 703 მ2-ს და მასზე დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი 1100 მ2-ს.

a) საწყისი საპრივატიზებო ფასი განისაზღვრება 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარით;

b) აუქციონში მონაწილის წინასწარი შენატანის - ბე"-ს სიდიდე განისაზღვრება 3 000 (სამი ათასი) ლარით;

g) ბიჯის სიდიდე განისაზღვრება 1 500 (ერთი ათას ხუთასი) ლარით;

დ) მონაწილის ბილეთის ფასი განისაზღვრება 50 (ორმოცდაათი) ლარით.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად განცხადებები მიიღება საინფორმაციო ცნობის პრესაში პირველივე გამოქვეყნებიდან 30 დღის განმავლობაში, 2009 წლის 2 ივლისის 10.00 სთ/დან 2009 წლის 31 ივლისის 11.00 სთ/მდე. Aაუქციონი გაიმართება 2009 წლის 31 ივლისს 12.00 სთ/ზე.

აუქციონში მონაწილეობისათვის ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუდმივმოქმედ სააუქციონო კომისიას განცხადებასთან ერთად უნდა წარუდგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

იურიდიული პირისათვის:

ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა (რწმუნება), თუ პირი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

სადამფუძნებლო დოკუმენტაციის (წესდების) დამოწმებული ასლი;

"ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი საბუთი (დედანი ასლთან ერთად);

ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (დედანი ასლთან ერთად);

პირადობის მოწმობის ასლი.

ფიზიკური პირისათვის:

"ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი საბუთი (დედანი ასლთან ერთად);

ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (დედანი ასლთან ერთად);

პირადობის მოწმობის ასლი.

"ბე"-ს გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე:

მიმღები: დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

საიდენტიფიკაციო კოდი: 229324451.

ანგარიში: 33030001.

მიმღების ბანკი: საქართველოს სახალხო ბანკის დუშეთის ფილიალი.

ბანკის კოდი: 220101403.

გადახდისას უნდა მიეთითოს დანიშნულება.

აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე:

მიმღები: დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

საიდენტიფიკაციო კოდი: 229324451.

ანგარიში: 33030001.

მიმღების ბანკი: საქართველოს სახალხო ბანკის დუშეთის ფილიალი.

ბანკის კოდი: 220101403.

გადახდისას უნდა მიეთითოს დანიშნულება.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას შემდეგ მისამართზე:

ქ. დუშეთი, სტალინის ქ. N27.

ტელ: 899 29 96 45; 8 (246) 2 19 74.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა

## განცხადება

შპს "ტრამვაი-ტროლეიბუსების საწარმო" (მისამართი: თბილისი, აბასთუმნის ქ. №8ა, მე-5 სართული) ქალაქ თბილისის საკრებულოს 2007 წლის 6 სექტემბრის №10-54 გადაწყვეტილების, ამ გადაწყვეტილებით დამტკიცებული "დედაქალაქის, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის დებულების დამტკიცების შესახებ" დებულების საფუძველზე

**ა ც ხ ა დ ე ბ ს   გ ა ნ მ ე ო რ ე ბ ი თ   ა უ ქ ც ი ო ნ ს**

შპს „ტრამვაი-ტროლეიბუსების საწარმო"-ს ბალანსზე რიცხული 11 (თერთმეტი) ერთეული გამოუყენებელი სატრანსპორტო საშუალების აუქციონის ფორმით რეალიზების თაობაზე (2009 წლის 5 მარტის №01.12.12. 12.01.2009წ. დადგენილების საფუძველზე და 2009 წლის 15 ივნისის №22.03.759 10.12.2008წ. დადგენილების საფუძველზე გამართული აუქციონების არშემდგარი ლოტების განმეორებითი აუქციონი).

**სარეალიზებო ქონების ოდენობა:** – 11 (თერთმეტი) ერთეული სატრანსპორტო საშუალება.

სარეალიზებო ქონება დაყოფილია 11 (თერთმეტი) ლოტად (თითოეული ლოტი ერთი სატრანსპორტო საშუალება) და აუქციონი ჩატარდება თითოეულ ლოტზე ცალ-ცალკე.

სარეალიზებო ქონების საწყისი ფასი, ბიჯისა და "ბე"-ს ოდენობა მოცემულია ცხრილში:

| რიგ. № | ლოტის.№ | ავტომანქანის მარკა | სახ. № | გამოშვ წელი | რაოდ. (ცალი) | საწყისი ფასი ლარებში | "ბე"-ს ოდენობა ლარებში | ბიჯი ლარებში | მონაწილის ბილეთის ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
| 1 | 1 | ბაზ 24-10 | ABJ-624 | 1988 | 1 | 1300 | 130 | 50 | 50 |
| 2 | 7 | მაზ-504 | ABM-192 | 1984 | 1 | 1800 | 180 | 50 | 50 |
| 3 | 8 | ბაზ-53 | ABM-551 | 1987 | 1 | 1000 | 100 | 50 | 50 |
| 4 | 9 | ბაზ-52 | ABV 112 | 1988 | 1 | 600 | 60 | 50 | 50 |
| 5 | 10 | ბაზ-52 | ABU-915 | 1987 | 1 | 600 | 60 | 50 | 50 |
| 6 | 11 | სპეც. ამწე ბაზ-53 | ABB-307 | 1995 | 1 | 5000 | 500 | 50 | 50 |
| 7 | 12 | სპეც. ამწე ბაზ-53 | ABB-308 | 1995 | 1 | 5000 | 500 | 50 | 50 |
| 8 | 13 | ზილ-431610 | ACC-038 | 1989 | 1 | 1300 | 130 | 50 | 50 |
| 9 | 14 | მისაბმელი ODAZ 9357 | AA-563 | 1983 | 1 | 500 | 50 | 50 | 50 |
| 10 | 16 | სპეც. ამწე მერსედესი | DIN-572 | 1969 | 1 | 4000 | 400 | 50 | 50 |
| 11 | | სპეც. ამწე ბაზ-3307 | DIN-781 | 2004 | 1 | 8000 | 800 | 50 | 50 |

გადახდილი "ბე"-ს თანხა ჩაითვლება საბოლოო ანგარიშსწორების ანგარიშში.

**აუქციონში მონაწილის ბილეთის** ღირებულებაა 50 ლარი (თითოეული ლოტისათვის). აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულებას აუქციონში მონაწილეობის მსურველი იხდის შპს "ტრამვაი-ტროლეიბუსების საწარმო"-ს საბანკო ანგარიშზე. აუქციონში მონაწილეობის მსურველი განაცხადთან და "ბე"-ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად საწარმოს (რეგისტრატორს) წარმოუდგენს აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულების გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, რის შემდეგაც ტარდება რეგისტრაციაში და იღებს აუქციონში მონაწილის ბილეთს. აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულება არ შედის სარეალიზებო ქონების ღირებულებაში და გამოქვითვას არ ექვემდებარება.

**თანხის ("ბე"-ს, აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის, ქონების საფასურის) გადახდის საბანკო რეკვიზიტები:**

სს "საქართველოს ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი

ბანკის კოდი: №220101502

ანგარიშსწორების ანგარიში: №200467165

საიდენტიფიკაციო კოდი: №202168359

შპს "ტრამვაი-ტროლეიბუსების საწარმო"

**აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა უნდაწარმოადგინონ:**

- დამტკიცებული ფორმის მიხედვითშევსებული განაცხადი;
- „ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ფიზიკური პირის შემთხვევაში: პირადობის მოწმობა(პრეტენდენტი სხვა დოკუმენტაციასთან ერთად წარმოადგენს პირადობის მოწმობის დედანს, რომლის ასლიც რჩება რეგისტრატორთან);
- იურიდიული პირისათვის: განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან და სადამფუძნებლო დოკუმენტაცია: პარტნიორთა (აქციონერთა ან სხვა) კრების ოქმი და წესდება (ან სადამფუძნებლო დოკუმენტაციის სანოტარო წესით დამოწმებული ასლები);
- სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა, თუ აუქციონში მონაწილეობს სხვა პირის სახელით.

**განაცხადები მიიღება:** 2009 წლის 31 ივლისის 12 საათამდე.
**აუქციონი გაიმართება:** 2009 წლის 31 ივლისს 14[30] საათზე.

**აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია**

აუქციონის ჩატარებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში დაფაროს შეძენილი ქონების საბოლოო ღირებულება, გააფორმოს შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულება და მიღება-ჩაბარების აქტი.

აუქციონში გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმების სანოტარო და საპატრულო პოლიციაში ავტომანქანის გადაფორმებისას საჭირო ხარჯებს უზრუნველყოფს აუქციონში გამარჯვებული.

აუქციონში დამარცხებულს გადახდილი „ბე" დაუბრუნდება აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, მოთხოვნის საფუძველზე.

განაცხადების წარმოდგენა და დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: თბილისი. აბასთუმნის ქ. №8ა მე-5 სართული. ტელ.: 20 43 00; 899 19 47 47

## პაციენტების საყურადღებოდ !

ცნობილი ექიმები, მედიცინის დოქტორი, ნევროლოგი **არჩილ საყვარელიძე** და თერაპევტი, გასტრო-ენტეროლოგი **დავით ნემსაძე** იღებენ პაციენტებს ყოველდღიურად დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრში.

პაციენტების მიღება წარმოებს წინასწარი ჩაწერით.

მიღების საათები: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 9 სთ-დან 18 სთ-მდე, შაბათს - 9 სთ-დან 15 სთ-მდე.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი თბილისი,
თენგიზ აბულაძის 20
(ვაკე, „სამების" ეკლესიის უკან)
**ტელ.: 91 31 19; 91 32 42;**

**მოწვევა საკონკურსო ვაჭრობაზე**
**საქართველო**
**რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების**
**პროექტი**
**კრედიტის ნომერი: N4516 GE**
**ქ. ნინოწმინდის (სამცხე-ჯავახეთის რეგიონი) კანალიზაციის შემკრები**
**კოლექტორის და გამწმენდი ნაგებობების ქვეპროექტი**
**ქუჩების რეაბილიტაცია**
**RMIDP/NINOTSMINDA/CW/NCB/25-2009/1**

წინამდებარე მოწვევა საკონკურსო ვაჭრობაზე მოჰყვება ზოგად სატენდერო განცხადებას მოცემული პროექტისათვის, რომელიც გამოქვეყნდა Development Business-ის N729 ნომერში 2008 წლის 30 ივნისს.

საქართველომ მიიღო კრედიტი საერთაშორისო განვითარების ასოციაციისაგან (IDA)რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის დასაფინანსებლად და განზრახული აქვს ამ კრედიტის სახსრების ნაწილი გამოიყენოს შემდეგი კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდებისთვის: ქ. ნინოწმინდის (სამცხე-ჯავახეთის რეგიონი) კანალიზაციის შემკრები კოლექტორის და გამწმენდი ნაგებობების რეაბილიტაციისათვის (კონტრაქტის # RMIDP/NINOTSMINDA/CW/NCB/25-2009/1).

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს უფლებამოსილ და კვალიფიცირებულ კონკურსის მონაწილეებს ქ. ნინოწმინდის კანალიზაციის შემკრები კოლექტორის და გამწმენდი ნაგებობების სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად. ობიექტი მდებარეობს საქართველოს სამხრეთით, ჯავახეთის ქედის დასავლეთით.

სამშენებლო სამუშაოების ძირითადი მოცულობები:
1. საკანალიზაციო კოლექტორის მოწყობა:
ა. გრუნტის სამუშაო- 7598 მ3
ბ. ქვიშა-2061 მ3
გ. D=1.5მ-1.0 მ რკ/ბეტონის ჭა -57 ცალი
დ. კანალიზაციის პლასტმასის მილი d=300, 400 მმ -2468 მ;
ე. წყალსადენის პლასტმასის მილი d=32 მმ-560 მ
2. გამწმენდი ნაგებობების სრულ ბიოლოგიურ გაწმენდაზე წარმადობით 900 მ3 (მიმღები კამერა-ჭა დიამეტრით d= 1000მმ, მოცულობითი ბლოკი - მონოლითური რკინაბეტონის, ზომებით 12X18მ, ტექნიკური რეზერვუარიმონოლითური რკინა-ბეტონის, ზომებით 3X15მ, საწარმოო-დამხმარე კორპუსი - შენობა ზომებით 12X18მ, ორსექციანი სალამო მოედანი- თითო სექცია ზომებით 12X30მ) -მოწყობა.

სამუშაოების ხანგრძლივობაა 4,5 თვე.

საკონკურსო ვაჭრობა ჩატარდება მსოფლიო ბანკის მიერ 2004 წლის მაისში გამოცემული და 2006 წლის ოქტომბერში კორექტირებული „რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის სესხებითა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტებით განხორციელებული შესყიდვების სახელმძღვანელო დებულებაში" აღწერილი საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობის პროცედურების შესაბამისად და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მონაწილეს, სახელმძღვანელო დებულებაში განსაზღვრული უფლებამოსილი ქვეყნებიდან.

დაინტერესებულ უფლებამოსილ კონკურსის მონაწილეებს დამატებითი ინფორმაციის მიღება და საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმება შეუძლიათ ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10:00-დან 18:00 საათამდე საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფისში ქვემოთ მოცემულ მისამართზე, ელ. მისამართი: procurement@mdf.org.ge; აღმასრულებელი დირექტორი - ბ-ნი ლაშა გოცირიძე.

დაინტერესებულ კონსკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ საკონკურსო დოკუმენტაციის სრული კომპლექტი ქართულ ენაზე ქვემოთ მითითებულ მისამართზე წერილობითი განაცხადის წარდგენისა და თითოეული კომპლექტისათვის არაანაზღაურებადი 200 ლარის (ან თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში მისი ექვივალენტის) გადახდის შემდეგ, რასაც დაემატება კურიერის მომსახურების ხარჯები (კურიერის საჭიროების შემთხვევაში). გადახდა ხორციელდება თანხის გადარიცხვით საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის შემდეგ საბანკო ანაგარიშზე:
მოსარგებლის სახელი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
მოსარგებლე ბანკი: რესპუბლიკა ბანკი, ცენტრალური ფილიალი, გრ. აბაშიძის
ქ. N2, თბილისი, საქართველო
უცხოური ვალუტის ანგარიშის ნომერი: 341 800 01 (აშშ დოლარი)
ადგილობრივი ვალუტის ანგარიშის ნომერი: 340 800 01 (ქართული ლარი)
**SWIFT Code: REPLGE22 C/A No.: 04-414-550 with Deutsche Bank**
**Trust Company Americas, NY**
**SWIFT Code: BKTRUS33, ABA#021001033, CHIPS UID: 379104**

საკვალიფიკაციო მოთხოვნები მოიცავს შემდეგს:

კონტრაქტის მისაღებად კონკურსის მონაწილემ უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი კრიტერიუმები და წარმოადგინოს ქვემოთ მოცემული მინიმალური მოთხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტები:

1. კონკურსანტის საშუალო წლიური ბრუნვა ბოლო სამი წლის განმავლობაში უნდა იყოს არანაკლებ 3,3 მილიონი ლარის ექვივალენტი;

2. კონტრაქტის განხორციელებისათვის საჭირო ლიკვიდური აქტივების ან საბრუნავი კაპიტალის მინიმალური ოდენობა, უნდა იყოს 0,7 მილიონი ლარი.

საკონკურსო წინადადები ქვემოთ მოცემულ მისამართზე წარმოდგენილი უნდა იყოს არაუგვიანეს 2009 წლის 3 აგვისტოს 15:00 საათისა. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება.

საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარის ოდენობის ან კონვერტირებად ვალუტაში მისი ექვივალენტის ოდენობის საკონკურსო წინადადების გარანტია.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმ კონკურსის მონაწილეთა წარმომადგენლებისა და ყველა იმ პირის თანდასწრებით, რომლებიც მოისურვებენ პირად დასწრებას ქვემოთ მოცემულ მისამართზე 2009 წლის 3 აგვისტოს 15:00 საათზე.
საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
ბ-ნი ლაშა გოცირიძე, აღმასრულებელი დირექტორი
მისამართი: ოთახი 405, მეოთხე სართული, დ. აღმაშენებლის გამზირი 150,
თბილისი 0112, საქართველო,
ტელ: +995-32-48-45-09/10/11/15
ელ. ფოსტა: procurement@mdf.org.ge

**შპს სამება-სერვისს**
**საიდენტიფიკაციო 245419382**

ბათუმის სასამართლოს 2007 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებით, რომელიც კანონიერ ძალაშია შესული (სააღსრულებო ფურცელი №2-421) შპს სამება-სერვისს შპს ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მიმართ დაეკისრა 1 057 307 (ერთი მილიონ ორმოცდაჩვიდმეტი ათას სამას შვიდი) ლარის გადახდა.
შპს ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მიერ მოპოვებული ინფორმაციით, შპს სამება-სერვისს ჰყავს ორი კრედიტორი - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური და შპს ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა . შემოსავლების სამსახურის ვალი 26.06.09 წ. შედარების აქტის მიხედვით შეადგენს 232455.19 ლარს. ამასთან, შპს ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მოთხოვნის ოდენობა აღემატება შპს სამება-სერვისის მთლიანი ვალდებულების 30%-ს და გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის დ პუნქტის თანახმად, უფლებამოსილნი ვართ მოვითხოვოთ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნა შპს სამება-სერვისის მიმართ.
გთხოვთ, აღნიშნული დავალიანება დაფაროთ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში ამ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, ჩვენს მიერ სასამართლოში შეტანილი იქნება განცხადება შპს სამება-სერვისის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების თაობაზე.
შპს ბათუმის ნავთობგადამამუშვებელი ქარხნის
დირექტორი
ნიკო თავდგირიძე

**საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს განცხადება**

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ 2009 წლის 1 ივლისის გაზეთ „24 საათში" გამოქვეყნებულ ინფორმაციაში გაიპარა ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, დანართი №17 უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

*დანართი №17*

| ობიექტის № | ქალაქი, რაიონი, სოფელი ან დასახლებული პუნქტი | საბადო ან გამოვლინება | კატეგორია | ლიცენზიის მოქმედების ვადა | მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა | აუქციონის საწყისი ფასი (ლარი) | „ბე" საწყისი ფასის 20% (ლარი) | სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო"-ს მიერ გაწეული მომსახურების საფასური (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | ტყიბული, სოფ. კურსები | „კურსების" ტეშენიტის (მოსაპირკეთებელი)საბადო | $C_1+C_2$ | 20 წელი | 106 800 $მ^3$ | 22 008 | 4 402 | 756,0 |
| 14 | ჩოხატაური, სოფ. სურების და ბუკისციხის მიმდებარე ტერიტორია | „დიდი ვანის" ტუფობრექჩიის (საღორღე) გამოვლინება | P | 20 წელი | 106 000 $მ^3$ | 10 000 | 2 000 | 1 259,40 |
| 17 | ყაზბეგი, სოფ. ფანშეთის მიმდებარე ტერიტორია | ფანშეთის მინერალური წყარო წყალი (ბალნეოლოგიური მიზნებისათვის) | P | 20 წელი | 80 $მ^3$/დღე | 10 000 | 2 000 | 968,40 |
| 19 | ოზურგეთი, სოფ. მერია | მდ. ნატანების ქვიშა, ხრეშის საბადო | $C_1$ | 5 წელი | 200 000 $მ^3$ | 26 817 | 21 454 „ბე" 80% | 1 837,4 |
| 21 | ჩოხატაური, სოფ. სურების და ბუკისციხის მიმდებარე ტერიტორია | „დიდი ვანის" გაბროს გამოვლინება | P | 20 წელი | 482 000 $მ^3$ | 10 000 | 2 000 | 1 601,40 |

# მოწვევა ეროვნულ საკონკურსო ვაჭრობაზე

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**
**სესხი: მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტი**
**კონტრაქტის ნომერი და სახელწოდება: P41198-NCB-1-67**
**გურჯაანის რაიონის სოფელ კაჭრეთში მისასვლელ გზების რეაბილიტაცია**
**(კაჭრეთი-ნანიანი-ჯიმითი და ნანიანი-არაშენდა)**

**საკონკურსო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადა: 2009 წლის 3 აგვისტო**

საქართველოს მთავრობამ მიიღო აზიის განვითარების ბანკის (აგბ) სესხი **მუნიციპალური სერვისების განვითარების პროექტის** დასაფინანსებლად. აღნიშნული სესხის ნაწილი გამოყენებული იქნება ზემოთ ხსენებული პროექტის დასაფინანსებლად. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მონაწილეს აგბ-ის უფლებამოსილი ქვეყნებიდან.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი ("დამკვეთი") იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე მონაწილეობის უფლების მქონე ორგანიზაციებს, რომელთაც უნდა წარმოადგინონ საკონკურსო წინადადებები დალუქულ კონვერტებში **გურჯაანის რაიონის სოფელ კაჭრეთში მისასვლელ გზების (კაჭრეთი-ნანიანი-ჯიმითი და ნანიანი-არაშენდა) სარეაბილიტაციო სამუშაოების** განსახორციელებლად ("სამუშაოები").

სამუშაოები მოიცავს:
- გრუნტის დამუშავება კიუვეტებში და გვერდულებზე, ნაყარში გატანით - 2975 მ3;
- არსებული დაზიანებული საფარის დაშლა გამაფხვიერებლით h-10 სმ სიღრმით, მოშანდაკება და დატკეპნა - 2105 მ3;
- საფუძვლის მოწყობა ფრაქციული ღორღით სისქით h-10 სმ - 12658 მ2;
- საფარის ქვედა ფენის მოწყობა მსხვილმარცვლოვანი ფოროვანი ასფალტობეტონისგან სისქით h-5,0 სმ - 12409 მ2;
- საფარის ზედა ფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი მკვრივი ა/ბ-ის ცხელი ნარევით, სისქით 3 სმ - 12409 მ2;
- ნამგლისებური პროფილის საფარის მოწყობა ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით 15 სმ - 2842 მ2;
- მისაყრელი გვერდულების მოწყობა ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით - 1006 მ3
- ა/ბეტონის ორმოული შეკეთება წვრილმარცვლოვანი მკვრივი ა/ბეტონით - 120 მ2
- ამონაჭრების შევსაბა წვრილმარცვლოვანი მკვრივი ა/ბეტონით - 975 მ2
- გრძივი და განივი ბზარების შევსება ბიტუმით - 1238 გრძ.მ
- განივი პროფილის შესწორება წვრილმარცვლოვანი მკვრივი ა/ბეტონით - 194 ტ
- ორმოების შევსება წვრილმარცვლოვანი ა/ბეტონით - 209 ტ;
- საცვეთი ფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი მკვრივი ა/ბ სისქით h-3 სმ - 6110 მ2;
- არსებული მილების გაწმენდა და შეკეთება - 3 ც
- შესასვლელებში ფოლადის მილების მოწყობა d=0.5მ - 134მ, d=1მ - 8მ;
- მონოლითური ბეტინის სამუშაოები შესასვლელების შესაკეთებლად - 214.1 მ3.

კონტრაქტის განხორციელების პერიოდი შეადგენს **4 თვეს**.

აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია შემდეგი კვალიფიკაციების მქონე უფლებამოსილ კონკურსის მონაწილეებს:
- კონკურსანტს, როგორც გენერალურ კონტრაქტორს, ბოლო 5 წლის განმავლობაში წარმატებით უნდა ჰქონდეს განხორციელებული მინიმუმ ორი მსგავსი ტიპის სამუშაო, თითოეული არანაკლებ **0,9** მილიონი ლარის ღირებულებით. სამუშაოთა სირთულე შედარებული იქნება საკონკურსო წინადადებით განსაზღვრულ სამუშაოებთან;
- საშუალო წლიური ბრუნვა ბოლო სამი წლის განმავლობაში უნდა იყოს მინიმუმ **4,8** მილიონი ლარი;
- ლიკვიდური აქტივების და/ან კრედიტის მოზიდვის საშუალებების მოცულობა, სხვა საკონტრაქტო ვალდებულებებით განსაზღვრული საკრედიტო საშუალებების გარდა, უნდა შეადგენდეს **1,0** მილიონი ლარის ექვივალენტს. კონკურსის მონაწილემ უნდა უზრუნველყოს დოკუმენტური მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ მისი ფინანსური მდგრადობა არ არის შემოთავაზებული საკონკურსო წინადადების ფასზე ნაკლები;
- კონკურსის მონაწილემ უნდა აჩვენოს, რომ მისი ძირითადი პერსონალი აკმაყოფილებს მოთხოვნილ კვალიფიკაციას: მსგავსი ტიპის პროექტებში მინიმუმ 10 წლიანი სამუშაო გამოცდილება;
- კონკურსის მონაწილე უნდა ფლობდეს საკონკურსო დოკუმენტაციაში მითითებულ სამუშაოების განხორციელებისთვის აუცილებელ მანქანა-დანადგარებს, ან ვალდებულია უზრუნველყოს მათი ხელმისაწვდომობა. აღნიშნული აღჭურვილობა უნდა იყოს მუშა მდგომარეობაში და უნდა შეძლონ აღნიშნულის დემონსტრირება.

ეროვნული საკონკურსო ვაჭრობა ჩატარდება აზიის განვითარების ბანკის ერთეტაპიანი პროცედურის შესაბამისად: შერჩევა ერთი კონვერტის სატენდერო პროცედურების მიხედვით.

დაინტერესებულ კონკურსის მონაწილეებს დამატებითი ინფორმაციის მიღება და საკონურსო დოკუმენტაციის ნახვა შეუძლიათ ქვემოთ მითითებულ მისამართზე 10:00-დან 17:00 საააათამდე (შაბათ-კვირის გარდა):

უფლებამოსილი პირი: ბ-ნი ლაშა გოცირიძე, მგფ-ს აღმასრულებელი დირექტორი, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

მისამართი: დ. აღმაშენებლის გამზ. N150, თბილისი 0112, საქართველო
IV სართული, ოთახი 405
ტელ: (+995-32) 48-45-09/10/11/15
ფაქსი: (+995-32) 48-45-55
ელ. ფოსტა: procurement@mdf.org.ge

დაინტერესებულ უფლებამოსილ კონკურსის მონაწილეებს საკონკურსო დოკუმენტაციის სრული პაკეტების შეძენა შეუძლიათ ზემოთ მოცემულ მისამართზე წერილობითი განაცხადის წარმოდგენისა და არანაზღაურებადი 200 ლარის გადახდის შემდეგ. გადახდის მეთოდს წარმოადგენს პირდაპირი დეპოზიტის ან ტრანსფერის განხორციელება შემდეგ ანგარიშზე:

**მოსარგებლის სახელი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**
**მოსარგებლე ბანკი: რესპუბლიკა ბანკი, ცენტრალური ფილიალი, გრ. აბაშიძის ქ. N2, თბილისი, საქართველო**
**უცხოური ვალუტის ანგარიშის ნომერი: 341 800 01 (აშშ დოლარი)**
**ადგილობრივი ვალუტის ანგარიშის ნომერი: 340 800 01 (ქართული ლარი)**
**SWIFT Code: REPLGE22 C/A No.: 04-414-550 with Deutsche Bank Trust Company Americas, NY**
**SWIFT Code: BKTRUS33, ABA#021001033, CHIPS UID: 379104**

ყველა საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს გარანტია **21,000** ლარის ან აღნიშნულის ექვივალენტის ოდენობით თავისუფლად კონვერტირებად ვალუტში და წარმოდგენილი უნდა იყოს ზემოთ მოცემულ მისამართზე არა უგვიანეს 2009 წლის **3 აგვისტოს 16:00** საათისა.

საკონკურსო წინადადებების გახსნა მოხდება 2009 წლის **3 აგვისტოს 16:00** საათზე იმ კონკურსის მონაწილეთა თანდასწრებით, რომელნიც მოისურვებენ აღნიშნულ პროცედურაზე დასწრებას.

# მოწვევა საკონკურსო ვაჭრობაზე
## საქართველო

**რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი**
კრედიტის ნომერი: N4516 GE
**ქ. მესტიის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია**

RMIDP/MESTIA/CW/NCB/33-2009

წინამდებარე მოწვევა საკონკურსო ვაჭრობაზე მოჰყვება ზოგად სატენდერო განცხადებას მოცემული პროექტისათვის, რომელიც გამოქვეყნდა Development Business-ის N729 ნომერში 2008 წლის 30 ივნისს.

საქართველომ მიიღო კრედიტი საერთაშორისო განვითარების ასოციაციისაგან (IDA) რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის დასაფინანსებლად და განზრახული აქვს ამ კრედიტის სახსრების ნაწილი გამოიყენოს შემდეგი კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდებისთვის: **ქ. მესტიის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციისათვის** (კონტრაქტის N RMIDP/MESTIA/CW/NCB/33-2009).

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს უფლებამოსილ და კვალიფიცირებულ კონკურსის მონაწილეებს **ქ. მესტიის წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო** სამუშაოების ჩასატარებლად. ობიექტის მდებარეობს **სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონში, ქ. თბილისიდან დაშორებულია 495კმ-ით, ხოლო მანძილი ზუგდიდიდან მესტიამდე შეადგენს 149კმ**-ს.

**სამშენებლო სამუშაოების ძირითადი მოცულობები:**
გრუნტის დამუშავება 15,900 მ3;
თხრილის შევსება ქვიშით 4,175 მ3;
თხრილის შევსება ბალასტით 11,300 მ3;
პოლიეთილენის მილსადენის მოწყობა დ= 32-200 13,100 გ.მ.
ანაკრები რკინა ბეტონის ჭები დ=1500 მმ 64 ცალი;
კაპტაჟების მოწყობა (რეაბილიტაცია) 3 ცალი;
სადარჯო ჯიხურის მოწყობა) 2 ცალი;
სამუშაოების ხანგრძლივობაა 8 თვე.

საკონკურსო ვაჭრობა ჩატარდება მსოფლიო ბანკის მიერ 2004 წლის მაისში გამოცემული და 2006 წლის ოქტომბერში კორექტირებული „რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის სესხებითა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტებით განხორციელებული შესყიდვების სახელმძღვანელო დებულებაში" აღწერილი საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობის პროცედურების შესაბამისად და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მონაწილეს, სახელმძღვანელო დებულებაში განსაზღვრული უფლებამოსილი ქვეყნებიდან.

დაინტერესებულ უფლებამოსილ კონკურსის მონაწილეებს დამატებითი ინფორმაციის მიღება და საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმება შეუძლიათ ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10:00-დან 18:00 საათამდე საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფისში ქვემოთ მოცემულ მისამართზე, ელ. მისამართი: procurement@mdf.org.ge; აღმასრულებელი დირექტორი - ბ-ნი ლაშა გოცირიძე.

დაინტერესებულ კონსკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ საკონკურსო დოკუმენტაციის სრული კომპლექტი ქართულ ენაზე ქვემოთ მითითებულ მისამართზე წერილობითი განაცხადის წარდგენისა და თითოეული კომპლექტისათვის არაანაზღაურებადი 200 ლარის (ან თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში მისი ექვივალენტის) გადახდის შემდეგ, რასაც დაემატება კურიერის მომსახურების ხარჯები (კურიერის საჭიროების შემთხვევაში). გადახდა ხორციელდება თანხის გადარიცხვით საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის შემდეგ საბანკო ანაგარიშზე:

**მოსარგებლის სახელი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**
**მოსარგებლე ბანკი: რესპუბლიკა ბანკი, ცენტრალური ფილიალი, გრ. აბაშიძის ქ. N2, თბილისი, საქართველო**
**უცხოური ვალუტის ანგარიშის ნომერი: 341 800 01 (აშშ დოლარი)**
**ადგილობრივი ვალუტის ანგარიშის ნომერი: 340 800 01 (ქართული ლარი)**
**SWIFT Code: REPLGE22 C/A No.: 04-414-550 with Deutsche Bank Trust Company Americas, NY**
**SWIFT Code: BKTRUS33, ABA#021001033, CHIPS UID: 379104**

საკვალიფიკაციო მოთხოვნები მოიცავს შემდეგს:

კონტრაქტის მისაღებად კონკურსის მონაწილემ უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი კრიტერიუმები და წარმოადგინოს ქვემოთ მოცემული მინიმალური მოთხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტები:

1. კონკურსანტის საშუალო წლიური ბრუნვა ბოლო სამი წლის განმავლობაში უნდა იყოს არანაკლებ 3,5 მილიონი ლარის ექვივალენტი;
2. კონტრაქტის განხორციელებისათვის საჭირო ლიკვიდური აქტივების ან საბრუნავი კაპიტალის მინიმალური ოდენობა, უნდა იყოს 0,8 მილიონი ლარი.

საკონკურსო წინადადები ქვემოთ მოცემულ მისამართზე წარმოდგენილი უნდა იყოს არაუგვიანეს 2009 წლის 3 აგვისტოს 14:00 საათისა. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება.

საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს 47 000 (ორმოცდაშვიდი ათასი) ლარის ოდენობის ან კონვერტირებად ვალუტაში მისი ექვივალენტის ოდენობის საკონკურსო წინადადების გარანტია.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმ კონკურსის მონაწილეთა წარმომადგენლებისა და ყველა იმ პირის თანდასწრებით, რომლებიც მოისურვებენ პირად დასწრებას ქვემოთ მოცემულ მისამართზე 2009 წლის 3 აგვისტოს 14:00 საათზე.

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**
**ბ-ნი ლაშა გოცირიძე, აღმასრულებელი დირექტორი**
მისამართი: ოთახი 405, მეოთხე სართული, დ. აღმაშენებლის გამზირი 150,
თბილისი 0112, საქართველო,
ტელ: +995-32-48-45-09/10/11/15
ელ. ფოსტა: procurement@mdf.org.ge

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

**შპს "ტრამვაი-ტროლეიბუსების საწარმო"** (მისამართი: თბილისი, აბასთუმნის ქ. №8ა, მე-5 სართული) ქალაქ თბილისის საკრებულოს 2007 წლის 6 სექტემბრის №10-54 გადაწყვეტილების "დედაქალაქის, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის დებულების დამტკიცების შესახებ" საფუძველზე

## ა ც ხ ა დ ე ბ ს  გ ა ნ მ ე ო რ ე ბ ი თ  ა უ ქ ც ი ო ნ ს

შპს „ტრამვაი-ტროლეიბუსების საწარმო"-ს ბალანსზე რიცხული გამოუყენებელი დაზგა-დანადგარების აუქციონის ფორმით რეალიზების თაობაზე (2009 წლის 29 იანვარს გამართული აუქციონის არშემდგარი ლოტების განმეორებითი აუქციონი).

**სარეალიზებო ქონების ოდენობა: –** სარეალიზებო ქონება დაყოფილია 33 (ოცდაცამეტი) ლოტად და აუქციონი ჩატარდება თითოეულ ლოტზე ცალ-ცალკე.

სარეალიზებო ქონების საწყისი ფასი, ბიჯისა და "ბე"-ს ოდენობა მოცემულია ცხრილში:

| რიგ. № | ლოტის № | ინვენტ. № | დაზგა-დანადგარის დასახელება | გამოშვ წელი | რაოდ. (ცალი) | საწყისი ფასი ლარებში | "ბე"-ს ოდენობა ლარებში | ბიჯი ლარებში | მონაწილის ბილეთის ღირებულება ლარებში |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 1 | 113 | ელ ტელფერი | 1981 | 1 | 120 | 12 | 6 | 30 |
| 2 | 2 | 38 | ელ ტელფერი 1ტ | 1986 | 1 | 120 | 12 | 6 | 30 |
| 3 | 3 | 152 | ელ ტელფერი 0,5ტ | 1960 | 1 | 90 | 9 | 4 | 30 |
| 4 | 4 | 153 | ელ ტელფერი | 1960 | 1 | 90 | 9 | 4 | 30 |
| 5 | 5 | 154 | ელ ტელფერი | 1960 | 1 | 90 | 9 | 4 | 30 |
| 6 | 6 | 54 | გამმართველი | 1986 | 1 | 70 | 7 | 3 | 30 |
| 7 | 7 | 56 | გამმართველი | 1986 | 1 | 70 | 7 | 3 | 30 |
| 8 | 8 | | კაბელის საქშენი | 1989 | 1 | 200 | 20 | 10 | 30 |
| 9 | 9 | 1 | ელ შედუღების აპარატი | 1962 | 1 | 220 | 22 | 11 | 30 |
| 10 | 10 | 5 | ელ შედუღების აპარატი | 1972 | 1 | 220 | 22 | 11 | 30 |
| 11 | 12 | 51 | ხიდური ამწე 3ტ | 1957 | 1 | 800 | 80 | 40 | 30 |
| 12 | 13 | 57 | ჰორიზონტ.სალარავი ჩარხი | 1958 | 1 | 800 | 80 | 40 | 30 |
| 13 | 14 | 15 | ღუზის გამლარავი ჩარხი | 1966 | 1 | 90 | 9 | 4 | 30 |
| 14 | 15 | 36 | გელიოტინა | 1957 | 1 | 500 | 50 | 25 | 30 |
| 15 | 16 | 17 | ელ ამწე | 1985 | 1 | 130 | 13 | 10 | 30 |
| 16 | 17 | 18 | ელ ამწე | 1961 | 1 | 100 | 10 | 5 | 30 |
| 17 | 18 | 25 | არტახის დაზგა | 1985 | 1 | 70 | 7 | 3 | 30 |
| 18 | 19 | | თერმოპლასტავტომატი 63 | 1984 | 1 | 2600 | 260 | 130 | 30 |
| 19 | 20 | 106 | შესადუღებელი აპარატი | 1986 | 1 | 220 | 22 | 11 | 30 |
| 20 | 21 | 107 | ელსაშემდუღებლო აპარატი. | 1986 | 1 | 220 | 22 | 11 | 30 |
| 21 | 22 | 124 | სამაგიდ.საბურღი დაზგა | 1986 | 1 | 100 | 10 | 5 | 30 |
| 22 | 23 | 168 | სამაგიდ.საბურღი დაზგა | 1986 | 1 | 100 | 10 | 5 | 30 |
| 23 | 24 | 8 | ელ.მაკრატელი(გელიოტინა) | 1959 | 1 | 400 | 40 | 20 | 30 |
| 24 | 25 | 1 | სახარატო ხრახნსაჭრ.დაზგა | 1958 | 1 | 2400 | 240 | 120 | 30 |
| 25 | 26 | 100 | სალესი დაზგა | 1986 | 1 | 40 | 4 | 2 | 30 |
| 26 | 27 | 101 | სალესი დაზგა | 1986 | 1 | 40 | 4 | 2 | 30 |
| 27 | 28 | 161 | სალესი დაზგა | 1930 | 1 | 40 | 4 | 2 | 30 |
| 28 | 29 | | ელ.მექანიკური კარადა | 1996 | 1 | 70 | 7 | 3 | 30 |
| 29 | 30 | 82 | თეოდოლიტი | 1997 | 1 | 70 | 7 | 3 | 30 |
| 30 | 31 | 91 | ხრახნმჭრელი დაზგა | 1982 | 1 | 1100 | 110 | 55 | 30 |
| 31 | 32 | 98 | ბრტ. სახარატო დაზგა | 1985 | 1 | 500 | 50 | 25 | 30 |
| 32 | 33 | 99 | სახარატო დაზგა | 1985 | 1 | 300 | 30 | 15 | 30 |
| 33 | 34 | 101 | თერმო ღუმელი | 1988 | 1 | 200 | 20 | 10 | 30 |

გადახდილი "ბე"-ს თანხა ჩაითვლება საბოლოო ანგარიშსწორების ანგარიშში.

**აუქციონში მონაწილის ბილეთის** ღირებულებაა 30 ლარი (თითოეული ლოტისათვის). აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულებას აუქციონში მონაწილეობის მსურველი იხდის შპს "ტრამვაი-ტროლეიბუსების საწარმო"-ს საბანკო ანგარიშზე. აუქციონში მონაწილეობის მსურველი განაცხადთან და "ბე"-ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად საწარმოს (რეგისტრატორს) წარმოუდგენს აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულების გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, რის შემდეგაც ტარდება რეგისტრაციაში და იღებს აუქციონში მონაწილის ბილეთს. აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულება არ შედის სარეალიზებო ქონების ღირებულებაში და გამოქვითვას არ ექვემდებარება.

**თანხის ("ბე"-ს, აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის, ქონების საფასურის) გადახდის საბანკო რეკვიზიტები:**

სს "საქართველოს ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი: №220101502
ანგარიშსწორების ანგარიში: №200467165
საიდენტიფიკაციო კოდი: №202168359
შპს "ტრამვაი-ტროლეიბუსების საწარმო"

**აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:**

- დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;
- „ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ფიზიკური პირის შემთხვევაში: პირადობის მოწმობა(პრეტენდენტი სხვა დოკუმენტაციასთან ერთად წარმოადგენს პირადობის მოწმობის დედანს, რომლის ასლიც რჩება რეგისტრატორთან);
- იურიდიული პირისათვის: განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან და სადამფუძნებლო დოკუმენტაცია: პარტნიორთა (აქციონერთა ან სხვა) კრების ოქმი და წესდება (ან სადამფუძნებლო დოკუმენტაციის სანოტარო წესით დამოწმებული ასლები);
- სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა, თუ აუქციონში მონაწილეობს სხვა პირის სახელით.

**განაცხადები მიიღება:** 2009 წლის 31 ივლისის 12 საათამდე.
**აუქციონი გაიმართება:** 2009 წლის 31 ივლისს $14^{00}$ საათზე.

**აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია:**
აუქციონის ჩატარებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში დაფაროს შეძენილი ქონების საბოლოო ღირებულება, გააფორმოს შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულება და მიღება-ჩაბარების აქტი.

აუქციონზე შეძენილი დაზგა-დანადგარების დემონტაჟის, დატვირთვისა და ტრანსპორტირების ხარჯებს გაიღებს აუქციონში გამარჯვებული. აუქციონში გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმების სანოტარო ხარჯებს უზრუნველყოფს აგრეთვე აუქციონში გამარჯვებული.

აუქციონში დამარცხებულს გადახდილი „ბე" დაუბრუნდება აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, მოთხოვნის საფუძველზე.

განაცხადების წარმოდგენა და დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: თბილისი. აბასთუმნის ქ. №8ა მე-5 სართული. ტელ.: 20 43 00; მობ.: 899 19 47 47

შპს "გეოამქარი" გთავაზობთ ბურღვით სამუშაოებს სასმელ და ტექნიკურ წყალზე.

ტელეფონი: 877 42 32 04

899 56 20 60

## ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2009 წლის 23 მაისის გაზეთ 24 საათში გამოქვეყნებულ ტენდერში, ახმეტის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების (ქ. ახმეტის №1, სოფლების: მატნის №2, ოჟიოსა და ქისტაურის) სარეაბილიტაციო სამუშაოებზე სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება გაფორმდა შპს ბერმუდი+ -სთან.

**ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის**
**სატენდერო კომისიის აპარატი**

# ც ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
## განმეორებით აუქციონის ჩატარების შესახებ

შპს „ენგურჰესი" (იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №50, ფაქტიური მდებარეობა აფხაზეთი, გალის რ-ონი დას. საბერიო) აცხადებს განმეორებით აუქციონს ავტოსატრანსპორტო საშუალებების რეალიზების მიზნით

| № | ავტომანქანის დასახელება, მოდელი | გამოშვების წელი | საწყისი ფასი ლარებში | „ბე"-ს ოდენობა ლარებში | საჯარო ბიჯი ლარებში | მონაწილის ბილეთის ფასი ლარებში | ადგილსამყოფელი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | გაზ 3110 | 1998 | 4800 | 600 | 250 | 20 | გალი. დას. საბერიო |
| 2 | ავტობუსი 3507 | 1990 | 2590 | 350 | 200 | 20 | გალი. დას. საბერიო |
| 3 | ვაზ 2131 ნივა | 1999 | 3500 | 400 | 200 | 20 | ქ. ჯვარი |
| 4 | გალოპერ | 2000 | 7700 | 900 | 400 | 20 | ქ. ჯვარი |
| 5 | ჰონდა | 1998 | 7800 | 900 | 400 | 20 | ქ. ჯვარი |
| 6 | მისაბმელი ცისტერნა | 1982 | 3100 | 500 | 300 | 20 | გალი. დას. საბერიო |
| 7 | მოტოროლერი სატვირთო | 1989 | 170 | 50 | 30 | 20 | ქ. ჯვარი |

გადახდილი „ბე"-ს თანხა ჩაითვლება საბოლოო ანგარიშსწორების ანგარიშში. აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულებას აუქციონში მონაწილეობის მსურველი იხდის შპს „ენგურჰესის" საბანკო ანგარიშზე. აუქციონში მონაწილეობის მსურველი განაცხადთან და „ბე"-ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად რეგისტრატორს წარუდგენს აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულების გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, რის შემდეგაც ტარდება რეგისტრაციაში და იღებს აუქციონში მონაწილის ბილეთს. აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულება არ შედის სარეალიზებო ღირებულებაში და გამოქვითვას არ ექვემდებარება.

თანხის („ბე"-ს, აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის) გადახდის საბანკო რეკვიზიტებია: მიმღები შპს „ენგურჰესი", სს „პროკრედიტ ბანკის" ქუთაისის ფილიალის ზუგდიდის განყოფილება, ბანკის კოდი 220101929, ანგარიშების ანგარიში 301467126, ს/კოდი 251716371.

განცხადების მიღების ადგილია ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მეორე სართული, შპს „ენგურჰესის" ოფისი. განცხადებების მიღების ვადაა: 2009 წლის 2 ივლისის 10 სთ-დან 2009 წლის 17 ივლისის 13 სთ-მდე ყოველ დღე სამუშაო საათებში 10-სთ-დან 18 სთ-მდე, შაბათ-კვირის გარდა. აუქციონი ჩატარდება 2009 წლის 17 ივლისს 14 სთ-ზე.

აუქციონში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

აუქციონში გამარჯვებული მყიდველი ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ვადაში გააფორმოს შპს „ენგურჰესთან" შესაბამისი ხელშეკრულება და აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული ქონების საბოლოო გამოსასყიდი თანხა. წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები გაუქმდება. მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე"-ს შენატანი არ დაუბრუნდება.

აუქციონში მისაღებად **რეგისტრატორს უნდა წარედგინოს** შემდეგი დოკუმენტები:

- დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, (შეგიძლიათ მიიღოთ ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მეორე სართული შპს „ენგურჰესის" ოფისი);
- „ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- აუქციონში მონაწილეობის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ფიზიკური პირის შემთხვევაში პირადობის მოწმობის ან პასპორტის (დედანი და ასლი);
- იურიდიული პირისათვის- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა, თუ აუქციონში მონაწილეობს სხვა პირის სახელით.

სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. აუქციონში გამარჯვების გამოვლენის კრიტერიუმია საწყისს გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

სარეალიზაციო ობიექტის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მეორე სართული შპს „ენგურჰესის" ოფისი, ტელ. 895 22 70 50; 8 215 2 88 16.

რუსთაველის ფონდი

# პრეზიდენტის გრანტები ახალგაზრდა მეცნიერთათვის

**სსიპ - ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდი (რუსთაველის ფონდი) აცხადებს კონკურსს ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების მოსაპოვებლად 2010 წლისათვის.**

კონკურსი მიზნად ისახავს მეცნიერებაში ახალგაზრდა კადრების მოზიდვას და მათი სამეცნიერო პროექტების განხორციელების ხელშეწყობას საგრანტო დაფინანსების გზით.

საკონკურსოდ შემოთავაზებულია შემდეგი სამეცნიერო მიმართულებები:

1. ქართველოლოგიის მეცნიერებები,
2. ჰუმანიტარული, სოციალური და ეკონომიკური მეცნიერებები.

დაფინანსება განხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებებით.

კონკურსის პირობები:

1. ახალგაზრდა მეცნიერთათვის საქართველოს პრეზიდენტის სამეცნიერო საგრანტო კონკურსები ცხადდება მხოლოდ ფიზიკური პირებისათვის.
2. საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ 35 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქე ახალგაზრდა მეცნიერებს (მაგისტრს, დოქტორანტს, დოქტორს და მათთან გათანაბრებულ პირებს).
3. კონკურსში მონაწილეობის მიღება არ შეუძლიათ ბაკალავრს, ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტებს.
4. საპროექტო განაცხადის წლიური ბიუჯეტი არ უნდა აღემატებოდეს 15.000 (თხუთმეტი ათასი) ლარს.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელია ელექტრონული რეგისტრაცია რუსთაველის ფონდის ვებგვერდზე, მისამართზე:

www.rustaveli.org.ge

აქვე იხილავთ ელექტრონული რეგისტრაციის ინსტრუქციას და დეტალურ ინფორმაციას კონკურსის პრობებისა და საჭირო დოკუმენტების შესახებ.

საკონკურსო დოკუმენტაციის რუსთაველის ფონდში წარდგენის ბოლო ვადაა 2009 წლის 7 სექტემბრის 18:00 სთ. მიღება წარმოებს სამუშაო დღეებში მისამართზე: თბილისი, 0102, დიმიტრი უზნაძის ქუჩა „ 68, II სართული.

რუსთაველის ფონდში კონსულტაციები ჩატარდება 2009 წლის 16 და 30 ივლისს კონსულტაციების დრო: 15.00-დან 17:00 სთ.-მდე.

**კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2009 წლის დეკემბერში.**
**გამარჯვებული პროექტების დაფინანსება დაიწყება 2010 წლის იანვრიდან.**

# ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა
## ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის შესახებ

"სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების წესის შესახებ" დებულების მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2009 წლის 4 ივნისს გამოცხადებულ ტენდერში (გაზეთი "24 საათი" N123) "*ქალაქ ხაშურის N2, N5, N6, N7, N8 საჯარო სკოლების რეაბილიტაციის სამუშაოების*" შესყიდვაზე, გამარჯვებულად გამოვლინდა შპს "ემ. ჯი. თბილისი" და "სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" ხელშეკრულება დაიდო 2009 წლის 1 ივლისს.

# დ ა ზ უ ს ტ ე ბ ა

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ 2009 წლის 23 ივნისს, გაზეთ "24 საათში" (N139) გამოქვეყნებული ინფორმაცია ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ვაზიანი-გომბორი-თელავის საავტომობილო გზის ......კმ1-კმ27 მონაკვეთზე მიმდინარეობს სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოები. აღნიშნული მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტაცია განთავსებულია საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში. მოსახლეობას 6 აგვისტომდე შეუძლია გაეცნოს აღნიშნულ დოკუმენტაციას და წარმოგვიდგინონ თავიანთი მოსაზრებები. ხოლო 11 აგვისტოს 14:00 საგარეჯოს რაიონის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში მოეწყობა GFგზშ-ს საჯარო განხილვა. (დამატებითი ინფორმაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საავტომობილო გზების ტექნიკური პოლიტიკის სამმართველოს ტელ: 370508-256)

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

1 ივლისი, 2009წ.

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი "დავების განმხილველი ცენტრი"

DRC-ს სასამართლო

## მხარისათვის შეტყობინების მიზნით სხდომის დღის პუბლიკაციის შესახებ

DRC-ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმოებაშია ს/ს ბანკი "რესპუბლიკა"-ს საარბიტრაჟოO პრეტენზია ირაკლი მჟავანაძეს მიმართ, საკრედიტო დავალიანების - **5 946.46** ლარის ანაზღაურების შესახებ.

ხსენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2009 წლის 9 ივლისი 13:00 საათზე, მუდმივმოქმედ არბიტრაჟ "დავების განმხილველი ცენტრში" შემდეგ მისამართზე - ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას N71, I სართული

ხსენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხე ირაკლი მჟავანაძე, მცხ: მუხიანის მე-3 მ/რ, კორპ. N18, ბინა N54, ალტ.მის: ჩოხატაური, სოფელი ბასილეთი;

**ქალაქ თბილისის მერი**
**06.05..2009წ.**
**010.260.030.38.101.013..238 ბრძანება N35**

29 ივნისი 2009წ.

ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის
საქალაქო სამსახურის დებულების
დამტკიცების შესახებ

"საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის "ნ" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 61-ე მუხლის, "ქ. თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 12 ოქტომბრის N1-1 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მერიის დებულების მე-3 მუხლის ო" ქვეპუნქტისა და მე-9 პუნქტის ნ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ქალაქ თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის თანდართული დებულება.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქ. თბილისის მერის 2006 წლის 26 დეკემბრის N19 ბრძანება ქალაქ თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ."
3. ბრძანება ძალაში შევიდეს ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, 2009 წლის 1 ივლისიდან.

ქ. თბილისის მერი გიორგი უგულავა

დანართი: ქ.თბილისის მერის2009წ.
29 ივნისის N 35 ბრძანების

ქალაქ თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის
დ ე ბ უ ლ ე ბ ა

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1

1. ქალაქ თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური (შემდგომში სამსახური) შექმნილია "ქ. თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 12 ოქტომბრის N1-1 გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც უზრუნველყოფს ქ. თბილისის საქალაქო მეურნეობის რეაბილიტაციისა და განვითარების პროგრამათა შემუშავებას და მათი განხორციელების უზრუნველყოფას, აგრეთვე ადგილობრივ საზოგადოებრივ მომსახურებათა ორგანიზებას;
2. სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით, "საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონით, "ქ. თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 12 ოქტომბრის N1-1 გადაწყვეტილებით, საქართველოში მოქმედი სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, ქ. თბილისის მერის, საკრებულოს, მთავრობის სამართლებრივი აქტებითა და ამ დებულებით.
3. სამსახურის კომპეტენცია, სტრუქტურა და საქმიანობის წესი განისაზღვრება სამსახურის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს ქ. თბილისის მერი.
4. სამსახურს აქვს დებულება, ბლანკი, ბეჭედი სახელწოდების აღნიშვნით, აგრეთვე ამ სტატუსის მქონე სამსახურისათვის ნებადართული სხვა ოფიციალური რეკვიზიტები.

თავი II. სამსახურის ძირითადი მიზნები, ფუნქციები
და უფლება-მოვალეობანი

მუხლი 2

1. სამსახურის საქმიანობის ძირითად მიზნებს წარმოადგენს:
ა) ქ. თბილისის საქალაქო მეურნეობის რეაბილიტაცია და განვითარება;
ბ) ადგილობრივ საზოგადოებრივ მომსახურებათა ორგანიზება.
2. საქმიანობის ძირითადი მიზნებიდან გამომდინარე სამსახურის ფუნქციებს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განეკუთვნება:
ა) ქ. თბილისის ავარიული შენობა-ნაგებობების მონიტორინგი, აღდგენა-რეკონსტრუქცია და გამაგრებითი სამუშაოების განხორციელების უზრუნველყოფა;
ბ) ქ. თბილისის ქალაქგანათების და სანიაღვრე ქსელების სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
გ) საგზაო ინფრასტრუქტურის, ხიდების, გვირაბების, მიწისქვეშა გადასასვლელების, მდინარეთა ჯებირების და სხვა ნაგებობების რეაბილიტაციის, მშენებლობის და ექსპლუატაციის უზრუნველყოფა;
დ) ქალაქგამწვანების და ქალაქგაფორმების ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა, ქ. თბილისის შადრევან-აუზების მშენებლობა და მოვლა-პატრონობა;
ე) ქ. თბილისის საქალაქო მეურნეობის პრობლემატიკისა და პროცესების კვლევა, მისი განვითარებისათვის სამომავლო პერსპექტივების განსაზღვრა;
ვ) ქ. თბილისის საქალაქო მეურნეობის პოლიტიკის, სტრატეგიისა და ტაქტიკის ფორმირებისათვის საჭირო დოკუმენტაციის პროექტთა მომზადება, ან მათი მომზადების პროცესში მონაწილეობის მიღება;
ზ) საქალაქო მეურნეობისა და ადგილობრივ საზოგადოებრივ მომსახურებათა ეფექტური რეგულირებისათვის საჭირო სამართლებრივი და მეთოდოლოგიური ბაზის პროექტთა მომზადების პროცესში მონაწილეობის მიღება, მათი განხორციელების ხელშეწყობა;
თ) სამსახურში მომუშავე კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ზრუნვა;
ი) სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე თანამედროვე სისტემების დანერგვისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება;
კ) ქალაქის ცალკეულ ტერიტორიათა განაშენიანებისა და კეთილმოწყობისთვის წინადადებების შემუშავება, ან მათი მომზადების პროცესში მონაწილეობის მიღება, მათი განხორციელების ხელშეწყობა და მონიტორინგი;
ლ) მონაწილეობის მიღება უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებულ (გამოცემულ) იმ სამართლებრივი აქტების პროექტთა მომზადებაში, ან წარმოებულ სამუშაოებში, რომელიც შეეხება სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს;
მ) ურთიერთთანამშრომლობა, როგორც საქართველოს, ისე საზღვარგარეთის შესაბამის ფიზიკურ და იურიდიული პირებთან, სამსახურებთან, ორგანიზაციებთან.
ნ) საზოგადოების ინფორმირება დარგში არსებული მდგომარეობის, სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებისა და სამომავლო გეგმების შესახებ;
ო) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებების შესრულებაზე კონტროლის განხორციელება, რისთვისაც გამოყოფს კოორდინატორს ან თანამშრომელთა შემადგენლობით ქმნის სპეციალურ ინსპექტირების ჯგუფს.
პ) მისაწოდებელი ან/და მიწოდებული საქონლის, სამუშაოების, მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ და შესაბამისი ინსპექტირების ჯგუფის დასკვნის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმება.
ჟ) მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების განხორციელება.
3. სამსახურს თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილია:
ა) საერთაშორისო პრაქტიკაში აპრობირებული, ეფექტური სამართლებრივი, ეკონომიკური და ორგანიზაციული მექანიზმების შესახებ შეიმუშაოს წინადადებები მისი კომპეტენციის სფეროში შემავალი საკითხების განვითარებისა და სრულყოფისათვის;
ბ) თავის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით დადგენილი წესით, მიიღოს საჭირო ინფორმაცია სხვადასხვა დაწესებულებებიდან, აგრეთვე ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან;
გ) დაქვემდებარებულ სფეროებში გამოვლენილი ან შესაძლო დარღვევების თაობაზე დაუყონებლივ მოამზადოს სათანადო წინადადებები და დასკვნები, წარადგინოს ისინი შესაბამისი კომპეტენციის მქონე ორგანოებში;
დ) თავის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე დადგენილი წესით განსაზღვროს შესასრულებელი ანაზღაურებადი სამუშაოების ნუსხა;
ე) გამართოს თათბირები, სემინარები, კონფერენციები, სიმპოზიუმები მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე;
ვ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოითხოვოს მონაცემები დედაქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული შესაბამისი სტატისტიკური ორგანიზაციებისაგან და დაწესებულებებისაგან;
ზ) თავისი მიზნებიდან და ფუნქციებიდან გამომდინარე განახორციელოს სხვა ქმედებები, რაც პირდაპირ, ან არაპირდაპირ ემსახურება მის მიზნებსა და ინტერესებს, მიიღოს გადაწყვეტილებები, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზოგად მოთხოვნებს.
4. სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს მასზე გადაცემული სახელმწიფო ქონების შენახვასა და დაცვას;
ბ) მიიღოს ფიზიკური და იურიდიულ პირთა განცხადებები და შუამდგომლობები, განიხილოს ისინი დადგენილ ვადებში;
გ) თავისი ფუნქციების განხორციელებისას შეასრულოს მოქმედი კანონმდებლობითა და ამ დებულებით განსაზღვრული მოთხოვნები.

თავი III. სამსახურის მართვა

მუხლი 3

1. სამსახურს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ქ. თბილისის მერი.
2. სამსახურის სტრუქტურული ერთეულებია:
ა) ქონების აღრიცხვისა და რეგულირების განყოფილება;
ბ) საგზაო ინფრსატრუქტურის რეაბილიტაციისა და მშენებლობის განყოფილება;
გ) სოციალურ-ეკონომიკური პროგრამებისა და ხელშეკრულებების აღრიცხვის განყოფილება;
დ) ექსპლუატაციის განყოფილება;
ე) ქალაქგაფორმებისა და ღონისძიებათა ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება;
ვ) გამწვანებისა და ლანდშაფტის რეაბილიტაციის განყოფილება;
ზ) შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციისა და მშენებლობის განყოფილება.
თ) შიდა მონიტორინგის განყოფილება.
3. ქონების აღრიცხვისა და რეგულირების განყოფილების ფუნქციებია:
ა) კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის ზედამხედველობის ქვეშ არსებული სასაწყობო ბაზების და იქ განთავსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა და დაცვის უზრუნველყოფა;
ბ) ქ. თბილისის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით განხორციელებული მატერიალური ფასეულობების შესყიდვის დროს, ასევე კეთილმოწყობის სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებისას გამოყენებული და შემდგომ დემონტირებული ქონების ბრუნვის აღრიცხვა-კონტროლი, მათი რაოდენობის დოკუმენტაციასთან შესაბამისობაში მოყვანა, დასაწყობება და შემდგომი განკარგვა;
გ) სასაწყობო ბაზებში განთავსებული მატერიალურ ფასეულობების საბუღალტრო საქმის წარმოება.
4. საგზაო ინფრსატრუქტურის რეაბილიტაციისა და მშენებლობის განყოფილების ფუნქციებია:
ა) გზებისა და მისი ელემენტების პროექტირება, კაპიტალური მშენებლობა და ექსპლუატაცია;
ბ) გარე განათებისა და სანიაღვრე ქსელების პროექტირება, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია, შენობა-ნაგებობების მხატვრული მინათების მოწყობა;
გ) შესრულებული სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და მიღება;
დ) ქ. თბილისის მერიის ტრანსპორტისა და ზედამხედველობის საქალაქო სამსახურებთან კოორდინირებულად მიწისქვეშა კომუნიკაციების სარეკონსტრუქციო სამუშაოებზე ნებართვების გაცემა და მისი მონიტორინგი.
5. სოციალურ-ეკონომიკური პროგრამებისა და ხელშეკრულებების აღრიცხვის განყოფილების ფუნქციებია:
ა) სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამებისა (მიზნობრივი პროგრამები) და შესყიდვების საინფორმაციო ბანკის შექმნა;
ბ) მუნიციპალური შესყიდვების, ეკონომიკური პოლიტიკისა და საფინანსო საქალაქო სამსახურებთან ურთიერთობა;
გ) ტექნიკური დავალებების აღრიცხვა;
დ) შემსრულებლების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მიწოდების ვადების კონტროლი.
6. ექსპლუატაციის განყოფილების ფუნქციებია:
ა) დედაქალაქის შადრევან-აუზებისა და მიწისქვეშა გადასასვლელების მოვლა-პატრონობა, გვირაბების, ხიდებისა და გზაგამტარების მოაჯირებისა და პარაპეტების მოვლა-პატრონობა;
ბ) ქ. თბილისში მაწანწალა, უზედამხედველო ცხოველების დაჭერა-იზოლაციისა და ვეტერინალური ზედამხედველობის განხორციელება, ბეიკერის ორმოს ექსპლუატაცია;
გ) სხვადასხვა ერთჯერადი გადაუდებელი სამუშაოები.
7. ქალაქგაფორმებისა და და ღონისძიებათა ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების ფუნქციებია:
ა) დედაქალაქის მაღალმხატვრულ დონეზე გაფორმების ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;
ბ) მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ქ. თბილისის პანთეონების, ძეგლებისა და მემორიალების მოვლა-პატრონობა, პიროვნებებისა და ხელოვნების უკვდავმყოფი მემორიალების დამზადება-მონტაჟი;
გ) საბავშვო მოედნებისა და სკვერების სათამაშო ატრაქციონებითა და ურბანული ფურნიტურით უზრუნველყოფა;
დ) ქუჩების სახელწოდებისა და ნუმერაციის აღმნიშვნელი აბრების დამზადება-მონტაჟი;
ე) სადღესასწაულო და სხვა ღონისძიებების ტექნიკური უზრუნველყოფა პროგრამით

გათვალისწინებულ დავალებათა შესაბამისად (სცენები, პოდიუმები, კულისები, საკონცერტო გახმოვანება-განათება, ფოიერვერკი, დროშები, შემზღუდავი ჯებირები, ბიოტუალეტები, საახალწლო ილუმინაციები, დეკორაციები, კონსტრუქციები, ბანერები და სხვა).

8. გამწვანებისა და ლანდშაფტის რეაბილიტაციის განყოფილების ფუნქციებია:

ა) ქ. თბილისის მწვანე საფარის, ბაღების, პარკების, სკვერების და ტყე-პარკების მოვლა-პატრონობა;

ბ) დედაქალაქში არსებული ხე-მცენარეთა მდგომარეობის შესწავლა, მწვანე საფარის აღდგენითი სამუშაოები, სარწყავი ქსელების შესწავლა, მოწესრიგება, რეაბილიტაცია, ახალი ქსელების დაგეგმარება;

გ) დეკორატიული კუთხეების პროექტირება და დიზაინი, მისი შემდგომი განხორციელება, ახალი სკვერების პროექტირება და მოწყობა.

9. შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციისა და მშენებლობის განყოფილების ფუნქციებია:

ა) ქ. თბილისის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული სამუშაოებისა და მათზე ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელება, კერძოდ, ავარიული შენობა-ნაგებობის მონიტორინგი და გამაგრება;

ბ) ხიდების, გვირაბების, გზაგამტარების, სანიაღვრე კოლექტორების აღდგენა და ახლის მოწყობა;

გ) მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება და საყრდენი კედლების მოწყობა;

დ) შენობათა ფასადების იერსახის აღდგენა;

10. შიდა მონიტორინგის განყოფილების ფუნქციებია:

ა) კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის მიერ ან/და მისი დაკვეთით ჩატარებული სამუშაოების, ღონისძიებების შესრულების გადამოწმება;

ბ) სამსახურის უფროსისადმი შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება;

გ) სამსახურის უფროსის ცალკეული დავალებების შესრულება.

მუხლი 4

1. სამსახურის უფროსი:

ა) მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში ხელმძღვანელობს და წარმართავს სამსახურის საქმიანობას;

გ) დადგენილი წესით დამოუკიდებლად ღებულობს გადაწყვეტილებებს სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე;

დ) უშუალოდ, მოადგილეებისა და სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა მეშვეობით წყვეტს სამსახურის მმართველობის სფეროს მიკუთვნებულ საკითხებს;

ე) მოქმედებს სამსახურის სახელით;

ვ) დადგენილი წესით განსაზღვრავს თავისი მოადგილეებისა და სტრუქტურული ერთეულების (ქვედანაყოფების) ხელმძღვანელთა ფუნქციებს, კომპეტენციებს და პასუხისმგებლობებს; ამ დებულების შესაბამისად, აძლევს მათ სათანადო მითითებებს და დავალებებს;

ზ) კონტროლს უწევს სამსახურის მოსამსახურეთა და სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ თავიანთი მოვალეობების შესრულებას, უზრუნველყოფს მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებათა განხორციელებას;

თ) დადგენილი წესით შეაქვს წინადადებები ქ. თბილისის მერთან, ქ. თბილისის მთავრობაში და საკრებულოში დაქვემდებარებულ საკითხებზე მათ მიერ საჭირო გადაწყვეტილებებისა და სამართლებრივი აქტების მიღების მიზნით;

ი) ხელს აწერს სამსახურის ოფიციალურ დოკუმენტებს;

კ) ქ. თბილისის მერს წარუდგენს სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშს;

ლ) შეაქვს დასაბუთებული წინადადებები ქ. თბილისის მთავრობაში სამსახურის წლიური ხარჯების საკითხებზე და აუცილებლობის შემთხვევაში, წარადგენს დამატებითი ხარჯების პროექტს;

მ) წვეტს სამსახურისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი გამოყენების საკითხებს, პასუხს აგებს ამ სახსრების მიზნობრივად გამოყენებაზე;

ნ) თავის კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს - ბრძანებას;

ო) პასუხისმგებელია სამსახურის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე, ნორმატიული აქტების, ქ. თბილისის თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა დაცვაზე, მის მიერ გამოცემული ბრძანების კანონიერებასა და მიზანშეწონილობაზე;

პ) უზრუნველყოფს სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა- განვითარებას, სამსახურის თანამშრომლებს უქმნის მათი ფუნქციური მოვალეობების შესრულებისათვის აუცილებელ პირობებს, მათ მატერიალური წახალისებასა და სოციალურ დაცვას კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ჟ) სამსახურის საქმიანობიდან გამომდინარე, ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობითა და შესაბამისი სამართლებრივი აქტებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. სამსახურის უფროსს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ქ. თბილისის მერი.

3. სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში სამსახურის უფროსის მოვალეობას ასრულებს მისი ერთ-ერთი მოადგილე;

4. სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსს და სამსახურის სხვა მოსამსახურეებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ქ. თბილისის მერი.

5. სამსახურის უფროსის მოადგილე:

ა) ანაწილებს ფუნქციებს მისდამი დაქვემდებარებული სტრუქტურული ქვედანაყოფის მოსამსახურეებს შორის და აძლევს მათ სათანადო მითითებებსა და დავალებებს;

ბ) ზედამხედველობს და კონტროლს უწევს სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსთან ერთად მოსამსახურეების მიერ მათზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას;

გ) ამოწმებს და ხელს აწერს სტრუქტურულ ქვედანაყოფში მომზადებულ დოკუმენტაციას;

დ) სამსახურის უფროსს წარუდგენს ფუნქციურად მის დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურული ქვედანაყოფის მუშაობის ანგარიშს;

ე) საკუთარი მოვალეობების შესრულებისას წარმოადგენს ფუნქციურად მის დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურულ ქვედანაყოფს და იძლევა სათანადო დასკვნებს;

ვ) სამსახურის უფროსს წარუდგენს წინადადებებს სტრუქტურული ქვედანაყოფის სტრუქტურის, შტატების, მუშაობის ორგანიზების, სტრუქტურული ქვედანაყოფის მოსამსახურეების პრემირების, მატერიალური სტიმულირების, ან მათზე დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

ზ) სამსახურის უფროსს მიმართავს შესაბამისი შუამდგომლობით იმ სახსრების გამოყოფის თაობაზე, რომლებიც საჭიროა ფუნქციურად მასზე დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად;

თ) შუამდგომლობს სამსახურის უფროსთან სტრუქტურული ქვედანაყოფის მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებზე;

ი) ასრულებს ამ დებულებით და სამსახურის უფროსის მიერ მასზე დაკისრებულ სხვა ფუნქციებს.

თავი IV. სამსახურის ქონება და დაფინანსების წყაროები

მუხლი 5.

1. სამსახურის მთელი ქონება შეადგენს ქალაქ თბილისის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებას, მის მფლობელობაში და სარგებლობაში არსებული ძირითადი და საბრუნავი საშუალებები, აგრეთვე, საფინანსო რესურსები, აისახება ქ. თბილისის მერიის ბალანსზე.

2. სამსახური საბიუჯეტო დაწესებულებაა, რომლის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ქალაქ თბილისის ბიუჯეტი.

თავი V. დასკვნითი დებულებანი

მუხლი 6.

1. ამ დებულების გაუქმება მასში ცვლილებების შეტანა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. სამსახურის რეორგანიზაცია, მისი საქმიანობის შეწყვეტა (ლიკვიდაცია) ხდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი მოწვევა ფასთა კოტირების წარდგენაზე

**საიდენტიფიკაცო ნომერი: NADB/NS/011-2009**

დაფინანსების წყარო: აზიის განვითარების ბანკის (აგბ) სესხი N2441-GEO(SF)
პროექტის სახელი: მუნიციპალური სერვისების განვითარების პროექტი.

**1.** საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (მგფ) იწვევს ფასთა კოტირების წარდგენაზე დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ კოტირებები მგფ-ს კუთვნილი ავტომობილებისათვის საწვავის მიწოდებაზე.

**2.** ფასთა კოტირებაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მონაწილეს აგბ-ს უფლებამოსილი ქვეყნებიდან.

**3.** ფასთა კოტირების შეფასება განხორციელდება აზიის განვითარების ბანკის შესყიდვების პროცედურების შესაბამისად, ფასების შედარების საფუძველზე და კონტრაქტი მიენიჭება ფირმას, რომელიც წარმოადგენს (I) ტექნიკურად შესაბამის და (II) ყველაზე დაბალი ფასის მქონე წინადადებას.

**4.** საკონკურსო დოკუმენტაცია დაინტერესებულ კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ უფასოდ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში შემდეგ მისამართზე:

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**
**ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. N150, IV სართ., ოთახი N405;**
**ტელ: +99532 484510, 484511, 484515 (შიდა ნომერი - 405) ფაქსი: 484555**
**ელ-ფოსტა: procurement@mdf.org.ge**
**ვებ-გვერდი: www.mdf.org.ge**

5. კოტირების მიღების ბოლო ვადა (ზემოთ მითითებულ მისამართზე) არის: **2009 წლის 15 ივლისის, 17:00 საათი.**

## საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი მოწვევა ფასთა კოტირების წარდგენაზე

**საიდენტიფიკაცო ნომერი: NADB/NS/010-2009**

დაფინანსების წყარო: აზიის განვითარების ბანკის (აგბ) სესხი N2441-GEO(SF)
პროექტის სახელი: მუნიციპალური სერვისების განვითარების პროექტი.

**1.** საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს ფასთა კოტირების წარდგენაზე დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ კოტირებები საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის სხვადასხვა დონორების მიერ დაფინანსებული პროექტებისათვის, სხვადასხვა ობიექტებიდან არებული ასფალტბეტონის ნიმუშების ლაბორატორიული გამოცდების ჩასატარებლად მომსახურების შესყიდვა.

**2.** ფასთა კოტირებაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მონაწლეს აგბ-ს უფლებამოსილი ქვეყნებიდან

**3.** ფასთა კოტირების შეფასება განხორციელდება აზიის განვითარების ბანკის შესყიდვების პროცედურების შესაბამისად, ფასების შედარების საფუძველზე და კონტრაქტი მიენიჭება ფირმას, რომელიც წარმოადგენს (I) ტექნიკურად შესაბამის და (II) ყველაზე დაბალი ფასის მქონე წინადადებას.

**4.** საკონკურსო დოკუმენტაცია დაინტერესებულ კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ უფასოდ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში შემდეგ მისამართზე:

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**
**ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. N150, IV სართ., ოთახი N405;**
**ტელ: +99532 484510, 484511, 484515 (შიდა ნომერი - 405) ფაქსი: 484555**
**ელ-ფოსტა: procurement@mdf.org.ge**
**ვებ-გვერდი: www.mdf.org.ge**

5. კოტირების მიღების ბოლო ვადა (ზემოთ მითითებულ მისამართზე) არის: **2009 წლის 15 ივლისის, 18:00 საათი.**

1 ივლისი, 2009წ.

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი "დავების განმხილველი ცენტრი"
DRC-ს სასამართლო

## მხარისათვის შეტყობინების მიზნით სხდომის დღის პუბლიკაციის შესახებ

DRC-ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმოებაშია ს/ს ბანკი "რესპუბლიკა"-ს საარბიტრაჟო პრეტენზია ზურაბ აბზიანიძეს მიმართ, საკრედიტო დავალიანების - **3 619.99** ლარის ანაზღაურების შესახებ.

ხსენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2009 წლის 10 ივლისი 13:00 საათზე, მუდმივმოქმედ არბიტრაჟ "დავების განმხილველი ცენტრში" შემდეგ მისამართზე - ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას N71, I სართული

ხსენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხე ზურაბ აბზიანიძე, მცხ: ქ.თბილისი ვაჟა-ფშაველას მე-6 კვ., კორპ. N8, ბინა N40, ალტ. მის. ქ.ბათუმი, რევაზ კომახიძის ქ.N7;

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**

"საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2009 წლის 19 ივნისს დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება შპს "მოსწავლე ახალგაზრდობის გაზეთ ჩირაღდანისთვის" სახელობო საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის თაობაზე. ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტების ასლების გაცნობა შესაძლებელია სამინისტროს შენობაში, მისამართზე: - ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52.

გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სამინისტრომ უნდა მიიღოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. განცხადების საჯარო გაცნობისთვის წარდგენის დღიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში ნებისმიერი პირი უფლებამოსილია წერილობით წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები. პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარმოდგენისას არ მიუთითოს ვინაობა".

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**

"საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2009 წლის 22 ივნისს დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება შპს "თბილისის ბიზნეს სკოლა თი ბი ეს-ისთვის" უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის თაობაზე. ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტების ასლების გაცნობა შესაძლებელია სამინისტროს შენობაში, მისამართზე: - ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52.

გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სამინისტრომ უნდა მიიღოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. განცხადების საჯარო გაცნობისთვის წარდგენის დღიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში ნებისმიერი პირი უფლებამოსილია წერილობით წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები. პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარმოდგენისას არ მოუთითოს ვინაობა".

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**

"განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 ივნისის N432 ბრძანებით, შპს „პროფიუნიტს" უარი ეთქვა უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის გაცემაზე."

1 ივლისი, 2009წ.

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი "დავების განმხილველი ცენტრი"
DRC-ს სასამართლო

## მხარისათვის შეტყობინების მიზნით სხდომის დღის პუბლიკაციის შესახებ

DRC-ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმოებაშია ს/ს ბანკი "რესპუბლიკა"-ს საარბიტრაჟოO პრეტენზია თემურ ჩივაძეს მიმართ, საკრედიტო დავალიანების - **2 805.75** ლარის ანაზღაურების შესახებ.

ხსენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2009 წლის 13 ივლისი 12:00 საათზე, მუდმივმოქმედ არბიტრაჟ "დავების განმხილველი ცენტრში" შემდეგ მისამართზე - ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას N71, I სართული

ხსენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხე თემურ ჩივაძე, მცხ: რუსთავი, მე-20 მ/რაიონი., კორპ. N9, ბინა N9;

1 ივლისი, 2009წ.

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი "დავების განმხილველი ცენტრი"
DRC-ს სასამართლო

## მხარისათვის შეტყობინების მიზნით სხდომის დღის პუბლიკაციის შესახებ

DRC-ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმოებაშია ს/ს ბანკი "რესპუბლიკა"-ს საარბიტრაჟოO პრეტენზია ბორის დემურიასა და ალექსანდრე ფრიდონიშვილის მიმართ, საკრედიტო დავალიანების - **9 526.12** ლარის ანაზღაურების შესახებ.

ხსენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2009 წლის 13 ივლისი 15:30 საათზე, მუდმივმოქმედ არბიტრაჟ "დავების განმხილველი ცენტრში" შემდეგ მისამართზე - ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას N71, I სართული

ხსენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხე ბორის დემურია, მცხ: ქ.თბილისი, მოსკოვის გამზირი კორპ. N36 გ, ბინა N70 და ალექსანდრე ფრიდონიშვილი, მცხ: ქ.თბილისი, ფონიჭალა 3, კორპ. N23, ბინა N32;

1 ივლისი, 2009წ.

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი "დავების განმხილველი ცენტრი"
DRC-ს სასამართლო

## მხარისათვის შეტყობინების მიზნით სხდომის დღის პუბლიკაციის შესახებ

DRC-ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმოებაშია ს/ს ბანკი "რესპუბლიკა"-ს საარბიტრაჟოO პრეტენზია თამაზ დევიძეს მიმართ, საკრედიტო დავალიანების - **8 993.27 აშშ დოლარის** ანაზღაურების შესახებ.

ხსენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2009 წლის 10 ივლისი 11:00 საათზე, მუდმივმოქმედ არბიტრაჟ "დავების განმხილველი ცენტრში" შემდეგ მისამართზე - ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას N71, I სართული

ხსენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხე თამაზ დევიძე, მცხ: ქ.თბილისი, გ.ჩუბინიშვილის ქ.N13, ბინა N29;

1 ივლისი, 2009წ.

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი "დავების განმხილველი ცენტრი"
DRC-ს სასამართლო

## მხარისათვის შეტყობინების მიზნით სხდომის დღის პუბლიკაციის შესახებ

DRC-ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმოებაშია ს/ს ბანკი "რესპუბლიკა"-ს საარბიტრაჟოO პრეტენზია თინა მიქელაძეს, გია პაპუნაძეს, ეკატერინე მიქელაძეს, მინდია მიქელაძესა და ლევან ბეჟანიძეს მიმართ, საკრედიტო დავალიანების - **7005.03 ლარის** ანაზღაურების შესახებ.

ხსენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2009 წლის 10 ივლისი 11:30 საათზე, მუდმივმოქმედ არბიტრაჟ "დავების განმხილველი ცენტრში" შემდეგ მისამართზე - ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას N71, I სართული

ხსენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხე თინა მიქელაძე, მცხ: ხელვაჩაური, სოფელი ანგისა, გია პაპუნაძე, მცხ: ხელვაჩაური, სოფელი ადლია, ეკატერინე მიქელაძე, მცხ: ხელვაჩაური, სოფელი ანგისა, მინდია მიქელაძე, მცხ: ხელვაჩაური, სოფელი ანგისა და ლევან ბეჟანიძე, მცხ: ქობულეთი, დაბა ჩაქვი, ალმაშენებლის ქ.N27, ბინა N2;

1 ივლისი, 2009წ.

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი "დავების განმხილველი ცენტრი"
DRC-ს სასამართლო

## მხარისათვის შეტყობინების მიზნით სხდომის დღის პუბლიკაციის შესახებ

DRC-ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმოებაშია ს/ს ბანკი "რესპუბლიკა"-ს საარბიტრაჟო პრეტენზია ლევან მითაიშვილსა და მერაბ კვაჭაძეს მიმართ, საკრედიტო დავალიანების - **4 596.3** ლარის ანაზღაურების შესახებ.

ხსენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2009 წლის 10 ივლისი 15:00 საათზე, მუდმივმოქმედ არბიტრაჟ "დავების განმხილველი ცენტრში" შემდეგ მისამართზე - ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას N71, I სართული

ხსენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხე ლევან მითაიშვილი, მცხ: ლანჩხუთი, სოფელი ჩოჩხათი და მერაბ კვაჭაძე, მცხ: ლანჩხუთი, სოფელი ჩოჩხათი;